საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელა

№047 (12 117) 27 თებერვალი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ჭოჰმიოლეარმა უნდა იფიქროს...



22 აგვისტოს:
კოლუმბია, ჩილე, ხორვატია, უელსი თუ ნაცნობი პარაგვაი?

ბრაზილიასთან მოლაპარაკებები გრძელდება

2



იაშვილი და აშვეთია რჩეულთა შორის

გიგიაძეს ისევ გააძვს, ალადაშვილსაც

ქართული ფეხბურთი 2-5



ჩელსის ფასი: 50 მილიონი და ეჭოო?

იტალიური ფეხბურთი ისტერიამ მოიცვა

არიგო საკი გუშინდელ სამწვრთნელო ცვლილებებს აკრიტიკებს

მსოფლიო ფეხბურთი 6-9

ანტიკუერშიც ხელი მოგვეცარა...

ძიუდოისტები იწყებენ ბრძოლას ვარშავისთვის

ბოლო ტურნირი ევროპამდე:
ზოგისთვის მოსამზადებელი, ზოგისთვისაც შესარჩევი

11

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

კოლუმბია, ჩილე, პარაგვაი, ხორვატია

22 აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ნაკრების მეტოქის ძიება კვლავაც აქტიურად მიდის. ბრაზილია, ესპანეთი, უელსი, ხორვატია და კიდევ ახალი ვარიანტები, კოლუმბია, ჩილე და პარაგვაი... აი, ამ შვიდი ნაკრებიდან ერთ-ერთს გაეჯიბრებიან ჯვაროსნები 22 აგვისტოს.

ბრაზილიამ და ესპანეთმა ქართულ მხარეს ფინანსურად მიუღებელი პირობები შესთავაზეს, თუმცა მათთან თამაში ჯერ კიდევ არ გამორიცხულა და მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდება.

"დიახ, ბრაზილიასთან და ესპანეთთან მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება. უელსსა და ხორვატიასაც სურთ, ჩვენთან თამაში. იგივე სურვილი გამოთქვა პარაგვაიმ და ეს ფაქსით გვაცნობა. ჩილესთან და კოლუმბიასთანაც შეგვიძლია 22 აგვისტოს ამხანაგური მატჩის ჩატარება. ყველა ვარიანტზე ვმუშაობთ და ეროვნული ნაკრების მწვრთნელებთან ერთად, მარტის ბოლოსთვის საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ", - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.



ვის აირჩევს კლაუს ტოპმიოლერი?

უგულავას თქმით, **კლაუს ტოპმიოლერი** ზემოთჩამოთვლილი ვარიანტებიდან უპირატესობას უელსს ანიჭებს, რადგან 8 სექტემბერს უკრაინას ვმასპინძლობთ და უკრაინელთა თამაშის სტილსა და მანერასთან უელსელები უფრო ახლოს არიან. თუმცა ნაკრების თავკაცი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ჩქარობს. როგორც ჩანს, ყველაფერი მარტის ბოლოს გაირკვევა.

დავით ცაბაძე

სიონი

დარასელიაც და ორბელაძეც

მართალია, **ვიტალი დარასელიას** "სიონში" ჩარიცხვა აქამდეც ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ყარაღანდის "შახტიორიდან" მისი გათავისუფლების ფურცლის ჩამოსვლა აგვიანებდა. როგორც იქნა, ეს პრობლემა მოგვარდა და ფეხბურთელმა ბოლნისური გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობის უფლება მიიღო.

დარასელიას პარასკევს, "ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ მოედანზე გასვლის უფლება კი აქვს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი გაცივდა, რის გამოც ჯერჯერობით, ვერ ვარჯიშობს. დარასელიას ვეტერინარებთან თამაში დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

სეზონის მეორე ნახევარში "სიონის" ღირსებას **სერგი ორბელაძეც** დაიცავს. კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობს, მისი განაცხადში შეყვანასთან დაკავშირებული ფორმალობების მოგვარება პარასკევისთვის მოასწროს. შეგახსენებთ, ბოლო პერიოდში ორბელაძე მარიუპოლის "ილიჩევეცის" ღირსებას იცავდა. სრული დატვირთვით ვარჯიშობს გუნდის კიდევ ერთი ახალწვეული **ლევან სილაგაძეც**.

საბოლოოდ გამოირიცხა "სიონში" ექსდინამოელი **მიხეილ ბობოხიძის** გადასვლა.

ბოლო დღეებში **კახა ცხადაძე** შეგირდებს რატევანში ავარჯიშებს, სადაც წვრთნისთვის საკმაოდ ნორმალური პირობებია შექმნილი.

ბოლნისიდან კიდევ ერთი სიახლე ისაა, რომ რეგიონულ ლიგაში მოასპარეზე "სიონი 2-ს" ამიერიდან **კახა გოგიჩაიშვილი** გაწვრთნის. იგი თბილისში, 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე სავარაუდო ახალწვეულთა გასინჯვას შეუდგა.

რაც შეეხება **ბადრი კვარაცხელიას**, იგი დუბლებთან მუშაობას შეწყვეტს და მთლიანად ძირითად გუნდზე გადაერთვება.

ლევან ჯანეზაშვილი

ორბელაძე სიონში ითამაშებს

ზამთრის პაუზისას თბილისის "დინამოში" გადმოსული უცხოური ტრიოდან ერთ-ერთი 19 წლის ჩერნოგორიელი ფორვარდი ილია სპასოევიჩია. გასულ პარასკევს თბილისის "დინამოში" ოფიციალური დებიუტი ჰქონდა გოლით აღნიშნა.

ინტერვიუ ილია სპასოევიჩთან

ჩემპიონები უნდა გავხდეთ! აბა, აქ რისთვის ჩამოვედი?

გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ილია სპასოევიჩი მოვინახულეთ. საუბარი რაღა თქმა უნდა "ბორჯომთან" განვლილი მატჩით დავიწყეთ, თუმცა შემდგომ არაერთ საინტერესო საკითხს შევეხეთ, საიდანაც ბევრს შეიტყობთ მისი პიროვნების შესახებ.

- პირველი თამაში ყველასათვის ძნელია და ამ მხრივ ეს შეხვედრაც არ ყოფილა გამონაკლისი. პირველ ტაიმში მეტოქე ჩინებულად გამოიყურებოდა და მართლა გაგვიჭირდა. თუმცა მეორე ტაიმში თამაშს მოვუმატეთ, მოწინააღმდეგეც გატყდა და ორი მშრალი გოლით მოვიგეთ.

- თბილისის "დინამოში" ეს შენთვის სადებიუტო მატჩი იყო. ალბათ მცირედით ღელავდი კიდეც...

- როცა გინდა რომ კარგი დებიუტი გამოგივიდეს და აპლოდისმენტები დაიმსახურო, ეს მცირედ მღელვარებასაც იწვევს. თუმცა მატჩამდე მოედანზე მოთელვაზე რომ გავედით, მხოლოდ თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული და არ ვღელავდი.

- მწვრთნელმა რა დავალება მოგცა?

- მითხრა, თუკი უკეთეს ვარიანტს ვერ დავინახავდი, ნებისმიერი პოზიციიდან კარში დამერტყა. ფორვარდი ვარ და ჩემი საქმე გოლების გატანაა. ვფიქრობ მწვრთნელის მითითებები კარგად შევასრულე.

- იმ მატჩში "დინამოდან" ვის გამოარჩევდი?

- რომელიმე ფეხბურთელის გამორჩევა მართლა გამიჭირდება. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა... რიჟი (სანდრო კობახიძე) და ზელიჩი ალბათ სხვებისგან უფრო გამორჩეულები იყვნენ.

- ამ შეხვედრაში 82 წუთი დაყავი მოედანზე და ბევრჯერ დაგირტყამს კარში...

- არ ვიცი... მოიცადე დავითვლი... კარში ზუსტად ხუთჯერ დავარტყი. აქედან ერთი გავიტანე კიდეც. საერთოდ თუკი შეტევის განვითარების უკეთეს ვარიანტს ვერ ვხედავ, ნებისმიერი პოზიციიდან კარში ვურტყამ.

- თანმაღალი ხარ და ბორჯომშიც თავით გაიტანე. თავით თამაშია შენი კოზირი თუ ფეხით?

- თავითაც კარგად ვურტყამ, სიმაღლეც ხელს მინყობს, მაგრამ ფეხით, უფრო სნორად კი მარჯვენა ფეხით დარტყმაა ჩემი კოზირი.

- მარცხენა ფეხს რამდენად კარგად ხმარობ?

- არა, მარცხენითაც ვურტყამ, მაგრამ ეს მარჯვენათი უფრო ზუსტად და ძლიერად გამომდის.

- მატჩამდე რამდენად გჯეროდა, რომ გაიტანდი?

- მართლა ბოლომდე მწამდა, რომ გავიტანდი. გასახდელში თანაგუნდელებს ვუთხარი კიდეც. მეტოქემ პირველ ტაიმში კარგად ითამაშა და მართალი გითხრათ პირველი ნახევრის შემდეგ ცოტა ეჭვიც კი შემეპარა ამაში. თუმცა საკუთარ თავს არაერთხელ ვითხარი, რომ გატანა შემეძლო და ეს როგორმე უნდა მომეხერხებინა.

- იქნებ გოლის მომენტიც გაიხსენო...

- მარჯვენა ფრთაზე ფეიქარმა (ფეიქრიშვილმა) დიაგონალური პასი მიიღო, საჯარიმოსკენ ერთი გამოიხედა და მაღალი ბურთი ჩააწოდა. მცველებს დავასწარი და თავით შევაგდე.

- როცა ბურთი ბადეში დაინახე რა ემოცია და განცდა დაგეუფლა?

- უზომოდ გამეხარდა. სიხარულისგან გულიც კი გამიჩერდა. უმალ პირჯვარი გადავიწერე და ღმერთს მადლობა ვუძღვენი.

- მორწმუნე ხარ?

- დიახ, გუშინ (კვირას, 25 თებერვალს) ოდოსთან (ოდიკაძესთან) ერთად სამებაში ვიყავი. ტაძარი ძალიან მომეწონა. სხვადასხვა ქვეყანაში ვყოფილვარ ეკლესიაში, მაგრამ სამებისნაირი მაღალი და ლამაზი ტაძარი აქამდე არ მინახავს.

- ბუნებრივია, სამშობლოშიც დარეკე და შენებმაც მოგილოცეს წარმატებული დებიუტი...

- კი, მამაჩემი სერბეთში ფეხბურთის ცნობილი მწვრთნელია, ახლა ჩერნოგორიის საფეხბურთო ასოციაციაში მუშაობს და ჩემს წარმატებულ გოლზე დიდი ემოციებიც არ გამოუხატავს. მას არაფერი უკვირს და მხოლოდ ერთი მითხრა – კარგია, ასე გააგრძელეო. დედაჩემმა კი კომპლიმენტები არ დამაკლო. ძმებმა და მეგობარმა გოგომაც მომილოცეს...

- შენი ძმებიც ფეხბურთელები არიან?

- უფროსი 21 წლისაა და კოლეჯში სწავლობს. უმცროსი მირკო კი 17 წლისაა და ჩემ დარად ისიც ფორვარდია.

- მეგობარი გოგონაც ახსენე. სადაა და რას საქმიანობს?

- ჩემს გერლფრენდს კრისტინა ჰქვია და ჩერნოგორიაში ცხოვრობს, მოდელია. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და ჩემი გოლიანი დებიუტით მანაც გაიხარა. სხვათა შორის, კრისტინას ფეხბურთიც ძალიან უყვარს.

- ნედ ზელიჩი ქართულს სწავლობს. შენც ხომ არ ცდილობ?

- კი, პატარა, დიდი, მაგალი, დაბალი, ტანამედროვე, გამარჯობა... რამდენიმე სიტყვა უკვე ვიცი.

- მაინც რამდენი სიტყვა იცი, ასი?

- არა, ამდენი არა, მაგრამ 50-ზე მეტი სიტყვა კი ვიცი. ქართული რთული ენაა, მაგრამ ვისწავლი.

- ისევ "დინამოს" დავუბრუნდეთ. ახლა მეტი იცი შენს გუნდსა და საქართველოს ჩემპიონატზე. საინტერესოა თუ რა წარმოდგენა შეგექმნა?

- "ბორჯომთან" მოგების შემდეგ მეტად ვირწმუნეთ ჩვენი ძალების და ახლა უფრო მობილიზებულად ვიბრძოლებთ დასახული მიზნების მისაღწევად.

- მიზნებზე რას იტყოდი?

- ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონობის მოპოვება და ამას მოვახერხებთ კიდეც. აბა აქ რისთვის ჩამოვედი? საჩემპიონოდ ვარ ჩამოსული და ამასთან თასისთვისაც ვიბრძოლებთ.

- უშუალო კონკურენტად ვის მიიჩნევ?

- "ამერი" ვნახე და კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენზე ძლიერი არაა. რამდენადაც ვიცი, "ოლიმპი", "ვიტ ჯორჯია", "ზესტაფონი" და "სიონია" კიდევ კარგი გუნდები.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ალექსანდრე იაშვილთან (მარცხნივ) ერთად სიმბოლურში მიხეილ აშვეთიაც მოხვდა

პრესკონფერენცია

კვარაცხელია და მსაჯები ერთიანდებიან



მამუკა კვარაცხელია

ქადრაკის სასახლე მამუკა კვარაცხელიას ბრძოლის არენად იქცა. ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრესატაშემ და ამჟამად უეფას მედია-ოფიცერმა ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი წლის წინ წამოიწყო და 2007 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო ბრძოლაში ჩართვას აპირებს.

ამ ბრძოლის ნაწილი იყო გუშინ ჩატარებული პრესკონფერენცია, რომელიც კვარაცხელიამ მთლიანად მსაჯობის საკითხებს მიუძღვნა.

- მიზეზთა გამო, კვალიფიციური მსაჯები ფედერაციას აღარ სჭირდება. საქმეს ჩამოაშორეს გამოცდილი მალაღურაძე, სამხარაძე, ცირდავა, გუნთაძე და კიდევ ბევრი ცნობილი ადამიანი. ამის შედეგია მსაჯებში დილეტანტების ბუმი.

ამ დროს, ფიფას მიერ გამოქვეყნებულ ცირკულარში პირდაპირ არის მითითებული, თუ რა კრიტერიუმებით უნდა ხელმძღვანელობდეს ფედერაცია.

პირველი - მსაჯთა და დამკვირვებელთა დანიშვნა მსაჯთა ასოციაციის უშუალო პრეროგატივაა. რატომღაც, პროფესიული ფეხბურთის ლიგა აკონტროლებს მსაჯებს, რაც ფედერაციის ბრალია. ასეთი რამ ფიფას ცირკულარში კატეგორიულად იკრძალება.

ამასთანავე, მსაჯთა ასოციაცია სხვა უფლებამოსილებასაც ვერ ახორციელებს. არბიტრებს ფედერაციაში არსებული კომიტეტი ხელმძღვანელობს. ესეც ნონსენსია. საერთოდ ასოციაცია რომ თამაშგარეა, ეს საერთოდ აბსურდია.

პიროვნულად მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე ამირან კაჭახიძესთან არაფერი მაქვს სადავო, მაგრამ იგი არაა პროფესიონალი, ყოფილი ინსპექტორია. ამ დროს, ფიფა პირდაპირ მიანიშნებს, რომ მსაჯთა ასოციაცია და კომიტეტი პროფესიონალებისგან უნდა დაკომპლექტდეს. ვინც მსაჯი არ იყო, მუშაობა ეკრძალება. ვიმეორებ, ეს არის აშკარა მითითება.

- ამჟამად მსაჯობისთვის მატჩში 180 ლარს იღებენ. ახლა მათ შემოსავალი დააკლდათ. ადრე თუ მსაჯი დასავლეთში მიდიოდა, ბილეთისა და სასტუმროს ფულს დამატებით უხდიდნენ. ამ თანხას დღეს ვეღარ იღებენ. ტურის საუკეთესო ბრიგადა პრემიას იღებდა - ეს წესიც აღარ მოქმედებს.

თბილისში რაიონებიდან ჩამოსულ არბიტრებს ნაკრების ბაზაზე აბინავებდნენ, ესეც წარსულს ჩაბარდა.

გაუგებარია, რატომ ჩამოაშორეს მსაჯთა ასოციაცია საქმეს? ოთარ გუნთაძე პროფესიონალი, მცოდნე კაცია. ასეთივე დღეშია ფიფას ლაინსმენი ავთო სამხარაძე. მას კუთვნილი ფორმა არ მისცეს, რადგან პრობლემებზე ამირან კაჭახიძეს პირდაპირ ესაუბრა.

ზურაბ ანიაშვილი იმიტომ მოიცილეს, რომ "ბათუმი"-"ზესტაფონის" მატჩი ფრედ დამთავრდა და "ზესტაფონის" პრეზიდენტი დაემუქრა - ამიერიდან ვეღარ იმსაჯებო და ასეც მოხდა.

თამაშგარე დარჩნენ ის მსაჯები, რომლებიც ფედერაციის თამაშს არ თამაშობენ. ესაა შემაშფოთებელი. გამოდის, პროფესიონალებს საქმიდან აცილებენ.

ფიფას ასისტენტის ადგილი უკვე დავკარგეთ სამხარაძის ჩამოშორების გამო. ესაა საქმე?

ფიფას ასისტენტმა ავთო სამხარაძემ პრესკონფერენციის შემდეგ ისაუბრა, თუ რა მოხდა მის თავს:

- ამირან კაჭახიძესთან დაპირისპირება მას შემდეგ დამეწყო, როდესაც მან მითხრა, 100 მსაჯიდან 90 ჩემი ბოზიაო და მიმახვედრა, შენც ასე მოიქეციო. მაშინ ისე გავმწარდი, ყელში ვწვდი.

ფიფას ლაინსმენობისთვის განკუთვნილი ფორმა რომ არ მომცა, ფიფას სამდივნოში წერილი გავაგზავნე და დადებითი პასუხი მივიღე, ეს ფორმა გეკუთვნისო. თუმცა მე აღარ ვიყავი ამათთვის საჭირო, რადგან მათი ყურმოჭრილი მონობა არ მსურდა. ბოლოს და ბოლოს, კაცი ვარ და არა მარიონეტი.

სხვადასხვა საბაბით ჩამოიშორეს გუნთაძე, მალაღურაძე, ცირდავა, ანიაშვილი.

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ ფედერაცია გამოცდილ არბიტრებს უმიზეზოდ ყრის?

- ჩემს შემთხვევაში ასეა და კიდევ ბევრია უსაფუძვლოდ დავიწყებული.

- მოდით, ესეც ვიკითხოთ - მსაჯობიდან ბევრი სარმები ახსოვთ გუნდებს. ნუთუ ასე კარგად იყო საქმე, რომ არავინ იყო გასაშვები? იქნებ, ფედერაციამ ბევრზე ამიტომაც თქვა უარი?

- მაშინ რას ნიშნავდა კაჭახიძის სიტყვები? მერწმუნეთ, მათ პროფესიონალები კი არა, ყურმოჭრილი მონები სჭირდებათ.

მერაბ მამულაშვილი

ალადაშვილი: გოლი და... ნდობაც?

კახა ალადაშვილმა კიევის "დინამოში" დაბრუნების შემდეგ, პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში. უკრაინელები ესპანეთში დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს ასრულებენ. ბოლო საკონტროლო შეხვედრა "დინამომ" შვეიცარიის "შოცთან" გამართა და 5:0 გაიმარჯვა. ალადაშვილმა შეუცვლელად ითამაშა და მეორე გოლი სწორედ მის ანგარიშზეა - საგოლე კომბინაცია კახამ მე-14 წუთზე დააგვირგვინა.

როგორც ჩანს, ალადაშვილი "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი დემიანენკომ** რამდენიმე პოზიციაზე ათამაშა, რადგან შვეიცარიელებთან მატჩის მიმოხილვაში ქართველი უნივერსალად არის მოხსენიებული.

დღეს უკრაინელები კიევში ბრუნდებიან. ამასობაში, "დინამოდან" განათხოვრებულმა **დათო იმედაშვილმა** ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილში" ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ბალტიელებმა ლვოვის "კარპატისთან" ფრედ ითამაშეს - 1:1, ჩეხეთის "ბანიკთან" კი 0:3 წააგეს.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

ჩვენები საუკეთესოებში

მეორე ბუნდესლიგაში გასულ უქმეებზე ჩატარებულ ტურში ქართველები მეტად გამოირჩნენ. **მიხეილ აშვეთიამ** დუბლი მიითვალა "მიუნხენ 1860"-თან მატჩში, **ალექსანდრე იაშვილმა** კი - გოლი და საგოლე პასი. შესაბამისად პოპულარულმა "კიკერმაც" არ დაინანა ქულები. ყველაზე მაღალი შეფასება 1.0 ბალი მიხეილ აშვეთიამ დაიმსახურა, 1.5 ბალი დაუწერეს ალექსანდრე იაშვილს, ოთარ ხიზანეიშვილმა 3.5, ხოლო გიორგი ლომაიამ 4.0 ბალი მიიღეს.

სასიხარულოა ისიც, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ორი ქართველია. მიმდინარე სეზონში ტურის სიმბოლურში მეორედ მოხვდა იაშვილი, აშვეთია კი პირველად.

მეორე ბუნდესლიგის 23-ე ტურის სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება:

ნოიჰაუსი (აუგსბურგი) – ფოიგტი (კარლ ცაისი), სუკალო (კობლენცი), მიოცლი (აუგსბურგი), ლორენცონი (ესენი) – მაიბნერი (კაიზერი), ბოლი (კაიზერი), ფუქსი (ფიურტი) – იაშვილი (ფრაიბურგი), ტიმი (ფიურტი), აშვეთია (კარლ ცაისი).

დაბოლოს, "კარლ ცაისის" ოფიციალურმა ვებგვერდმა განვლილ ტურში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მორიგი ინტერნეტ-გამოკითხვა ჩაატარა. პირველობა არავის დაუთმო მიხეილ აშვეთიამ, რომელმაც 43.05 % (195 ხმა) მიიღო, ხოლო გიორგი ლომაია 6.40%-ით (29 ხმა) მესამე ადგილზეა.

დავით ცაბაძე

ნიკურაძეს ფინეთში ნახავენ

ქართველი გოლკიპერი **გიორგი ნიკურაძე** სამშობლოში ხანმოკლე ამერუული კარიერის შემდეგ კვლავ ფინეთს დაუბრუნდა. კვირას ნიკურაძის ახალმა კლუბმა ტპ-47-მა, ფინეთის პირველი დივიზიონის ბინადარმა, პირველი საკონტროლო მატჩი გამართა, რანგით დაბალ "იპას" წინააღმდეგ. ნიკურაძის ხელახალი დებიუტი ფინეთში წარმატებული გამოდგა, მან კარი მშრალად შეინახა, ტპ-47-მა კი 4:0 მოიგო. მეტოქის სისუსტის გამო ნიკურაძეს ბევრი სამუშაო არც ჰქონია. ტპ-47 ქალაქ ტორნიოს გუნდია, კლუბის ხელმძღვანელობამ მიზნად უმაღლესში გადასვლა დაისახა, ამიტომაც გაძლიერებას კვლავ გეგმავს მიუხედავად იმისა, რომ უკვე 9 ლეგიონერი ჰყავს. მალე შესაძლოა ნიკურაძე კლუბის ერთადერთი ქართველი აღარ იყოს, სინჯებზე ჩადის "ჩიხურას" ყოფილი ნახევარმცველი **ლაშა ჩხაიძე**. 4 მარტს ფინური "კაიპას" წინააღმდეგ შეიძლება ჩხაიძემაც ითამაშოს. ფინეთის პირველ დივიზიონში სეზონი აპრილის ბოლოს იწყება, ტპ-47 შეკრებაზე ან თურქეთში წავა ან იტალიაში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 335 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-00 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA GRRR ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდგა ხაზიდან გაუჩვენელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, ველოდებით, ჩაერთე!
ორ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ბავშვთა ფეხბურთი

სკოლები კომპენსაციას ითხოვენ

ორიოდე დღის წინ ფეხბურთის ფედერაციაში ბავშვთა ფეხბურთის საკითხები განიხილეს. შეხვედრას ყველა წამყვანი სკოლის ხელმძღვანელი დაესწრო.

საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" თანადამფუძნებელი **მამუკა გუგეშაშვილი** შედეგებით კმაყოფილი დარჩა:

- ყველაზე დიდხანს 1992 წელს დაბადებულთა ასაკობრივი ნაკრების სელექციასა და 1991-ში დაბადებულთა ნაკრების ჩამოყალიბება-განვითარებაზე ვისაუბრეთ. ამ უკანასკნელს ჰერბერტ ცანკერი განწვრთნის, სელექციაში კი მთელი საქართველო ჩაერთვება. სიახლეა 1991 წელს დაბადებულთა სელექციის წესი: ჯერ რეგიონული ფედერაციების დონეზე დაიწყება შერჩევები, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და ა.შ. და საუკეთესოების გვარებს ცანკერს მიანვდიან.

პარალელურად, თბილისში ორი მიმართულებით ვიმუშავებთ. პირველი - ჭაბუკთა ლიგის მოთამაშეებისგან დაკომპლექტდება ნაკრები და მას გიორგი დევდარიანი და მამუკა ფანცულაია უხელმძღვანელებენ. მეორე თბილისურ ნაკრებს სხვა სკოლების ფეხბურთელებისგან შეარჩევენ. მათ კოორდინაციას თბილისის ფეხბურთის ფედერაცია გაუწევს.

სელექცია 15 მარტს დაიწყება და საბოლოოდ, კანდიდატები თბილისში შეიკრიბებიან და რამდენიმე მატჩი გაიმართება, რომლებსაც ცანკერი და ფედერაციის წარმომადგენლები დაესწრებიან.

აქ საბოლოო გაფილტვრა დაიწყება და საუკეთესო 35 ფეხბურთელი შეირჩევა, რომლებიც პორტუგალიაში შეკრებაზე გაემგზავრებიან. ჩვენ ეს ამბავი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, უჩა უგულავამ გვითხრა. პორტუგალიის შემდეგ კი შესარჩევ ციკლში მონაწილეთა გვარებს შევიტყობთ. დარწმუნებული ვარ, ასე ნაკრებებში "მამიკოს შვილების" მოხვედრა მაქსიმალურად გამორიცხება.

არჩილ არველაძე

ამას გარდა, საფეხბურთო სკოლების იურიდიული დაცვის საკითხებზეც ვისაუბრეთ. დღეს ეს ძალიან მტკივნეული პრობლემაა. ვინც მოისურვებს, დაჰკრავს ფეხს და მიდის, სკოლა კი უკომპენსაციოდ რჩება. 18 წლამდე კონტრაქტის გაფორმების უფლება არ გაგვაჩნია და გამოდის, ქართული სკოლების ინტერესებს ვერ ვიცავთ.

- ფედერაცია თქვენს დასაცავად რა ზომებს მიიღებს?

- ბავშვთა კომიტეტი თვენახევარში ჩამოყალიბდება და იურიდიული დაცვა სწორედ მან უნდა ითავოს.

35-ე სკოლის დირექტორი **არჩილ არველაძე**:

- იურიდიული საკითხების მოგვარება დღეს ბევრი სკოლის პრობლემაა, მათ შორის ჩვენიც. ფეხბურთის ფედერაციაში ბავშვთა კომიტეტის ჩამოყალიბება ამიტომ მიგვაჩნია სასურველად.

- მართალია, თითქოს "ზესტაფონს" 4-5 მოთამაშის კომპენსაციას სთხოვთ?

- დიახ, არის გაურკვეველი საკითხები, მაგრამ "ზესტაფონთან" სადავოდ საქმე არ გვაქვს. საუბარია ჩვენი გაზრდილების - დაუშვილის, ბენაშვილის, მაისურაძისა და კიდევ სხვების გადასვლის ოფიციალური მხარის მოწესრიგებაზე. კომპენსაცია პრობლემა არაა. ბევრს სწორედ კომპენსაციის გამო ექმნება დაბრკოლება.

საერთოდ, სრულყოფილი სისტემის ამოქმედება ძალიან რთულია. ფულია მთავარი პრობლემა. ფეხბურთელი მიდის გუნდში, რომელსაც სკოლის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შეუძლია. მერე ეს ბავშვი სხვა გუნდში გადადის და სკოლა ამ კლუბის იმედად რჩება. ის კი ამბობს, სადაც ბავშვი გაუშვით, კომპენსაციაც მისგან მოითხოვეთო. აი, ეს საკითხებია მოსაწესრიგებელი.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან

ოქროს შემცვლელის როლი არ მაწყობს

კიევის "დინამოში" ერთი ასეთი ფეხბურთელი იყო, ვადიმ ევტუშენკო. იგი უკრაინელთა ვარსკვლავურ შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, მაგრამ საბჭოეთის საუკეთესო ბომბარდირთა შორის მუდამ ფიგურირებდა მისი გვარი. მოედანზე ლამის ყოველი მისი გამოჩენა გოლით მთავრდებოდა. წუთების მიხედვით რომ დავიანგარიშოთ, შესაძლოა, ევტუშენკო ყველა დროის საუკეთესო საბჭოელი მეგოლეც აღმოჩნდეს.

თუკი უკრაინელის საუკეთესოობა მაინც საკითხავია, ამერელი ფორვარდი დიმიტრი ტატანაშვილი ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ნაყოფიერი მეგოლეა. მას "ამერის" ძირითადში თითქმის არ უთამაშია, მუდამ შეცვლაზე გამოდის, თუმცა ბომბარდირს სულ ერთი კინკილა გოლით ჩამორჩება...

- დიმიტრი, "ოქროს შემცვლელის" სტატუსს ხომ არ შეეჩვიე?

- ამას ვერასდროს შევეგუები. თუმცა ყოველთვის იყო უთამაშებლობის მიზეზი. წინა წელს მოსამზადებელი ეტაპი ტრავმამ გამაცდენინა და ძირითადში ვერ ვხვდებოდი. ჯერ ფეხი მომტყდა, მერე ნეკნი გამიტყდა და უიღბლოდ აეწყო საქმე. მოსამზადებელი ეტაპი ახლაც ტრავმის გამო გამოვტოვე.

- რამდენიმე წლის წინ "დინამომ" ამას ორიგინალური "წამალი" მოუძებნა და ცხვარი ეკლესიას შესწირა. შენ როგორ გამოასწორებ საქმეს?

- მეც იმავეს ვაპირებ, მართლა.

- იქნებ, კარგად გემკურნალა?

- სულ ექიმებთან არ დავდივარ? თანაც, საუკეთესოებთან და მაინც ვერ მოვმჯობინდი. თურქეთში კუნთი დამეჭიმა და ისევ დავისვენე.

- ფაქტობრივად, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებში ოთხი-ხუთი მატჩით, ისიც შემცვლელის როლში მოხვდი. შემცვლელს "ამერი" საქმეს მოთავებულს გახვედრებდა და გატანა იოლი იყო?

- რამდენჯერმე ასეც იყო, თუმცა ბურთის გატანა იოლი მაინც არასდროს არაა. მაგალითად, "ოლიმპთან" ვაგებდით და მოედანზე შესულმა ანგარიში გავათანაბრე. რთული შეხვედრა იყო და გოლიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

- შენი სტილის მოთამაშეს "გოლი+პასის" ნომინაციაში გამარჯვების დიდი შანსი უნდა ჰქონდეს, თავდამსხმელი ხარ და პასიც კარგად გეხერხება.

- შეიძლება, მაგრამ ამაზე არც მიფიქრია. ისევ ყოველთვის მეტის გატანა მინდა.

- გვრჩება შთაბეჭდილება, რომ კიდევ ბოლომდე გასარკვევია, "ამერს" თავდასხმაში უფრო მეტ სარგებლობას მოუტან თუ ნახევარდაცვაში.

- ორივეგან მითამაშია, თავდასხმაშიც, გამთამაშებლადაც. გააჩნია, "ამერი" რა ტაქტიკას აირჩევს. თუმცა თავდამსხმელობა უფრო მიზიდავს.

- გამიგია, ბავშვობაში ძალიან სწრაფი იყავი და ტანი უცებ რომ აიყარე, ეს პლუსი დაკარგე.

- მართლა ასე იყო, ძალიან სწრაფი ვიყავი და 15 წლის რომ გავხდი, უცებ ათი სანტიმეტრით გაზარდე. სისწრაფე ამან დამაკარგვინა.

- სისწრაფე ვეღარ აღიდგინე?

- მოვუმატე, მაგრამ ძველებურად სწრაფი ვეღარ ვარ. თუმცა ჯერ კიდევ მაქვს იმედი.

- მეორე წრეში ძირითადში მოხვედრის მეტი შანსი გეძლევა, რადგან შენი ერთი კონკურენტი სევასტოპულო "ამერიდან" წავიდა...

- შემადგენლობაში მოხვედრის იმედი კი მაქვს, თუკი ისევ ტრავმებმა არ შემაწუხა. ხომ გითხარით, ახლაც კუნთი მაქვს გაჭიმული.

- ფეხბურთში რა მიზანი გამოძრავებს?

- ჯერ "ამერის" ძირითადში მოხვედრაა და შემდეგ ნაკრებში. თან უბრალოდ მოხვედრა არაფერია, წარმატებით თამაში მსურს.

- "ამერში" გადასვლამდე სხვა შეთავაზება არ გქონდა?

- არ დავაკონკრეტებ, სხვებიც მიწვევდნენ, მაგრამ "ამერი" საუკეთესო ვარიანტი იყო.

მერაბ მამულაშვილი

რეგიონი | ქართლი

შიდაქართლური თემა

ასეთი ვითარება შეიქმნა, ბოლო წლებში უმაღლესი ლიგის ქვედა ნაწილის ანუ ლიგაში სავარაუდო წამსვლელ-დამრჩენთა გუნდებში აუცილებლად უნდა გამოერიოს შიდა ქართლის გუნდი.

2004-2005 წლებში საფეხბურთო სეზონში გორის „დილა" უმაღლეს ლიგაში ბოლო ადგილზე გავიდა და ლოგიკურად შემდეგი სეზონი ქვედა ლიგაში უნდა გაეტარებინა, მაგრამ სფფ-ის ახალი ხელმძღვანელობის ინიციატივამ უმაღლესი ლიგის 16 გუნდამდე გაზრდასთან დაკავშირებით მის წისქვილზე დაასხა წყალი. მეტიც, პირველი ლიგიდან აღზევებულთა შორის ცხინვალის „ცხინვალიც" აღმოჩნდა. დევნილთა კოლექტივი გორში, „ქართლის" სტადიონზეა დაბანაკებული. შესაბამისად, გასულ წელს გორი არა მხოლოდ არ დარჩენილა უმაღლესი ლიგის მიღმა, იგი დედაქალაქის შემდეგ ერთადერთ ქალაქად იქცა ჩვენს ქვეყნაში, რომელიც ერთზე მეტი გუნდით იყო ქვეყნის ელიტურ ლიგაში წარმოდგენილი. შარშანდელ ჩემპიონატში უსახსრობით და უპატრონობით დატანჯულმა ორივე გუნდმა ერთთავად სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში იტრიალა და ბუნებრივია, მათ სეზონის მიწურულს ლიგის დატოვებაც ემუქრებოდა. საბოლოოდ „დილამ" უკანასკნელ ტურშიღა მოახერხა დარჩენის პრობლემის დადებითად გადაწყვეტა, ხოლო „ცხინვალი" გადათამაშებაში მოხვდა და ამ გუნდისა და „გაგრის" დაპირისპირებას (მატჩის შეწყვეტამდე 2:1 იყო ცხინვალელების სასარგებლოდ) როგორი აურზაურიც მოჰყვა მთელმა ქართულმა საფებურთო სამყარომ იცის. ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ცხინვალი" გამოაცხადა გამარჯვებულად. პარალელურად, პლეი-ოფის მეორე შეხვედრაში, კიდევ ერთი შიდაქართული კლუბი აგარის „მეშაქრე" ცდილობდა უმაღლესში აღზევებას, თუმცა ორი მატჩის ჯამში აგარელებს თბილისის „თბილისმა" აჯობა და „მეშაქრეთა" ტკბილი ამბიცია სამომავლოდ გადადო.

მიმდინარე სეზონის დასაწყისში ქვეყნის ცენტრალურმა ბიუჯეტმა „ცხინვალისთვის" დაფინანსება ველარ გაიმეტა, შესაბამისად, დევნილთა კოლექტივმა ვერ შეძლო სფფ-ისთვის უმაღლესი ლიგის სამონაწილეო თანხის გადახდა, დაქვეითდა და რადგანაც ორიოდ დღეში იმავე მიზეზით პირველ ლიგაშიც არ დატოვეს - საბოლოოდ უმაღლესიდან პირდაპირ რეგიონალლიგაში აღმოჩნდა. ამავდროულად გორის „დილამ" ძველებურად განაგრძო ბოლო წლების ტრადიცია - უსახსრო და უმოტივაციო თამაში და პირველ წრეში სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურებს არ მოსცილებია.

ცოტა ხნის წინათ შიდაქართლელთა მთავარი გუნდი როგორც იქნა მოექცა ღირსეული პატრონის ხელში, თუმცა მისი სატურნირო მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ უმაღლესში დარჩენაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება. შესაბამისად "ბურჯანაძეზე" უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის პრინციპულ ბრძოლებს ვიხილავთ. ახლახან გაირკვა, რომ მსგავსი, პრინციპული დაპირისპირებებისთვის თვალის დევნება ამ სტადიონიდან რამდენიმე კილომეტრში, გორშივე „ქართლის" სტადიონზეც მოგვიწევს, სადაც საჩხერის „ჩიხურამ" უნდა გამართოს საშინაო თამაშები. ზემოიმერლების საფიქრალიც ლიგაში დარჩენაზე ზრუნვა იქნება. და ამათ ემატება აგარის „მეშაქრე", რომელიც კვლვაც ცდილობს უმაღლესში გადასვლას და საამისოდ პლეი-ოფსაც აღარ თვლის მისაღებად. მალე გამოჩნდება, რამდენად ხელეწიფებათ აგარელებს დასახული მიზნის შესრულება: მოახერხებენ, თუ არა ელიტაში გადასვლას გადათამაშების გზით, ან მის გარეშე, თუ საერთოდაც ვერ შეძლებენ ამას.

ამ ეტაპზე კი ფაქტია, რომ შიდა ქართლში ისევ გრძელდება ბოლო წლების ტრადიცია. თუ გაინტერესებთ უმაღლეს ლიგაში დამრჩენის ან მის მიღმა დარჩენილის ჩამნაცვლებელი გუნდების ვინაობა ყურადღება პირველ ყოვლისა ამ რეგიონისკენ მომართეთ.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

მარკეტი
ნუცუბიძის 19
თბილისი. ნუცუბიძის ქ. №19
ტელ: 394 600
e-mail: lashakap@mail.ru

№19
პაპალი ხარისხი, დიდი არჩევანი და კომფორტი
მოვწვიეთ, მოვლით

www.kazbegi.com

გასხენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგაც განახლდება

ზუსტად სამთვიანი შესვენების შემდეგ, დღეს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგა განახლდება. გუნდებს დაახლოებით პირველი წრის ანალოგიური მიზნები ამოძრავებთ, მოწინავენი უმაღლესისთვის იბრძოლებენ, დანარჩენები კი შეეცდებიან, მომდევნო სეზონი რეგიონულ ლიგაში არ გაატარონ. ბუნებრივია, მონაწილეთა უმრავლესობას ფინანსურად არ ულხინს, იმედია, სეზონის მსვლელობისას რომელიმე გუნდი ამ მიზეზით არ შეწყვეტს არსებობას. ჯერაც სათუოა "ჩიხურა 2-ის" ასპარეზობა, ეს საკითხი დღეს უნდა გაირკვეს.

მეორე წრის დაწყებამდე რამდენიმე პირველლიგელის წარმომადგენელს გავესაუბრეთ.

როლანდ მაძაცარია ("მგლები"): "პირველ საფეხურზე ვართ და ბუნებრივია, ამ პოზიციის შენარჩუნება გვსურს. საამისო პოტენციალი ნამდვილად გაგვაჩნია. უმაღლესი ლიგისთვის სერიოზულად ვემზადებთ, რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი დავიმატეთ და რაც მთავარია, სტადიონის რეკონსტრუქცია დავიწყეთ. განახლებული არენა მომავალი სეზონიდან გვექნება. მართალია, კონკურენტებს დიდი სხვაობით ვუსწრებთ, მაგრამ არ უნდა მოვდუნდეთ, წინ კიდევ არაერთი პრინციპული მატჩი გველის".

გია მესხელი ("მესხეთი"): "კლუბის ფინანსური მდგომარეობა ბოლო დროს საგრძნობლად გაუარესდა, რამაც ფეხბურთელთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა იქონია. ეს არცაა გასაკვირი, ხელფასის დაგვიანებით აღება ნამდვილად არაა სასიამოვნო. საბედნიეროდ, ეს დღეებია, ამ კუთხით გაუმჯობესება შეინიშნება. შეკრების გავლა ბაქოში გვინდოდა, მაგრამ ისევ და ისევ, არცთუ სახარბიელო მატერიალური პირობების გამო, მეორე წრისთვის თბილისში მოვემზადეთ. გუნდი მამარდაშვილმა და შატაკიშვილმა დატოვეს, ქუთაისიდან კი მუშუდიანი და ილურიძე დავიმატეთ. კამერუნელი ნკემის დამატებაც გვინდოდა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ჩვენი მიზანი პირველი ან მეორე ადგილის დაკავებაა".

ილია გურჯანაძე ("მეშაქრე"): "მოსამზადებელი შეკრება თბილისში გავიარეთ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გუნდის სადღეისო ფორმა დამაკმაყოფილებელია. დღესდღეობით, ფინანსური თვალსაზრისით, ნორმალურ მდგომარეობაში ვართ და იმედია, ასე იქნება მომავალშიც. ვფიქრობ, "მეშაქრეს" უმაღლეს ლიგაში გადასვლა შეუძლია, თუმცა საამისოდ მნიშვნელოვანი მატჩების მოგება დაგვჭირდება".

გურამ ხარებავა (თბილისის "ოლიმპი"): "რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში ვერ გადავალთ, მაგრამ შევეცდებით, სეზონი რაც შეიძლება, მაღალ საფეხურზე დავასრულოთ. სისტემატურად გამოვიყენებთ იმ ფეხბურთელებს, რომელთან რუსთავის "ოლიმპის" შემადგენლობაში მწირი სათამაშო პრაქტიკა აქვთ. ამ ტურში, ალბათ, ჩვენს გუნდში ითამაშებენ ხუბუა, ჩხარტიშვილი და მეკარე ალავიძე".

დავით ერაძე ("ვიტ ჯორჯია"): "ტრადიციულად, "ვიტ ჯორჯია 2" მთავარ გუნდს სისტემატურად ანვდის ნიჭიერ ფეხბურთელებს და ამ სეზონშიც ასე იქნება. ჩვენს დუბლშემადგენლობას არცთუ ურიგო სატურნირო მდგომარეობა აქვს და მოპოვებული პოზიციების შენარჩუნებას ეცდება".

გოდერძი ჩიხლაძე ("გაგრა"): "მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ირაკლი სამხარაძემ და კიდევ რამდენიმე ძლიერმა ფეხბურთელმა დატოვა, ჩვენი მიზანი უცვლელია – მომავალი სეზონი უმაღლეს ლიგაში უნდა დავიწყოთ. საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ და გულშემატკივარიც დარწმუნდება, რომ, მოახლოებულ ოფიციალურ შეხვედრებს სრულ მზადყოფნაში ვხვდებით".

ნოდარ აკოფია ("დინამო 2"): "გუნდში საკმაო ცვლილებები მოხდა. "დინამო 2" რამდენიმე მოთამაშემ დატოვა, მათ ნაცვლად ჩვენი აკადემიის აღსაზრდელები, 1990 წელს დაბადებული ჭაბუკები დავიმატეთ. პირველ ლიგაში ასპარეზობით ისინი მნიშვნელოვან პრაქტიკას მიიღებენ".

თემურ ბინაძე ("მაღაროელი"): "პირველი წრე ურიგოდ არ ჩაგვიტარებია, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში უკეთესი შედეგების ჩვენება გვსურს. გუნდი საბრძოლოდაა განწყობილი და იმედია, იმის მიუხედავად, რომ "მესხეთის" სახით, ძლიერი მეტოქე გვყავს, მეორე წრეს გამარჯვებით დავინყებთ".

გიორგი დარჯანია ("ამერი"): "ამერი 2-ის" რიგებში ხშირად იხილავთ ძირითადი გუნდის წევრებსაც, რაც, ბუნებრივია, ჩვენს მეორე გუნდს საკმაო რაოდენობის ქულების დაგროვებასა და მაღალი საფეხურის დაკავებაში შეუწყობს ხელს".

თამაზ კოსტავა ("ნორჩი დინამოელი"): "ლიდერების უმრავლესობამ პირველი წრის შემდეგ დაგვტოვა. მათ უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს მიაშურეს. მეორე წრეში თავის გამოჩენის საშუალებას ჭაბუკებს მივცემთ. მოსამზადებელი ეტაპი თბილისში გავიარეთ. მიზნად პირველ ლიგაში დარჩენას ვისახავთ, უფრო მაღალ ამოცანებს ვერ შევეჭიდებით".

ბადრი ბრეგვაძე ("ჩიხურა 2"): "იმედია, ფეხბურთის ფედერაცია ასპარეზობის გაგრძელების ნებას მოგვცემს. საქმე ისაა, რომ სამონაწილეო თანხა გვაქვს შესატანი. ფედერაციაში საგარანტიო წერილს წარვადგენთ და ალბათ, გადასახადს გადაგვივადებენ. "ჩიხურა 2-ის" ფეხბურთელთა დიდი ნაწილი პირველ გუნდში გადავიდა, ასე რომ, პირველ ლიგაში კიდევ უფრო გაახალგაზრდავებული შემადგენლობით ვითამაშებთ".

სერგო ფუტკარაძე ("ზესტაფონი"): "ჩვენს მეორე გუნდს არცთუ სახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვს და ამ ხარვეზის გამოსასწორებლად მწვრთნელები და ფეხბურთელები მაქსიმალურ ძალისხმევას გაიღებენ. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა".

დემნა აბაიშვილი ("სპარტაკი"): "სეზონი კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ რამდენიმე მარცხი ვიწვნიეთ და დღევანდელი გადასახედიდან, მიზნად მხოლოდ პირველ ლიგაში დარჩენას თუ დავისახავთ. კლუბის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და წესით, დასახული ამოცანის შესრულება უნდა შევძლოთ".

რამაზ ფირცხალაიშვილი (გურია): "ბუნებრივია, ამ პირობებში მყოფი გუნდი მხოლოდ პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის თუ იბრძოლებს. მატერიალურად კვლავაც არასახარბიელო სიტუაციაში ვართ, მაგრამ ამის მიუხედავად, თითოეულ მოწინააღმდეგეს დიდ ბრძოლას გავუმართავთ".

ლევან ჯანელიძაშვილი

ფლეშ

გაგრა-მერცხალი
მაღაროელი-მესხეთი
სამტრედია-ზესტაფონი 2
ოლიმპი-ამერი 2
მეშაქრე-ჩიხურა 2
გურია-სპარტაკი
დინამო 2-ნორჩი დინამოელი
მეშახტე-რაჭა
ვიტ ჯორჯია 2-მგლები

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მგლები	17	14	2	1	32-8	44
2. მესხეთი	17	11	4	2	31-10	37
3. მეშაქრე	17	8	7	2	23-15	31
4. ოლიმპი	17	8	4	5	30-18	28
5. ვიტ ჯორჯია 2	17	8	4	5	30-13	28
6. ბაგრა	17	8	2	7	23-24	26
7. დინამო 2	17	7	4	6	34-18	25
8. მაღაროელი	17	6	7	4	22-17	25
9. მეშახტე	17	7	3	7	26-24	24
10. ამერი 2	17	6	6	5	27-23	24
11. ნ. დინამოელი	17	7	2	8	22-22	23
12. ჩიხურა 2	17	6	3	8	19-24	21
13. ზესტაფონი 2	17	5	6	6	15-15	21
14. სამტრედია	17	4	5	8	18-31	17
15. სპარტაკი	17	4	3	10	9-25	15
16. გურია	17	3	3	11	19-45	12
17. რაჭა	17	2	6	9	13-31	12
18. მერცხალი	17	2	3	12	14-44	9

გიგიაძემ ისევ გაიტანა

ახლადგამოჯანმრთელებულმა **ვასილ გიგიაძემ** ზედიზედ მეორე საკონტროლო მატჩში გამოიჩინა თავი. "კრივბასმა" ამჯერად დანიურ "რანდერსს" სძლია. ქართველმა ფორვარდმა მეტოქის კარი კვლავ პენალტით დალაშქრა, ეს შეხვედრის მე-12 წუთზე მოხდა. თერთმეტმეტრიანი სწორედ მისი წაქცევისთვის დაინიშნა. უკრაინელებმა პირველი ტაიმის მიწურულ კიდევ ერთი გაიტანეს და თამაში მათი დამაჯერებელი გამარჯვებით, 2:0 დასრულდა.

უკრაინული პრესის ცნობით, გიგიაძე მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მას თამაში არაერთხელ გაუმწვავებია. ვასო და ძირითად შემადგენლობაში გამწესებული სხვა ფეხბურთელები "კრივბასის" მწვრთნელებმა პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. **ლადო ბურდული** თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო.

აბრამიძემ თითქმის გაინაღდა

აზერბაიჯანში თასის მეოთხედფინალური მატჩები იმართება, გუშინ ორი შეხვედრა შედგა. ბაქოს "ინტერმა" სტუმრად 2:0 დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი "გენჩლერბერლიი" და ფაქტობრივად გაინაღდა ნახევარფინალის საგზური. ბაქოში ჩემპიონი "ბაქი" ლენქორანის "ხაზარს" მასპინძლობდა, აქაც სტუმრებმა იმარჯვეს 2:0. "ბაქის" სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ **ამირან მუჯირი** და **ალექსანდრე გოგობერიშვილი**, სტუმართა შორის კი - **ვალერი აბრამიძე**. მუჯირმა მეხუთე წუთზევე შექმნა სახიფათო მომენტი, თუმცა თავდამსხმელმა ვერ შეძლო მისი ჩაწოდებულის შემდეგ გოლის გატანა. 75-ე წუთზე იგი **ფერნანდო პერესმა** შეცვალა. გოგობერიშვილი ერთხელ დაემუქრა "ხაზარის" კარს, თუმცა მისი დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. 25-ე წუთზე აბრამიძემ უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე "ბაქის" თავკაცი **ბუიუქაღა გაჯიევი** არ გამოცხადდა. დღეს კიდევ ორი მეოთხედფინალური მატჩია: "არაზი" "ქარვანს" მასპინძლობს, "ნეფთჩი" კი - "თურანს".

ნიკოლოზ ნეფარიძე

გუნდი	მიდიან	მოდიან	მზადება
ოლიმპი	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე-ბათუმი)	რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო), ჭიქვეიშვილი	თბილისი
ვიტ ჯორჯია	დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო),	კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი)	თბილისი, თურქეთი
ამერი	ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა, სვევასტოპულო	მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.)	ორი შეკრება ანთალიაში,
ზესტაფონი	იმედაძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი)	რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი	თბილისი, თურქეთი
დინამო	ამბროზიო (გრემიო), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა)	დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე, სპასოევიჩი	ბაკურიანი, ორი შეკრება ანთალიაში
ტორპედო	ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი)	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, გ. იმედაძე	ქუთაისი, თბილისი
სიონი	სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიქვეიშვილი	მამალაძე, სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია, კორღალიძე, სანიკიძე ბობოხიძე	დსთ-ის თასი, თბილისი
ლოკომოტივი	ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი	სოსელია, ნუნუნავა, მალიჩავა, სამხარაძე	ურეკი
ბორჯომი	ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე	კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა)	ბორჯომი
მერანი	—	ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, ა. ნოზაძე	თბილისი, გურჯაანი
ჩიხურა	ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა	სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე	საჩხერე, თბილისი
ბათუმი	ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია	კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე)	ბათუმი
დილა	ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი)	ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია	გორი, თბილისი
ჰესხეთი	ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, ნუნუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი)	კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი	თელავი

მოსალოდნელი ტრანსფერი

ეჯოო ჩელსიში?

სამუელ ეტოო

სპეკულაციების თანახმად, "ჩელსის" **სამუელ ეტოოს** შეძენა სურს. **რომან აბრამოვიჩმა**, რომელმაც იანვრის ტრანსფერებისას მცველის შესაძენად ერთი ცენტი კი არ დახარჯა, 50 მილიონი გირვანქა გაამზადა, რათა კამერუნელი თავდამსხმელი ჩაიგდოს ხელში. ამ ინფორმაციას "ნიუს ოფ ზე უორლდი" ავრცელებს. მასში ვკითხულობთ, რომ ზაფხულის ტრანსფერებისას ბარსელონელი ვარსკვლავი "არისტოკრატების" უმთავრესი სამიზნე იქნება.

ამასობაში, ეტოო მინდორს დაუბრუნდა და უმალ გოლი შეაგდო. პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში "ბარსამ" "ბილბაო" 3:0 გაანადგურა. ერთი ბურთი სამუელის ანგარიშზეა. ფეხბურთელმა, რომელიც შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია, ბოლო ხუთ თვეში პირველად იასპარეზა ძირითად შემადგენლობაში. სექტემბერში, "ვერდერთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში ეტოომ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და, ფაქტობრივად, ნახევარი სეზონი გამოტოვა.


ჯანი დე ბიაზი

ალბერტო ძაკერონი

ჩელსი

ტერი მწყობრშია

აბუ დიაბი მეტოძის მცველს მოინახულებს და ბოდიშს მოუხდის...

ჯონ ტერი თავს კარგად გრძნობს და ჩვეული დატვირთვით ემზადება. "ჩელსის" კაპიტანი "არსენალთან" ლიგის თასის ფინალში დაშავდა. 58-ე წუთზე "მეთოფეთა" მცველმა **აბუ დიაბიმ** მას სახეში ფეხი უთავაზა და ნოკაუტში ჩააგდო. "ჩელსისა" და "არსენალის" ექიმები მინდორზე გაცვივდნენ. ტერი ჟანგბადის ნიღბითა და ფიქსატორით მინდვრიდან პირდაპირ კარდიფის საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ ის ორ საათში გამოწერეს. ჯონი სტადიონზე დაბრუნდა და მოზეიმე თანაგუნდელებს შეუერთდა. სხვათა შორის, გზად საავადმყოფოსაკენ და უკან ჯონს არც "ჩელსის" მაისურა გაუხდია და არც ბუცები.

ნამატჩევს **ჟოზე მოურინიომ** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ყველაზე შემაშფოთებელი ის იყო, რომ ჯონმა შეჯახებისას გონება დაკარგა. არცკი დავფიქრებულვართ, ის უმალ გამოვცვალეთ. როცა მინდვრიდან გაჰყავდათ, შევატყე, რომ თვალები უკვე გახელილი ჰქონდა. რაღაც მივაძახე და მისი რეაქციით დავასკვენი, რომ გაიგო. ეს ნუთი, მის აგენტს ვესაუბრე. ყველაფერი კარგადაა. კაპიტანმა მატჩის ანგარიში იცის და ბედნიერია. საშინელი ინციდენტი იყო, მაგრამ აღარაფერი გვაკვირვებს. ამ სეზონში უკვე ყველანაირი უბედურება დაგვემართა. სიმართლე გითხრათ, როცა სკამზე ვზივარ, ყოველ წუთს მორიგ ცუდ ამბავს ველოდები."*

სხვათა შორის, სათასო ფინალში ტერის დაყენება ბოლო წუთს გადაწყვიტეს. ოთხშაბათს, "პორტუსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში, მან კოჭი დიაზიანა, მაგრამ ტრავმა არ აღმოჩნდა სერიოზული და ექიმებმა თამაშის ნება დართეს. იქამდე "ჩელსის" კაპიტანმა ზურგისა და საზარდულის ტრავმების გამო თითქმის ორი თვე გააცდინა.

"არისტოკრატების" ვიცე-კაპიტანმა **ფრენკ ლემპარდმა** ლიგის თასი ტერის მიუძღვნა. პეტრ ჩეხმა კი თქვა: *"ჩემი ტრავმა საერთოდ არ მახსოვს, ამიტომ ტერის დაშავებისას გული შემეკუმშა. მუხლები ჩამეკეცა, როცა ფეხბურთელების რეაქციას ვუყურებდი. ისინი ძალიან შეშინებულნი ჩანდნენ. იმედია, ეს ბოლო ტრავმა იქნება მის კარიერაში."*

მომხდარს აბუ დიაბიც გამოეხმაურა: *"ძალიან შემეშინდა. ბურთის მოგერიებას ვცდილობდი, მან კი თავი ძალიან ქვემოთ დასწია და ის საშინელებაც მაშინ მოხდა. ჯერ არ მინახავს, მაგრამ აუცილებლად მოვინახულებ და ბოდიშს მოვუხდი. მიხარია, რომ მწყობრშია."*

ეპიზოდი, რომელმაც ჩელსისა და არსენალის ფეხბურთელებს თავზარი დასცა

ვერონი პატიმრობას გადაურჩა

ხუან სებასტიან ვერონი იტალიის მოქალაქე აღარ არის. ლაციოს სასამართლომ მის საქმეს წერტილი დაუსვა. არგენტინელს ჩამოართვეს პასპორტი, რომელიც მან 1999 წელს, გაურკვეველ ვითარებაში მოიპოვა. ხუან სებასტიანმა, "ლაციოს" მაშინდელი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, შესაბამის უწყებებს წარუდგინა ყალბი დოკუმენტები იმის საილუსტრაციოდ, რომ იტალიელი ემიგრანტების შთამომავალი იყო. პროკურორმა **ლინა კუზანომ** ფეხბურთელისთვის 30-თვიანი პატიმრობაც მოითხოვა, მაგრამ სასამართლო მხოლოდ მოქალაქეობის ჩამორთმევით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, პირობითი პატიმრობა და ფინანსური სანქციები მიუსაჯა იმ იტალიელ ჩინოვნიკებს, რომლებმაც არგენტინელ ლეგიონერს ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიანიჭეს.

ზიდანმა ტაილანდში ითამაშა

ზინედინ ზიდანმა ტაილანდში საქველმოქმედო მატჩი გამართა. მთელ შემოსავალი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონში შიდსით დაავადებულთა ფონდში გადაირიცხა. ზიზუსთვის ეს იყო პირველი თამაში მუნდიალის სკანდალური ფინალის შემდეგ, რომლის დროსაც მან მარკო მატერაცის თავი ჩაარტყა და წითელი ბარათი აუფრიალეს. ზიდანის გარდა, მატჩი მონაწილეობა მიიღეს ტაილანდის ესტრადის ვარსკვლავებმა და ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა.

ული შტაინიც ნიგერიის ნაკრებში

გერტი ფოგთსი ნიგერიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბის დაკომპლექტებას განაგრძობს. **თომას ჰესლერის** შემდეგ მან კიდევ ერთი სახელგანთქმულ თანამემამულეზე შეაჩერა არჩევანი. თუ ჰესლერი ფოგთსის მარჯვენა ხელი იქნება, ნიგერიელ მეკარეებს ბუნდესნაკრების ყოფილი გოლკიპერი **ული შტაინი** მოამზადებს.

სერია A. სამწვრთნელო გადაადგილებები

ძაკერონი წავიდა, დე ბიაზი დაბრუნდა

კალიარიც ძველს მიუბრუნდა: კოლომბას ნაცვლად, ისევ ჯამპაოლო

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებამ უკვე 9 მწვრთნელი შეიწირა: გუშინ, "ტორინომ" კარისკენ მიუთითა **ალბერტო ძაკერონის**, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა. მაგრამ ფაქტია, გამოცდილმა სპეციალისტმა გაჭირვებულ "ტოროს" ვერ უშველა. დეკემბერში იყო პერიოდი, როცა გუნდი თითქოს ათამაშდა, კარგა ხანს არ აგებდა კიდეც, მაგრამ მერე ისევ აურია. დღესდღეობით, "გრანატა" მე-16 ადგილზეა და მხოლოდ 2 ქულით უსწრებს გასავარდნი ზონის მეთაურ "მესინას". არადა, რამდენიმე დღის წინ "ტორინოს" პრეზიდენტმა **ურბანო კაირომ** ძაკერონისადმი ნდობა დაადასტურა, აღნიშნა რა, რომ ერთ დროს იტალიის ჩემპიონი (1999, "მილანი") მწვრთნელი, ნებისმიერ შემთხვევაში, პოსტზე სეზონის ბოლომდე დარჩებოდა. მაგრამ "კიევოსთან" შაბათს განცდილმა მარცხმა (0:3 და "ტორინოს" ზედიზედ მეექვსე ფიასკო) სინიორ კაიროს მოთმინებას წერტილი დაუსვა. თამაშის შემდეგ მან მოკლე, მაგრამ ყველასთვის გასაგები კომენტარი გააკეთა: *"ჩემთვის ეს აბსოლუტური შოკი და იმედგაცრუებაა. როგორ შეიძლება, თავმოყვარე გუნდი ასე თამაშობდეს?! ძაკერონი? ამაზე ვიმსჯელებთ".*

...და იმსჯელეს. ყველაფერი გუშინ დილით გადაწყდა. ძაკერონი პრეზიდენტმა დაიბარა და ამცნო, რომ შექმნილი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი კონტრაქტის განყვეტა იქნებოდა. სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ ძაკის დანიშვნას კლუბის ფანები პროტესტით შეხვდნენ. თავის მხრივ, მწვრთნელსაც ჰქონდა გარკვეული პრეტენზიები "ტორინოს" შეფების მიმართ. ცნობილია, რომ ის არ იყო კმაყოფილი იანვრის სატრანსფერო ოპერაციებით.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ძაკერონი უკვე "ტორინოს" წარსულია. გუშინვე, პრეზიდენტმა კაირომ პოსტზე დააბრუნა **ჯანი დე ბიაზი**, რომელიც ამ სეზონის დასაწყისში, 2006 წლის 7 სექტემბერს, ჩემპიონატის სტარტამდე სამი დღით (!) ადრე დაითხოვა. "გრანატას" წინაშე დე ბიაზის დამსახურება ის გახლავთ, რომ გუნდი სერია A-ში სწორედ მისი მეოხებით დაბრუნდა, თუმცა მაშინ ეს არ დაუფასეს. ეტყობა, ბატონი ურბანო ცოდვას ინანიებს. დე ბიაზიმ, რომელსაც კონტრაქტი 2008 წლის ივნისამდე გაუფორმეს, "ტორინო" გუშინ საღამოსვე ავარჯიშა. ხელახალი დებიუტი კი ხვალ, "კალიარისთან" საშინაო მატჩში ექნება.

სხვათა შორის, გუშინ მწვრთნელი "კალიარისაც" შეეცვალა და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, აქაც ძველი ბოსი დაბრუნდა. 2006 წლის 17 დეკემბერს გაგდებულმა **მარკო ჯამპაოლომ** კვლავ აიღო ხელში მართვის სადავეები, შეცვალა რა **ფრანკო კოლომბა**, რომელსაც სარდინიული კლუბის პრეზიდენტმა **მასიმო ჩელინომ** "ლაციოსთან" წაგება (0:2) არ აპატია. თავის დროზე, ჯამპაოლო "უდინეზესთან" წაგებას (1:3) გადაჰყვა. კოლომბას ხელში "კალიარიმ" 8 მატჩი გამართა: 2 მოგება, 5 მარცხი და ერთი ფრე. ჯამპაოლოს მონაგარი კი ასეთი იყო: 2 მოგება, 4 მარცხი და 10 ფრე. ახლა, "კალიარი" მე-14 ადგილზეა და სულ რაღაც 3 ქულითაა დაშორებული უბედურების ზონას.

ბოლოს კი, სერია A-ს მიმდინარე მარათონისას მომხდარ ყველა სამწვრთნელო გადაადგილებასაც შეგახსენებთ.

ტორინო - დე ბიაზი/**ძაკერონი**
ასკოლი - ტესერი/**სონეტი**
კიევო - პილონი/**დელ ნერი**
კალიარი - ჯამპაოლო/**კოლომბა**
უდინეზე - გალეონე/**მალეზანი**
მესინა - ჯორდანო/**კავაზინი**
პარმა - პიოლი/**რანიერი**
ტორინო - ძაკერონი/**დე ბიაზი**
კალიარი - კოლომბა/**ჯამპაოლო**

ექსპერტის აზრი



არიგო საკი: კალჩო ისტერიკაშია

არიგო საკი გუშინ იტალიაში მომხდარ სამწვრთნელო ცვლილებებს გამოეხმაურა. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა "კალიარისა" და "ტორინოს" მესვეურები, რომლებმაც, როგორც აღმოჩნდა, ორმაგი შეცდომა დაუშვეს: ჯერ ერთი, რომ ადრეულ ეტაპზე დაითხოვეს მწვრთნელები, ახლა კი, ჩემპიონატის მეორე სტადიაზე, ისინი უკან დააბრუნეს. აი, საკის კომენტარიც:

"კალჩო ისტერიკამ მოიცვა. "ტორინოსა" და "კალიარიში" ძველი მწვრთნელების დაბრუნება პრეზიდენტების მხრიდან პასუხისმგებლობის აბსოლუტურ დეფიციტზე მიუთითებს. ეს ხაზს უსვამს იმასაც, რომ ბოსები ორმაგ შეცდომას უშვებენ: ჯერ ათავისუფლებენ მწვრთნელებს, მერე კი, იმავე სეზონში, პოსტებზე აბრუნებენ. ფაქტობრივად, არ რჩება მცირედი დროც კი საიმისოდ, რათა გრძელვადიანი პროექტები განხორციელდეს. ასე, გუნდებს ვერ გააკეთებენ, ხოლო ეს კლუბები, ამ პრეზიდენტების ხელში, მუდმივად წარუმატებლობისთვის არიან განწირულნი. არანაირი მოთმინების უნარი, იტალიელ პრეზიდენტებს მუშაობის კულტურა არ ჰყოფნით".

მადრიდული დერბი

მსაჯმა შეცდომა აღიარა

ატლეტიკოს მეორე გოლი ჩასათვლელი იყო!

არბიტრმა, რომელმაც მადრიდული დერბიში "ატლეტიკოს" გოლი არ ჩაუთვალა, აღიარა, რომ შეცდა. კვირას გამართული დაპირისპირება ფრედ, 1:1 დასრულდა. "როხიბლანკო" მე-11 წუთზე, **ფერნანდო ტორესის** გოლით დაწინაურდა. სამ წუთში კოლუბიელმა მცველმა **ლუის პერეამ** "რეალის" კარი მეორედ აიღო, მაგრამ **არტურო დაუდენ იბანიესმა** გოლი თამაშგარის მოტივით გააუქმა. გამეორებისას ნათლად ჩანდა, რომ ბურთი წესების დაცვით იყო გატანილი. სამეფო კლუბმა 61-ე წუთზე, **გონსალო იგუაინის** დარტყმით გაათანაბრა. არგენტინელმა თინეიჯერმა მადრიდში გადასვლის შემდეგ პირველად შეაგდო. ამავე დროს, იგუაინის გოლმა "ატლეტიკოსთან" რეალის ნაუგებელი სერია შვიდ წლამდე აიყვანა.

მიმომხილველები აღიარებენ, რომ პერეას გოლის ჩათვლის შემთხვევაში, "რეალს" ძალიან გაუჭირდებოდა მდგომარეობის გამოსწორება. შეხვედრამ "ატლეტიკოს" სრული უპირატესობით ჩაიარა და ფრე უსამართლო შედეგი იყო. მეორე დღეს გაზეთმა "მარკამ" დაუდენ იბანიესის კომენტარი გამოაქვეყნა: *"როცა ეპიზოდი ტელევიზორში ვნახე, დავრწმუნდი, რომ მცდარი გადაწყვეტილება მივიღე. ვალდებული ვარ, მომხდარი გავაანალიზო, რათა მსგავსი რამ მომდევნო მატჩებშიც არ განმეორდეს. რა გაეწყობა. ხანდახან მინდორზე მოვლენები სულ სხვაგვარად ჩანს."* სენიორ იბანიესი 42 წლისაა. პროფესიით ის ბიოლოგიის მასწავლებელი გახლავთ.

ამგვარად, თამაშის ფრედ დასრულების შემდეგ სატურნირო მდგომარეობა არ შეცვლილა. "რეალი" მეოთხე საფეხურზე დარჩა, ხოლო "ატლეტიკო" მეხუთეზე და მათ ერთმანეთისაგან სამი ქულა ჰყოფთ. ლიდერი "ბარსელონა" დედაქალაქურ კლუბებს, შესაბამისად, ექვსი და ცხრა ქულით უსწრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

დადებითი? მხოლოდ კობიაშვილი

პროგლემას პროგლემა მოსდევს: კრსტაიჩიც დაშავდა, ლინკოლნს დისკვალიფიკაცია ელის, წინ ურთულესი მატჩებია...

კვირას "შალკემ" "ლევერკუზენთან" უმნიშვნელოვანესი და შესაძლოა, გადამწყვეტი მატჩიც კი წააგო. ბოლო ორ ტურში გელზენკირხენული კლუბის მდევრებმა ქულები უხვად დაკარგეს და ლევან კობიაშვილის გუნდს შეეძლო, ამით ესარგებლა, მაგრამ... ისევ უიღბლობა, ისევ ნერვიულობა - "შალკე" წარსულში ბრუნდება? უიღბლობა იყო ის, რომ "ხუმარებმა" ვოლფსბურგში მოგება უკანასკნელ წუთზე გაუშვეს ხელიდან (დიეგო კლიმოვიჩმა გაუთანაბრა) და უიღბლობა იყო ისიც, რომ გუშინწინ "ლევერკუზენის" ახალგაზრდა მეკარე რენე ადლერმა 7 მკვდარი ბურთი მოიგერია. ხოლო იმას, რომ მირკო სლომკას გუნდმა 85-ე წუთზე აქეთ გაუშვა გოლი, ბედის დაცინვა უნდა ვუწოდოთ. რა ხდება? საფეხბურთო ღმერთებმა ისევ "შალკეს" წინააღმდეგ შეკრეს პირი?

დავიწყოთ იმით, რაც კვირას გელზენკირხენის "ფელტინს არენა აუფ შალკეზე" საფინალო სასტვენის შემდეგ მოხდა. თამაში უკვე დასრულებული გახლდათ, მაგრამ **მირკო სლომკას** შეგირდები ვერ იჯერებდნენ იმას, რომ არათუ ვერ მოიგეს, არამედ დამარცხდნენ. თანაც იმ დროს, როცა მეორე ტაიმში უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს. დაისაჯნენო, ვერ ვიტყვით, რადგან 90 წუთის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი შეცდომა დაუშვეს და ისიც გაშვებული გოლად დაუჯდათ. სხვა მხრივ კი, **უკობიაშვილოდ** დარჩენილმა "შალკემ" ისევ ისე გულიანად ითამაშა, როგორც მანამდე თამაშობდა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წააგო.

წგებაზე არანაკლებ გულსატკენი იყო ის, რაც საფინალო სასტვენის შემდეგ **ლინკოლნმა** გააკეთა. ბრაზილიელმა ლევერკუზენელ **ბერნდ შნაიდერს** სახეში ისე გაარტყა, რომ ამ უკანასკნელმა წონასწორობა ვეღარ (ან აღარ) შეინარჩუნა და მინდორზე დაენარცხა. მსაჯმა, რა თქმა უნდა, მაშინვე ამოიღო წითელი ბარათი და ლინკოლნი მოედნიდან გააძევა. არადა, თამაში უკვე დასრულებული იყო და ბრაზილიელს ნერვები რომ მოეთოკა, წითელ ბარათს გადაურჩებოდა. ახლა კი დისკვალიფიკაცია ელის (მინიმუმ ორმატჩიანი). ესღა აკლდა ისედაც ყელამდე პრობლემებში ჩაფლულ "შალკეს"?

"კიდევ კარგი, ბოლო წუთს შევამჩნიე, დარტყმას რომ მიპირებდა და თავი ოდნავ გავწიე, თორემ ნოკაუტში ჩამაგდებდა." - ეს შნაიდერის სიტყვებია. ცნობილია, რომ ლინკოლნი ფეთქებადი პიროვნებაა და მისი წყობიდან გამოყვანა არც ისე რთულია. მისი საქციელი გაუმართლებელია, რაც მატჩის შემდეგ "შალკეს" ხელმძღვანელებმაც აღნიშნეს, მაგრამ აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც შნაიდერია "მამა აბრაამის ბატკანი" - "ლევერკუზენისა" და გერმანიის ნაკრების ვეტერან ნახევარმცველსაც ჩხუბისთავის იმიჯი აქვს. ერთი სიტყვით, მხოლოდ ლინკოლნის გაკიცხვა გაუმართლებელია და ამაში სულ ცოტა ხანში დარწმუნდებით.

"ლინკოლნის ხელს შნაიდერის სახესთან არაფერი ესაქმება!" - განრისხებული გახლდათ "შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**, რომელმაც თქვა, რომ ამ საქციელის გამო ბრაზილიელ გამთამაშებელს აუცილებლად დააჯარიმებს. მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** კი, აი, რა განაცხადა: *"ლინკოლნმა დააშავა, ეს ფაქტია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შნაიდერის მხრიდან პროვოკაციას ჰქონდა ადგილი."*

ამაში სიმართლის არც ისე პატარა მარცვალია. ექსპერტებმა გამეორებაზე შნაიდერისა და ლინკოლნის ყველა ორთაბრძოლას უყურეს და ერთ მომენტში, როცა "შალკეს" მეათე ნომერმა ბერნდის მოტყუება ვერ შეძლო, ლევერკუზენელის ტუჩებზე ეს დამცინავი სიტყვები ამოიკითხეს: *"...და შენ ამის მერე ბრაზილიელი ხარ?"* როგორც ირკვევა, ლინკოლნმა სწორად ვერ გაიგო შნაიდერის სიტყვები, მას ეგონა, რომ ბრაზილიური განავალი უწოდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ შნაიდერი შალკელს მთელი თამაშის მანძილზე კუდში დასდევდა და გასაქანს არ აძლევდა. ნებსით თუ უნებლიედ, შნაიდერი ლინკოლნის პერსონალური მეურვე გამოვიდა და უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეს ძალიან კარგად გაართვა თავი.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ლინკოლნს არასპორტული საქციელის გამო მოედნიდან აძევებენ. 2005 წელს მან შტუტგარტელ **ჰიტცლშპერგერს** შეაფურთხა, რის გამოც მაშინ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, ამჯერადაც დაახლოებით ასეთ სასჯელს უნდა ელოდოს. სხვათა შორის, ლინკოლნისა და შნაიდერის სცენა ერთადერთი არ იყო. ბრაზილიელის გაძევების შემდეგ შნაიდერს საქმის გარჩევა **ზლატან ბაირამოვიჩმა** დაუწყო და გამეორებაზე კარგად ჩანს, რომ შალკელი ლევერკუზენელს ეუბნება, მოკეტე, თორემ უარესს გიზამო, რაზეც ბერნდი ბოსნიელს ასე პასუხობს: *"დაწყნარდი, თორემ ჟურნალისტებს ყველაფერს მოვუყვები, ყველა ის ფრაზა, რასაც მოედანზე ამბობთ, დამახსოვრებული მაქვს."* საინტერესოა, რა ფრაზები იგულისხმა შნაიდერმა, თუმცა ჩვენ მათ შინაარსს ალბათ ვერ გავიგებთ, რადგან ბაირამოვიჩი ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ მართლაც დაწყნარდა და შნაიდერს განერიდა.

"თანაგუნდელებს, ფანებს და ხელმძღვანელებს ბოდიშს ვუხდი. ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. პროვოკაციას ჰქონდა ადგილი, თანაც წავაგეთ და მოკლედ, ნერვები ველარ მოვთოოკე. შნაიდერთან კი საბოდიშო არაფერი მაქვს." - ეს თვითონ ლინკოლნის სიტყვებია.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ "შალკემ" 13 მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა და საერთოდ, ამ სეზონში საკუთარ მოედანზე პირველად დამარცხდა. თუმცა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სლომკას თავისი შეგირდები არ გაუკრიტიკებია და სამართლიანადაც, რადგან შალკელებს არაფერი დაეწუნებოდათ. *"ჩვენ აუცილებლად მოგება გვინდოდა და ამიტომაც იყო, მეორე ტაიმში უკანმოუხედავ იერიშებზე რომ გადავედით. ამის გამო ჩემს შეგირდებს ვერ დავძრახავ, რადგან თვითონ მოვუწოდე, თამაში გახსენით და შეუტიეთ-მეთქი. აშკარად მეტს ვიმსახურებდით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით. ბიჭებმა ამ თამაშში სული და გული ჩადეს. ასე რომ, მათ ვერ ვუსაყვედურებ."* - განაცხადა სლომკამ.

ამასობაში, მდევრებმა ხელები მოიფშვნიტეს. "შტუტგარტი" "შალკეს" მხოლოდ 4 ქულითღა ჩამორჩება, "ვერდერი" 6-ით, "ბაიერნი" კი 9-ით. მართალია, მიუნხენური კლუბი ამ სამეულიდან "შალკესგან" ყველაზე შორსაა, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, გელზენკირხენელთა წაფორხილების შემდეგ კმაყოფილების შეძახილები ყველაზე მეტად მიუნხენიდან წამოვიდა. ალბათ იმიტომ, რომ ამ ტურის შემდეგ ხმის ამოღების უფლება მხოლოდ "ბაიერნს" ჰქონდა (მოწინავე ხუთეულიდან მხოლოდ რეკორდმაისტერმა მოიგო და იმიტომ). მაგრამ ის, რაც ბაირამოვიჩმა თქვა, ბავარიელებს ძალიან არ მოეწონებათ. კითხვაზე, ეშინია თუ არა იმის, რომ მიუნხენური კლუბი ფეხზე დადგება და "შალკეს" პრობლემებს შეუქმნის, "შალკეს" ბოსნიელმა ნახევარმცველმა ასე უპასუხა: *"ბაიერნი" ფეხებზე მკიდია! ჩვენ ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ. ძალიან კარგად ვითამაშეთ და გოლის გატანაც არაერთხელ შეგვეძლო."* ბაირამოვიჩმა ესეც თქვა: *"გულშემატკივრებმა ხელოვნური "ვერცხლის სინები" ისევ უნდა შეინახონ. სიმართლე გითხრათ, ისედაც ნერვები მეშლებოდა, როცა ტრიბუნებზე "ვერცხლის სინის" მაკეტებს ვხედავდი. გერმანიის ჩემპიონობა ჯერ არ გაგვინაღდებია და როცა გავინაღდებთ, მერე ვიზეიმოთ."*

"ლევერკუზენთან" მატჩს "შალკეს" კიდევ ერთი წამყვანი ფიგურა შეეწირა. **მლადენ კრსტაიჩმა** 68-ე წუთზე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. როგორც გაირკვა, გამოცდილი სერბი მცველი ლაზარეთში მინიმუმ ერთ თვეს დაყოფს, რაც გელზენკირხენული კლუბისთვის სერიოზული დანაკლისი იქნება. ამრიგად, კრსტაიჩის დაშავების შემდეგ ტრავმირებულ ფეხბურთელთა სია გაიზარდა. "შალკეს" მომდევნო თამაში პარასკევს, ფეხზე დამდგარ და გამოცოცხლებულ "ჰამბურგთან" აქვს, სადაც **პეტერ ლოვენკრანდსი, გუსტავო ვარელა, სიორენ ლარსენი, ჯერალდ ასამოა, კრისტიან პანდერი,** ხსენებული კრსტაიჩი (ყველა ტრავმირებულია) და ლინკოლნი (დისკვალიფიკაციას მიუსჯიან) ვერ ითამაშებენ. ერთადერთი დადებითი ინფორმაცია ის გახლავთ, რომ "შალკეს" **კობიაშვილი** დაუბრუნდება, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა. ასე რომ, კობი "ჰამბურგთან" ითამაშებს. ისე კი, გელზენკირხენულ კლუბს უახლოესი ერთი თვის მანძილზე ურთულესი კალენდარი აქვს და სწორედ ამ ერთმა თვემ უნდა გაარკვიოს, არის თუ არა "შალკე" მართლაც მზად ჩემპიონობისთვის და გადაიტანს თუ არა ეს გუნდი საკადრო პრობლემებს. "ჰამბურგის" შემდეგ "ხუმარები" ჰანოვერში ჩადიან (ეს გუნდი მადაზეა მოსული), მერე "შტუტგარტს" მასპინძლობენ, რის შემდეგაც "ბაიერნთან" ექნებათ საქმე (მიუნხენში, "ალიანს არენაზე")...

გოტფრიდ ლენცი







შალკე-ლევერკუზენი. მატჩის დამთავრებისთანავე ლინკოლნმა შნაიდერს ჩხუბი აუტეხა, ბრაზილიელს დისკვალიფიკაცია გარანტირებულია

პიოტრ ტროხოვსკი ჰამბურგიდან მიუნხენში ბრუნდება

ბაიერნი

ტროხოვსკის აბრუნებენ

სოსა მოდის, სანტა კრუსს წასვლა უნდა, პისაროს კიდევ ერთხელ დაელაპარაკებიან...

არგენტინული გამოცემა "კლარინი" იტყობინება, რომ "ესტუდიანტესის" ახალგაზრდა ნახევარმცველ **ხოსე ერნესტო სოსას** მიუნხენის "ბაიერნში" ტრანსფერი გადაწყვეტილია და რომ 21 წლის ფეხბურთელი მომავალი სეზონიდან ბავარიულ გრანდში ითამაშებს. ხსენებულ გამოცემაში მოყვანილია "ესტუდიანტესის" ვიცე-პრეზიდენტ **გილერმო ჩიკეტის** კომენტარები, სადაც ის ადასტურებს, რომ არგენტინული გრანდი "ბაიერნის" ბოსების წინადადებას დათანხმდა. "კლარინის" ცნობით, რეკორდმაისტერი სოსას სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს იხდის.

ეს ინფორმაცია გუშინ "ბაიერნის" მესვეურებმაც დაადასტურეს. რეკორდმაისტერის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ სოსა დღეს-ხვალ მიუნხენში ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც კონტრაქტს გააფორმებენ. არგენტინელი ნახევარმცველი "ბაიერნის" მაისურას 1 ივლისიდან მოირგებს.

მიუნხენური კლუბის შეფები სოსას ბოლო სამი წლის მანძილზე აკვირდებოდნენ და მისი შესაძლებლობების შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად იციან. ეს არის ნახევარმცველი, რომელსაც შუა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში - ორივე ფლანგზე, ფლეიმეიქერად და საყრდენი ნახევარმცველის პოციციაზეც. 21 წლის სოსა დინამიურ, სწრაფ, ტექნიკურ და ფიზიკურად ძლიერ მოთამაშედ ითვლება. თუკი ეს ტრანსფერი განხორციელდება, სოსა საგაისოდ "ბაიერნის" მესამე ახალწვეული იქნება. როგორც იცით, მიუნხენური კლუბის ბოსებმა უკვე გაუფორმეს წინასწარი კონტრაქტები აახენის "ალემანიის" ფორვარდ **იან შლაუდრაფს** და "შალკეს" თურქ ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს**.

სოსას გარდა, "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ამ დღეებში **კლაუდიო პისაროს** კონტრაქტსაც უნდა მიხედონ. როგორც იცით, პერუელს ხელშეკრულების ვადა სეზონის დასრულებისთანავე ეწურება. მენეჯერ **ული ჰიონესის** მხრიდან ახალი კონტრაქტის გაფორმების მცდელობა არაერთხელ იყო, მაგრამ პისარო ხელფასის გაორმაგებას ითხოვდა, რის გამოც მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს. ული 28 წლის თავდამსხმელს ამ კვირაში კიდევ ერთხელ გაესაუბრება და იმედი აქვს, რომ შეთავაზებულ პირობებზე თანხმობას მიიღებს. იმაზე, რომ ბავარიელებს კლაუდიოს შენარჩუნება ძალიან უნდათ, თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ჰიონესმა "ვოლფსბურგთან" მატჩის შემდეგ თქვა, დღეს პისარომ ძალიან კარგად, მეტიც, შესანიშნავად ითამაშაო.

სამაგიეროდ, სხვა თავდამსხმელმა მიუნხენიდან აბარგება გადაწყვიტა. საუბარია **როკე სანტა კრუსზე**, რომელმაც რეკორდმაისტერში ვერა და ვერ გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები. 25 წლის პარაგვაელ ფორვარდს "ბაიერნთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ უკმაყოფილოა იმით, რომ მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხეხავს და თამაში იშვიათად უხდება. სწორედ ამიტომ, სანტა კრუსმა განაცხადა, არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ მიუნხენიდან წავიდეო. როკე პირდაპირ ამბობს, რომ ჯერ შეთავაზებები არ აქვს, თუმცა იქვე ამატებს, ეს არცაა გასაკვირი, რადგან თამაში თითქმის არ მიწევსო. საინტერესოა ის გახლავთ, რომ სანტა კრუსი ბუნდესლიგაში დარჩენას გამორიცხავს. *"ინგლისი ან ესპანეთი, რომელიმე გერმანულ კლუბში გადასვლას ამ თავითვე გამოვრიცხავ."* - ამბობს როკე.

ამასობაში, ჰიონესს და **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ახალი იდეა გაუჩნდათ. "კიკერის" ინფორმაციით, განსაკუთრებით ვიცე-პრეზიდენტი რუმენიგეა დაინტერესებული იმით, რომ "ბაიერნში" "ჰამბურგის" ნახევარმცველი **პიოტრ ტროხოვსკი** დააბრუნოს. გეხსომებათ, 22 წლის "ტროხე" 2002-დან 2004 წლამდე "ბაიერნში" ირიცხებოდა, მაგრამ უდიდესი კონკურენციის გამო თამაში იშვიათად უხდებოდა და მერე "ჰამბურგში" გაყიდეს, სადაც მას მერე სერიოზული პროგრესი განიცადა. თავად განსაჯეთ, ტროხოკსკის გერმანიის ნაკრებში ადგილი ფაქტობრივად დაჯავშნული აქვს - ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** მისი დიდად ეიმედება.

აქვე შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ "ბაიერნს" **ჰასან სალიჰამიჯიჩი** დატოვებს და "იუვენტუსში" გადავა, **მეჰმეთ შოლმა** კი კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ ფრანკ არნესენთან

ასე დავიპყროთ მსოფლიოს...

ჩელსის ტრანსფერების მენეჯერი აბრამოვიჩის არისტოკრატულ გეგმებს გვიმხელს...

საკმარისი იყო ჟოზე მოურინიოს რომელიმე, თუნდაც ნახევრადცნობილი ფეხბურთელი მოსწონებოდა და ამ ფეხბურთელს მესაკუთრე კლუბები სულ ცოტა 20 მილიონ გირვანქად აფასებდნენ. ამ ფასებს რომან აბრამოვიჩი თავიდან მოთმინებით ისმენდა, მაგრამ ერთხელაც მობეზრდა. 2005 წლის გაზაფხულზე რუსმა ნავთობმაგნატმა კაბინეტში დაიბარა პიეტ დე ვისერი, მისი პირადი სკაუტი, და უთხრა, რომ რამდენიმე წელინადში მის კლუბს ვარსკვლავები უნდა გაეზარდა პირველი გუნდისთვის. "ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო სკაუტი?" – იკითხა საუბრის ბოლოს აბრამოვიჩმა. "ფრანკ არნესენი – უპასუხა ვისერმა – ეს არის კაცი, რომელმაც "ეინდჰოვენის" გენერალურ დირექტორად მუშაობის დროს რონალდო ევროპაში ჩამოიყვანა. მაგრამ არის ერთი პრობლემა: დღეს ის "ტოტენჰემისთვის" მუშაობს". როცა აბრამოვიჩი ხარ, პრობლემა არ არის. "ჩელსიმ" "ტოტენჰემს" ჯარიმის სახით 8 მილიონი გირვანქა გადაუხადა, არნესენმა კი ლონდონის დასავლეთით, კობჰემის ახალ მოსამზადებელ ცენტრში ახალი ოფისი ჩაიბარა. თანამდებობა – director of youth football development (ბავშვთა საფეხბურთო სექტორის განვითარების კოორდინატორი).

ფრანკ არნესენი, 80-იანი წლების "ეინდჰოვენისა" და დანიის ნაკრების გარემარბი, "დანიური დინამიტი", როგორც თავის დროზე უწოდებდნენ, იტალიურ "გაძეტა დელო სპორტს" "ჩელსის" ახალგაზრდული სკოლის სტრუქტურაზე და პრინციპებზე ესაუბრა: "ჩვენი ყველა ასაკობრივი გუნდი ერთი და იმავე 4-3-3 ტაქტიკით თამაშობს, ნახევარდაცვის სამეულიდან ცენტრალური არის არა უკანდახეული, არამედ წინწაწეული ნახევარმცველი. ის სამი თავდამსხმელის უკან თამაშობს, გვერდით კი ორი გარემარბი ჰყავს. ერთი სიტყვით, ექვსი შემტევი ფეხბურთელი გვყავს. ჩემი სურვილია, რომ გუნდში ბევრი თავდამსხმელი გვყავდეს, რადგან ფეხბურთი სწორედ შეტევაში თამაშით ისწავლება: ბიჭი, რომელმაც კარიერა თავდამსხმელად დაიწყო, შემდგომში დაცვაშიც უპრობლემოდ ითამაშებს და ეცოდინება ბურთით რა გააკეთოს, საპირისპირო ვარიანტი კი - მცველობიდან თავდამსხმელად გადასვლა – არასოდეს ამართლებს. ჩემს პსვ-ში, გუნდში, რომელმაც 1988 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო, ყველა ისეთი ფეხბურთელი თამაშობდა, ვინც სასკოლო პერიოდში თავდამსხმელი ან შემტევი ნახევარმცველი იყო. რაკი თქვენ იტალიდან ხართ, ამ შემთხვევისთვის საუკეთესო მაგალითი პირლოა. დღეს ის დაცვის ხაზის წინ მოთამაშე დიდი საყრდენი და დიდი დირიჟორია, მაგრამ წლების წინ კლასიკური 10 ნომერი იყო". "ჩელსის" სკოლის ყველაზე იმედისმომცემ ახალგაზრდად სადღესოდ 17 წლის ებრაელი თავდამსხმელი ბენ საჰარია. "არისტოკრატებმა" ის გასულ წელს თელ ავივის "ჰაპოელისგან" 550 ათას ევროდ შეიძინეს. ცოტა ხნის წინ საჰარს ისრაელის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა.



ფრანკ არნესენს ზურგს აბრამოვიჩის მილიონები უმაგრებს

- არნესენ, ეთანხმებით მათ, ვინც მსოფლიოს საუკეთესო ტალანტ-სკაუტს გინოდებთ?

- ეს ცოტა პოეტურ გამონათქვამს ჰგავს, გადაჭარბება აშკარაა, მაგრამ მთლად აზრს მოკლებულიც არ არის. ცხადია, არა ვარ ის ფენომენი, რომელიც ტალანტებს ყველაგან ამჩნევს, ეს ეტიკეტი მას შემდეგ შემომრჩა, რაც რონალდო სხვებზე ცოტა უფრო ადრე აღმოვაჩინე. საკუთარ თავს ასეთ დეფინიციას მივცემდი: ვარ დირექტორი, რომელიმაც მოკლე დროში, და იმ საშუალებების წყალობით, რომელიც მის განკარგულებაში იყო, მსოფლიოს საუკეთესო სასელექციო სტრუქტურა შექმნა. ყოველ შემთხვევაში, მე მას ასეთად მივიჩნევ.

- რაში გამოიხატება მისია, რომელიც რომან აბრამოვიჩმა დაგაკისრათ?

- მიზანი, რომელიც "ჩელსიმ" საკუთარ თავს დაუსახა, უპრეცედენტოა. 2004 წელს აბრამოვიჩმა და პიტერ კენინმა შეიმუშავეს ათწლიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც 2014 წელს "ჩელსი" მსოფლიოს ყველაზე დიდ კლუბად უნდა იყოს მიჩნეული. დამეთანხმებით, რომ მეტად საინტერესო პროექტთან გვაქვს საქმე. პროექტში სტრატეგიული როლი ენიჭება ახალგაზრდულ სექტორს, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ უეფამ ახალი წესები შემოიღო საკლუბო სკოლებში ფეხბურთელების აღზრდის წასახალისებლად (მაგალითისთვის, უეფას ერთ-ერთი წესის თანახმად, კლუბს ჩემპიონთა ლიგის ან უეფას თასის განაცხადში საკუთარ სკოლაში აღზრდილი ოთხი ფეხბურთელი უნდა ჰყავდეს შეყვანილი).

- ფუნქციები როგორ გაქვთ განაწილებული?

- ძალიან მარტივად. მაგალითად, მოურინიო მოდის და მეუბნება, რომ რაღაც პოზიციაზე ალტერნატივა სჭირდება, დავუშვათ, მარცხენა გარემარბი. მე მის მოთხოვნას ჩემს ქსელში ვავრცელებ და მოკლე ხანში მწვრთნელთან მიმაქვს სამი საუკეთესო მარცხენა გარემარბის სრული დოსიე, სადაც იერარქია ჩემ მიერ არის განსაზღვრული, თუმცა, ცხადია, ჟოზეს მისი შეცვლა ისე შეუძლია, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ. ამის შემდეგ საქმეში ერთვება კენიონი, კაცი, რომელიც მოლაპარაკებებს უძღვება.

- ბოლოს აბრამოვიჩის ჯერი დგება...

- ეკონომიურად ძლიერი მესაკუთრის ყოლა კლუბს დიდ უპირატესობას აძლევს. თუმცა, პირადად, ვამჯობინებ, რომ მისი რესურსები ძლიერი სტრუქტურების შექმნას მოვახმარო, ვიდრე ცალკეული ფეხბურთელების შეძენას. სკაუტების ორგანიზაციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ "ეინდჰოვენის" პერიოდიდან მქონდა, აქ კი დამხვდა ფული, რომ ამ იდეის რეალურად განხორციელება დამეწყო. არ იფიქროთ, რომ ორგანიზაციის შექმნა ბევრად მეტი დამიჯდა, ვიდრე სხვა დიდ კლუბებს. ჩემი ბიუჯეტი, რომელშიც სკოლა და სკაუტები შედიან, დაახლოებით 7 მილიონ ევროს უტოლდება. (თავისი ქსელის უკეთ აღსაწერად არნესენი თაროდან სამ დიდ რუკას იღებს: ერთი ლონდონის, ერთი დიდი ბრიტანეთის და ერთიც ევროპის. აღწერა დედაქალაქით იწყება). ეს "სტემფორდ ბრიჯია", ჩვენი სტადიონი და აი, პირველი წრე, რომელიც მის გარშემო მოვხაზე: ამ წრეში ვგულისხმობ 7-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებს, ყველა მათგანი ინგლისში მცხოვრები იქნება, რადგან ამ ასაკობრივ ჯგუფში უცხოელებს ვერ გავზრდით. შემდეგ მოდის მეორე წრე, რომელშიც 13-დან 15 წლამდე ასაკის ბიჭები გაერთიანდებიან. ევროკავშირში მცხოვრებ ფეხბურთელებთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება 16 წლიდან შეიძლება, 18 წლიდან კი უკვე ნებისმიერის აყვანა შეგიძლია.

- რამდენი სელექციონერი გყავთ?

- 20 ლონდონში, 14 დიდი ბრიტანეთის სხვა ქვეყნებში და კიდევ 18 კაცი, რომლითაც მსოფლიოს ყველა საფეხბურთო ქვეყანას ვფარავთ. 16-წლამდელებით დაწყებული, ჩვენი სკაუტები მსოფლიოს არცერთი ახალგაზრდული ნაკრების თამაშს არ ტოვებენ. გარდა ამისა, უყურებენ ინგლისის პირველი სამი ლიგის ყველა თამაშს და ასევე ბევრ შეხვედრას მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატებში. წელინადში ოთხჯერ ჩვენს ყველა სელექციონერს ლონდონში ვიბარებ: აგვისტოში მომავალი სეზონის მიზნებს ვსახავთ, დეკემბერში არსებული მდგომარეობის ანალიზს ვაკეთებთ, მარტში შესაძენი ფეხბურთელების სიას ვადგენთ, მაისში კი თითოეულ მათგანთან ინდივიდუალური საუბრები მაქვს, რათა კონკრეტულად გავიგო პრობლემები, გეგმები, სატრანსფერო ბაზრის სიახლეები. ეს ძალიან მძიმე და შრომატევადი სამუშაოა, რადგან ბაზარზე პირველობისთვის ბრძოლაში აქცენტი სუპერვარსკვლავებიდან ახალგაზრდა ტალანტებზე გადავიდა. გასული ჩემპიონატის მაგალითი ავიღოთ: "ინტერნასიონალმა" იმდენი მოახერხა, რომ ალექსანდრო პატო საერთოდ დამალა, სანამ ამ ახალგაზრდას კონტრაქტზე ხელი არ მოაწერინა. ახლა პატო 20 მილიონი ევრო ღირს.

გოგა ახალაძე

ვონგელა ინძაგის ნაცვლად?

"კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, "მილანსა" და "რომას" შორის საინტერესო გარიგება მზადდება. "როსონერის" **ვინჩენცო მონტელასთან** საიჯარო კონტრაქტის გაფორმება სურს. სანაცვლოდ კი დედაქალაქელებს ერთწლიანი იჯარით დაუთმობს **ფილიპო ინძაგის**. ინძაგი მილანელთა ძირითადში ვერ ხვდება. ანალოგიური პრობლემა აქვს მონტელასაც, რომელიც ახლა ექვსთვიანი იჯარით "ფულჰემში" ასპარეზობს.

მატერაცის მამა ბარის მწვრთნელად

"ტორინოსა" და "კალიარის" გარდა, ორშაბათს იტალიაში კიდევ ერთი სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა. სერია B-ში მოთამაშე "ბარის" ხელმძღვანელობამ **როლანდო მარანი** დაითხოვა და მის ადგილზე **მარკო მატერაცის** მამა **ჯუზეპე მატერაცი** დანიშნა. მატერაცი "ბარის" 1992-დან 1996 წლამდეც წვრთნიდა. ბოლოს ინტერისტას მამა ჩინეთში მუშაობდა და "ტიანშან ტედას" ედგა სათავეში. ამჟამად "ბარი" 29 ქულით მე-13 ადგილზეა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

დიდა: ბარსა თუ მაინც მილანი?

"გაძეტადელოსპორტის" ცნობით, აგვისტოს ტრანსფერებისას **დიდა** "ბარსელონასთან" გააფორმებს კონტრაქტს. "მილანის" კარის დარაჯს იტალიელებთან ხელშეკრულება უმთავრდება. ივნისში ის თავისუფალი აგენტი გახდება. სპეკულაციების თანახმად, დიდა ბრაზილიაში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ მოულოდნელად კატალონიიდან სარფიანი შეთავაზება მიიღო.

"გაძეტას" ინფორმაციას არ ადასტურებს **ფრანკ რიიკაარდი**. კატალონიელთა თავკაცმა დიდასა და **კაკასთან** დაკავშირებული ცნობები სპორტულ დირექტორ **ჩიკი ბეგირისტაინთან** გადაამოწმა, შემდეგ კი მიმომხილველებს აუწყა: *"ჩვენ ამ ორ ფეხბურთელზე არაფერი ვიცით. წარმოდგენა არ გვაქვს, საიდან გაჩნდა ეს ინფორმაცია. გაკვირვებული ვარ. ჩიკისთან არაერთი საკითხი განვიხილეთ. მათ შორის, საზაფხულო ტრანსფერები და ახალი კონტრაქტები."*

დიდას თემას "მილანის" თავკაცი **კარლო ანჩელოტიც** გამოეხმაურა. კარლეტომ თქმით, ის ფაქტი, რომ ბრაზილიელი ახალ კონტრაქტს არ აფორმებს, მისი სათამაშო პრაქტიკაზე არ აისახება. როცა დიდა მწყობრში იქნება, ძირითადში ითამაშებს. ის თავისუფალი ადამიანია. ამიტომ თავისუფალი არჩევანის გამო მის დაჩაგვრას არავინ აპირებს. ანჩელოტიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "როსონერი" მზადაა, ფეხბურთელთან გაისადაც ითანამშრომლოს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

კამორანეზი ინტერში მიდის?

სამუელში გაცვლაც რეალურია

ITALIURI პრესის ბოლო ინფორმაციით, ზაფხულში "იუვენტუსმა" **მაურო კამორანეზი** შეიძლება, "ინტერს" **ვალტერ სამუელში** გაუცვალოს. "ბებერი ქალბატონის" სერია B-ში დაქვეითების შემდეგ, იტალიარგენტინელი გუნდში საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დარჩა. მას შემდეგ ნახევარმცველი ყოველთვის ღიად აცხადებს, რომ ტურინს აუცილებლად დატოვებს, თუკი ხელმძღვანელობა სეზონის ბოლოს გუნდს რამდენიმე ვარსკვლავით არ გააძლიერებს და ევროპულ ელიტაში არ დააბრუნებს. აი, რა უთხრა კამორანეზმა იტალიურ სპორტულ ჟურნალ "კონტროკამპოს": *"ძალიან მშურდა იმ თანაგუნდელების, რომლებმაც ზაფხულში გუნდი დატოვეს. "იუვენტუსის" ახალი პროექტი თავიდან ძალიან არადამაჯერებლად მეჩვენა, ბევრი ეჭვი მქონდა და თავს დასჯილად ვთვლიდი ისე, რომ ცუდი და უკანონო არაფერი ჩამედინა. "იუვენტუსთან" კონტრაქტით კიდევ ორი სეზონი მაქვს დარჩენილი და დიდი სირთულეების მიუხედავად, აქ თავს კარგად ვგრძნობ. ერთადერთი პირობა იმისთვის, რომ "იუვეში" დავრჩე, ისაა, რომ დარწმუნებული უნდა ვიყო ჩემს გადაწყვეტილებაში და კლუბის გეგმებში. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩემი დარჩენა ფულთან და ხელფასთან დაკავშირებული არანაირად არ არის."*

მაურო ხერმან კამორანეზი

მრავალ კლუბს შორის კამორანეზის მსურველად "ინტერიც" სახელდება. "ნერაძურის" სეზონის ბოლოს **ლუიში ფიგუ** ტოვებს და ხელმძღვანელობაც მის შემცვლელს ეძებს. გუშინ ერთბაშად რამდენიმე იტალიური გაზეთი წერდა, რომ ნახევარმცველი შეიძლება **ვალტერ სამუელში** გაიცვალოს, რაც რეალობისგან არც ისე შორსაა, იმის გათვალისწინებით, რომ არგენტინელმა მცველმა "ინტერის" ძირითადში ადგილი დიდი ხანია დაკარგა. "იუვენტუსი" კი, დაცვაში არსებული პრობლემების გამო, ყველაზე მეტად სწორედ ამ რგოლის გაძლიერებით არის დაინტერესებული. "იუვენტუსში" თვლიან, რომ სამუელის გამოცდილება გუნდს ძალიან წაადგება და, რომ არგენტინელი უკვე ნაყიდ **ზდენეკ გრიგერასთან** ერთად ცენტრში მშვენიერ დუეტს შექმნის. ამასწინათ "სინიორას" სპორტულმა დირექტორმა **ალესიო სეკომ** თქვა: *"ჩემთვის იდეალური მცველი პაოლო მონტეროა, სამუელი მას ძალიან წაგავს. თუმცა აქვს უნდა ვთქვა, რომ ცნობები, თითქოს "ინტერმა" მისი ბუფონში გაცვლა შემოგვთავაზა, მართალი არ არის."*

სამუელი "ინტერმა" 2005 წლის ზაფხულში "რეალისგან" 20 მილიონ ევროდ შეიძინა, კამორანეზის სატრანსფერო ფასი კი სეზონის წინ 7.5 მილიონი ევრო იყო. ამის მიუხედავად, პრესა ვარაუდობს, რომ კლუბები შეთანხმებას იოლად მიაღწევენ.

ფიორენტინა

ახალი კონტრაქტი ლუპოლის

ტონი და მუტუ: ჩემპიონატის ყველაზე ძლიერი წყვილი

"ფიორენტინამ" 20 წლის ფორვარდ **არტურო ლუპოლისთან** ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლუპოლის "არსენალთან" ხელშეკრულების ვადა სეზონის ბოლო ეწურებოდა, ფიფას წესებით კი, ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელს ახალ კლუბთან კონტრაქტის გაფორმების უფლება ეძლევა. *"ლუპოლი დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდაა* – თქვა ხელმონერის შემდეგ "ვიოლას" გენერალურმა დირექტორმა **პანტალეო კორვინომ** – *ძალზე კმაყოფილები ვართ, რომ მისი ჩამოყვანა შევძელით. თამაში ცენტრფორვარდის პოზიციაზეც შეუძლია და მეორე თავდამსხმელადაც, ამასთან ბრწყინვალე საგოლე ინტუიცია აქვს. ფლორენციაში კიდევ უფრო გაიზრდება იმ ვარსკვლავების გვერდით, რომლებიც გუნდში უკვე გვყავს".*

ამ ვარსკვლავებიდან ერთ-ერთ **ადრიან მუტუ** ლუპოლის გადაბირებას ასე მიესალმა: *"ვფიქრობ, რომ ჩვენმა კლუბმა მისი შეძენით კარგი ინვესტიცია გააკეთა. "არსენალში" შემთხვევით არავინ ხვდება, ლუპოლი დიდი ტალანტია".* სანამ ლუპოლი ჩამოვიდოდეს, "ფიორენტინას" გოლებით მუტუ და ტონი უზრუნველყოფენ. ამ ორი ფორვარდის დუეტი 24 გოლით ყველაზე შედეგიანია სერია A-ში. *ჩვენ ყველაზე ძლიერი წყვილი ვართ* – ადასტურებს რუმინელი, რომელსაც ფლორენციელმა ტიფოზებმა "ფენომენი" შეარქვეს – *ამაზე სტატისტიკა მეტყველებს, ჩემპიონატში ჩვენზე უკეთესი შედეგი არცერთ წყვილს არა აქვს. ჩემსა და ტონის შორის არანარი შური და კონკურენცია არ არსებობს, გოლების გატანაში ერთმანეთს მხოლოდ ხელს ვუწყობთ. მოედნის მიღმაც კარგი ურთიერთობა გვაქვს. ლუკა ბრწყინვალე ადამიანია, ძნელია, რომ მასთან კარგი ურთიერთობა არ გქონდეს. ჩემპიონატი? "ინტერი" უდავოდ ყველაზე ძლიერია, მაგრამ "ნერაძურის" შემდეგ საუკეთესო გუნდი "ფიორენტინაა". "ინტერის" გარდა, ყველასთან თანაბრად თამაში შეგვიძლია."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ხავიერ მასკერანოსთან

ვესტ ჰემი? ალბათ, მეც ვიყავი დამნაშავე

არგენტინელ ნახევარმცველს ლივერპულში დარჩენის იმედი აქვს...

შაბათს, "შეფილდ იუნაიტედთან" მატჩში, ხავიერ მასკერანომ პირველად მოირგო "ლივერპულის" მაისურა. არგენტინელმა შეუცვლელად ითამაშა და მთავარი მწვრთნელის, რაფა ბენიტესის მოწონება დაიმსახურა. მერსისაიდელთა თავკაცმა შენიშნა, რომ მასკერანომ შეხვედრა ნერვიულად დაიწყო, მაგრამ როგორც კი მღელვარებამ გაუარა, სადავეები ხელთ იგდო და გონივრულად გაუძღვა ლივერპულელთა შუა ხაზს. ეს ინტერვიუ კლუბის ოფიციალური ვერგვერდისათვის მომზადდა. ფეხბურთელი პრემიერლიგაზე, "ვესტ ჰემზე", "ლივერპულში" ტრანსფერსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

რაფა ბენიტეს ხავიერ მასკერანოს იმედი აქვს

- ხავიერ, როგორ გრძნობთ თავს, როგორ მოეწყვეთ ახალ კლუბში?

- შესანიშნავად. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი საქმეები ასე აეწყო. ფეხბურთელები გვერდში მიდგანან. ლივერპულში შექმნილი ატმოსფერო გუნდთან შეგუებას საგრძნობლად მიადვილებს. ცოტა ხნის წინ უცხოურ შეკრებაზე ვიყავით. ამან თანაგუნდელებთან კიდევ უფრო დამაახლოვა.

- ალბათ, დაიღალე, როცა ჯერ ფიფასგან და შემდეგ კი პრემიერლიგისაგან ლივერპულში თამაშის ნებართვას ელოდით...

- მართალი ბრძანდებით. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ტრანსფერს საუკუნე ველოდებოდი. როცა ბოლოს და ბოლოს მითხრეს, რომ ყველაფერი დასრულდა, გულზე მომეშვა. ჩემმა ოჯახის წევრებმაც შვებით ამოისუნთქეს. მძიმე წუთებში ისინი მამხნევებდნენ. მადლობა ღმერთს, რომ ამდენი კეთილი ადამიანით ვარ გარშემორტყმული.

- გაურკვევლობამ თქვენს მოტივაციაზე ხომ არ იმოქმედა?

- არავითარ შემთხვევაში. ამხელა კლუბში მოხვედრამ ენერგიით ამავსო. "ლივერპულში" ჩამოსვლისთანავე მის ნაწილად ვიგრძენი თავი. ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა მითხრეს, რომ მე მათი ოჯახის განუყოფელი ნაწილი ვარ.

- პირველად როდის შეიტყვეთ, რომ თქვენი შეძენა რაფა ბენიტესს სურდა?

- ორი-სამი თვის წინ. ყურებს არ დავუჯერე. წარმოიდგინეთ, აუტსაიდერ გუნდში ერთ წუთსაც არ მათამაშებდნენ და უცებ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი დაინტერესდა. ვიფიქრე, რომ ეს სპეკულაცია იყო. მერე რაფასაც ვესაუბრე. მან დაადასტურა, რომ ჩემს აყვანას აპირებდა. ვერ აგიწერთ, ისეთი მადლობელი ვარ. "ვესტ ჰემში" ჩემი საქმე ძალიან ცუდად იყო. რაფამ სრული იმედგაცრუებიდან გამომიყვანა. ეს ჩემი კარიერის საუკეთესო ტრანსფერია. ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებ.

- გიფიქრიათ, რომ ინგლისიდან სამუდამოდ წასულიყავით?

- იყო ასეთი მომენტები. "ვესტ ჰემში" ყოფნისას არ ვთამაშობდი და პერსპექტივასაც ვერ ვხედავდი. ერთი-ორჯერ მართლაც გავიფიქრე, რომ სხვაგან უნდა წავსულიყავი, მაგრამ მე ინგლისში მინდოდა კარიერის გაკეთება.

- ესე იგი, ინგლისში ჩამოსვლა არასოდეს გინანიათ?

- არა. "ვესტ ჰემში" ზედაც არ მიყურებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სასიამოვნო, მაგრამ მეჩვენება, რომ იმ პერიოდმა პიროვნული სიმტკიცე შემატა. ადამიანი ყველაზე მეტს ცხოვრების უმძიმეს წუთებში სწავლობს, მაგრამ მე მაინც მიხარია, რომ მოგონებები წარსულში დარჩა.

- გინდათ, თქვათ, რომ ლონდონში გატარებული თვეები თქვენი ცხოვრების უმძიმესი პერიოდი იყო?

- საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისში დიდი იმედით ჩამოვედი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სტაბილურად ვითამაშებდი და არაერთ წარმატებას მივაღწევდი, მაგრამ რეალობა რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. მძიმე პერიოდი იყო, მაგრამ სულიერად არ დავცემულვარ. მონდომებით ვვარჯიშობდი და ვარწმუნებდი საკუთარ თავს, რომ ჩემი დრო აუცილებლად დადგებოდა. სწორედ ამ იმედმა მომიყვანა "ლივერპულში".

- როგორ ფიქრობთ, რატომ არ გაგიმართლათ "ვესტ ჰემში"?

- პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილი მეც მეკისრება. ალბათ, ჩემი მომზადების დონე არ იყო საკმარისი, რომ ძირითადში სტაბილურად მეთამაშა. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიდა სამწვრთნელო შტაბი. არ მინდა, ყველაფერი სხვას გადავაბრალო. ალბათ, მეც ვიყავი დამნაშავე.

- "ლივერპულს" არაერთი ძლიერი ნახევარმცველი ჰყავს. როგორ ფიქრობთ, რს შესძენთ გუნდს?

- ამბიციურ კლუბს ბევრი ძლიერი ფეხბურთელი უნდა ჰყავდეს. მე ამ კლუბის ნაწილი ვარ და ჩემი სიამოვნებისთვის თამაშს არ ვაპირებ. მოგეხსენებათ, საყრდენი ნახევარმცველი ვარ. დროის უმეტეს ნაწილს დაცვაში თამაშს ვუთმობ, მაგრამ ბურთის გაკონტროლებაც კარგად მეხერხება. მინდა, "ლივერპულში" ჩემი საუკეთესო თვისებები წარმოვაჩინო.

- თქვენი აზრით, მასკერანო ჩაბისგან, ჯერარდისა და სისოკოსგან განსხვავებული ფეხბურთელია?

- ისინი ვარსკვლავები არიან. არასერიოზული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მე მათზე სრულყოფილი ფეხბურთელი ვარ.

- დარწმუნებული ხართ, რომ ინგლისურ ფეხბურთს ალღოს აუღებთ?

- ყველაფერს ვიღონებ, რომ ამაში სხვებიც დავარწმუნო. "ვესტ ჰემში" გატარებული პერიოდი ძალიან წამადგება. ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ ინგლისში ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ და სათანადო ფიზიკური მომზადების გარეშე ფონს ვერ გავალ, რომ ინგლისში ბურთი, ფაქტობრივად, არ ჩერდება და გუნდები მას ძალიან სწრაფად ათამაშებენ. მჯერა, რომ ადაპტირება არ გამიჭირდება. მე შემიძლია ინგლისში წარმატებული კარიერის გაკეთება.

- რა გითხრათ რაფამ თქვენი როლის შესახებ "ლივერპულში"?

- მას არ უთქვამს, როდის ან რამდენჯერ ვითამაშებ. რაფა მწვრთნელია. ესე იგი, მაშინ მათამაშებს, როცა საჭიროდ ჩათვლის.

- ადრე "ლივერპულის" საშინაო მატჩებს თუ დასწრებიხართ?

- არასოდეს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ველოდებოდი ამ წუთს.

- "კოპის" ("ენფილდის" ჩრდილოეთი ტრიბუნა, რომელზეც "ლივერპულის" ყველაზე ერთგული ფანები სხდებიან ხოლმე) თუ გსმენოდათ რამე?

- დიახ, ეს ვიცოდი. როცა "ლივერპულში" მოვდიოდი, ყველა ერთსა და იმავეს მიმეორებდა - "ენფილდზე" განსაკუთრებულ ატმოსფეროს ნახავო.

- როგორ გგონიათ, ბევრი რამ გაქვთ დასამტკიცებელი?

- ნაწილობრივ, ალბათ, ასეა. ნათელია, რომ კლუბი მენდო, მე კი ვალდებული ვარ, ნდობა გავამართლო.

- როგორ ფიქრობთ, "ლივერპულში" დიდხანს დარჩებით?

- იმედი მაქვს, ასე იქნება.

- ქალაქის გაცნობა თუ მოასწარით?

- არა, ბევრი არაფერი მინახავს. ვწუხვარ, მაგრამ თქვენს კითხვას ასე უნდა ვუპასუხო.

- სხვათა შორის, ლივერპულში ახალი არგენტინული რესტორანი გაისხსნა. თქვენ, პალეტა და ინსუა ერთად ხომ არ აპირებთ მის დაგემოვნებას?

- (იცინის) დიახ, რა თქმა უნდა. სიამოვნებით გავსინჯავთ ასადოს, როგორც კი დრო გვექნება.

მიონხენგლადბახის ბორუსია

ეფე გლადბახის მხსნელად?

წარსულის დიდი ფიგურა მზადაა, მწვრთნელობას შეეჭიდოს

შტეფან ეფენბერგი

კვირას მიონხენგლადბახის "ბორუსია" ბრემენის "ვერდერს" მასპინძლობდა და "მუსიკოსებს" ქულა ხელიდან გამოჰგლიჯა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით). ბოლო ადგილზე მყოფმა მიონხენგლადბახელებმა, რომლებსაც ქულები ჰაერივით სჭირდებათ, რათა მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდნენ, მოგებას მონატრებულ "ვერდერს" ანგარიში მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე გაუთანაბრეს. ეს **ნანდო რაფაელმა** გააკეთა, რომელმაც მატჩის შემდეგ აღნიშნა, ეს ისეთი ქულაა, რომელიც სამ ქულას უდრისო. ამ ფრემ "ბორუსიას" მდგომარეობა ოდნავ შეუმსუბუქა და გუნდის მწვრთნელ **იოს ლუჰუკეისაც** ამოსუნთქვის საშუალება მისცა, მაგრამ, საერთო ჯამში, "გლადბახში" მაინც ქაოტური მდგომარეობაა. რაც არ უნდა იყოს, გუნდი ისევ ბოლო ადგილზეა და ყველაზე მეტად ემუქრება ელიტიდან გავარდნა.

შემთხვევითი არ ყოფილა ის, რომ მიონხენგლადბახელებმა "ვერდერთან" მატჩამდე ბოლო ვარჯიში ვერ ჩაატარეს, რადგან გუნდის სანვრთნელ ბაზას განრისხებულმა გულშემატკივრებმა მიაშურეს, სავარჯიშო მოედანთან შუშხუნები და პეტარდები აანთეს, რის გამოც მოედანზე ისეთი ბოლი დადგა, რომ ვარჯიშის ჩატარება შეუძლებელი გახდა. ფანები მოითხოვენ, რომ ხელმძღვანელობამ ლუჰუკეი სასწრაფოდ გადააყენოს. მათი სურვილია, რომ "გლადბახი" **შტეფან ეფენბერგმა** გაწვრთნას. ეს უკანასკნელი კი, აი, რას ამბობს:

"გლადბახი" ჩემი მშობლიური გუნდია, რომელმაც საშუალება მომცა, ბუნდესლიგაში მეთამაშა. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ, რომ ჩემი გული "ბორუსიას" ეკუთვნის. ბოსებმა ჩემი ტელეფონის ნომერი ზეპირად იციან. თუ მწვრთნელის პოსტს შემომთავაზებენ, სიამოვნებით დავთანხმდები." - აცხადებს 38 წლის ეფე. "გლადბახის" მენეჯერი **პეტერ პანდერი** ამბობს, რომ მწვრთნელის შეცვლა მისი პროგროგატივა არ არის და ეფენბერგის თემას ამით თავს არიდებს. სხვა ხელმძღვანელები კი კომენტარის გაკეთებაზე უარს ამბობენ.



პაველ ნედვედი

პაველ ნედვედმა აღიარა, რომ "იუვენტუსის" სერია B-ში დაქვეითების შემდეგ, "ჩელსისგან" წინადადება მიიღო, მაგრამ აბრამოვიჩის ხალხი უარით გაისტუმრა. ჩეხმა ნახევარმცველმა "ბიანკონერიში" დარჩენა ამჯობინა და დღეს ამბობს, რომ ბედნიერია, მათ მაგალითს რომ არ მიბაძა, ვინც "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ ტურინიდან უკანმოუხედავად გაიქცა. *"ვადასტურებ, რომ "ჩელსი" მართლაც დამიკავშირდა და ძალიან დიდ ფულსაც დამპირდა, მაგრამ ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ტურინი დამეტოვებინა – უთხრა ჩეხმა ნახევარმცველმა "კორიერე დელო სპორტს" – არ ვნანობ, რომ "იუვეში" დავრჩი, პირიქით, ტურინიდან გაპარვას ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებდი".* ნედვედის კონტრაქტი "იუვენტუსთან" 2008 წელს იწურება. რა იქნება ამის შემდეგ, ეს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია: *"მიმდინარე ხელშეკრულებით, "იუვეში" კიდევ ერთი სეზონი მრჩება და ამ პირობას ბოლომდე პირნათლად შევასრულებ, მერე კი გადავწყვეტ, რა გზას დავადგე, თუმცა ახლა ამის პროგნოზირებას არ ვაპირებ. უკვე რამდენჯერმე ვიყავი ახლოს კარიერის დასრულებასთან, მაგრამ როგორც ხედავთ თამაშს ისევ ვაგრძელებ, ამიტომ, ჯობია, წინასაწარ არაფერი თქვა და დღევანდელი დღით იცხოვრო."*

ნედვედმა გუნდის გაძლიერებაზეც ილაპარაკა და კიდევ ერთხელ გაიმეორა ის, რასაც ყველა ამბობს - მომავალი წლისთვის "იუვეს" ახალი ხალხი სჭირდება, რადგან ეს შემადგენლობა მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს: *"სერია A ჩვენი მიზანია, ამ მომენტისთვის სხვა მიზანი არ გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შედეგს აუცილებლად მივაღწევთ, მაგრამ დღევანდელი გუნდი სუდეტოსთვის ვერ იბრძოლებს. თუმცა 100 პროცენტით ვენდობი კლუბის ხელმძღვანელობას, ეჭვი არ მეპარება, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რაც შესაძლებელი იქნება."*

გვიანი აღიარება

ნედვედს რომანისთვის უარი უთქვამს

ჩელსის ბევრ ფულს, ჩეხმა ქალბატონის ერთგულება ამჯობინა

ტრანსფერი

ახალი ფიგუ დორტმუნდში

ბორუსიას პოლონელი ტალანტი 2.8 მილიონი დაუჯდა

დორტმუნდის "ბორუსიამ" მომავალი სეზონისთვის მეტად საინტერესო ტრანსფერი სრულყო. ვესტფალიელებმა წინასწარი კონტრაქტი გაუფორმეს კრაკოვის "ვისლას" მარჯვენა ნახევარმცველ **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკის**. ეს უკანასკნელი 21 წლისაა და პოლონური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. ახალგაზრდა ტალანტს პოლონეთის ეროვნულ ნაკრებში უკვე 5 თამაში აქვს ჩატარებული, 1.75 მეტრი სიმაღლისაა და მარჯვენა ფლანგის სპეციალისტს უწოდებენ. ბლაჟჩიკოვსკიმ დორტმუნდულ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, "ბორუსიამ" "ვისლას" ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 2.8 მილიონი ევრო გადაურიცხა.

"იაკუბი შესანიშნავი ფეხბურთელია და ამაში სულ მალე მთელი გერმანია დარწმუნდება. ვულოცავ "დორტმუნდს", ამ გუნდმა უდიდესი ტალანტი ჩაიგდო ხელში. იაკუბისთვის პოლონეთის ჩემპიონატში გატარებული თითოეული დღე დაკარგული იყო, გერმანიაში კი გაიზრდება და უმაღლესი კლასის ოსტატად ჩამოყალიბდება. მთელ ქვეყანას მისი იმედი აქვს." - ეს სიტყვები ლეგენდარულ პოლონელ ფეხბურთელს, **ზბიგნიევ ბონეკს** ეკუთვნის. ეს უკანასკნელი ბლაჟჩიკოვსკის ახალ **ფიგუს** უწოდებს.

ლევერკუზენი: ადლერი ძირითადში?

კვირას "ლევერკუზენის" ახალგაზრდა მეკარე **რენე ადლერმა** "შალკესთან" იმდენად კარგად ითამაშა, რომ მთელი გერმანია გააოცა. მან მეორე ტაიმში **კევინ კურანის, ჰალილ ალთინთოფის, ლინ კოლნის, მარსელო ბორდონის, ტიმ ჰოოგლანდისა** და **ზლატან ბაირამოვიჩის** მომაკვდინებელი დარტყმები სასნაულებრივად მოიგერია. 22 წლის კიპერისთვის, რომელიც დისკვალიფიცირებულ **ჰანსიორგ ბუტს** ცვლიდა, ეს პირველი შეხვედრა იყო ბუნდესლიგაში და პირველივე მატჩში ადლერმა დაამტკიცა, რომ გამოცდილ კონკურენტს არაფრით ჩამოუვარდება. ახალგაზრდა მეკარე ნამატჩევს "ფარმაცევტთა" მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ სკიბემაც** ძალიან აქო. ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, რომ დიდი შანსია, ადლერმა ბუტი სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდოს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ლეგიონერები. მიმოხილვა

ცქიტიშვილის გაელვება

ბოლო დროს ხშირად გვიწევს მიმოხილვის ესპანეთით დაწყება, რადგან პირენეებზე ხან ვიქტორ სანიკიძე ყოჩაღობს ხან ნიკა ცქიტიშვილი. გასულ შაბათს ქართველთაგან ყველაზე უკეთ ცქიტომ ითამაშა და მურსიაში 16 წუთში 15 ქულა ჩააგდო.

ნიკა ცქიტიშვილმა 6-დან 3 ორქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო და ერთიც სამქულიანი გამოიყენა და თანაგუნდელებს რამდენჯერმე დაეხმარა სოლიდური უპირატესობის მოპოვებაში. სწორედ მისი ორქულიანების წყალობით "კახამ" 12-ქულიანი სპურტი მოაწყო და 30:25 დაწინაურდა. მოგვიანებით ნიკას სამქულიანმა სტუმართა 12-ქულიანი წინსვლა (65:53) განაპირობა, მაგრამ სევილიელებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და 81:89 დამარცხდნენ. საბოლოოდ ცქიტიშვილი "კახას" ვიცე-სნაიპერი გახდა. ყველაზე მეტი ქულა **კარლუს მარკომ** ჩააგდო - 19.

სევილიელთაგან განსხვავებით გასვლაზე მოიგო **ვიქტორ სანიკიძის** "ესტუდიანტესმა" (69:67), მაგრამ ქართველი "ფუენლაბრადასთან" მოედანზე არ გამოჩენილა.

ესპანეთის ჩემპიონატი. 22-ე ტური. 1. რეალი-19 მოგება, 2. ტაუ-17, 3. ხირონა-15, 4. ხუვენტუდი-13, 5. უნიკახა-13, 6. ბარსელონა-13, 7. გრან კანარია-11, **8. კახა-11**, 9. ვალენსია-11, 10. ფუენლაბრადა-10, 11. მურსია-10, 12. გრანადა-10, 13. ალიკანტე-9, 14. **ესტუდიანტესი-9**, 15. ბილბაო-8, 16. ბრუესა-7, 17. ვალიადოლიდი-6, 18. მენორკა-6.

იტალიაში მოასპარეზე ჩვენიანებისთვის მე-20 ტური წარმატებული გამოდგა - "მონტეპასკიმ" "აველინოს" სძლია, ხოლო "ნაპოლიმ" - "ბიპოპს".

ვლადიმერ ბოისამ და **ტაირონ ელისმა** თანაბრად ითამაშეს - მოედანზე ორივემ 19-19 წუთი გაატარა. ვოვამ 8 ქულა ჩააგდო (2-2-დან თითო ორ და სამქულიანი), ხოლო ელისმა - 7.

ამ ტურის შემდეგ "მონტეპასკიმ" ჩემპიონატში ლიდერობა განიმტკიცა, ხოლო "ნაპოლიმ" მეოთხე ადგილი დაიბრუნა.

იტალიის ჩემპიონატი. 20 ტური. 1. **მონტეპასკი-17 მოგება**, 2. ვიდივიჩი-14, 3. მილანი-13, 4. **ნაპოლი-12**, 5. ბენეტონი-12, **6.** ვარეზე-11, 7. რომა-11, 8. პრემიატა-11, 9. სკაფატი-10, 10. კანტუ-10, 11. უპეა-10, 12. კლიმამიო-9, 13. ბიელა-9, 14. უდინე-8, 15. სევილია-7, 16. აველინო-6, 17. რეჯო ემილია-6, 18. ლივორნო-4.

ბალტიის თასზე ტატო ვაშაკიძეს ერთხელ მაინც რომ ეთამაშა, ჩვენთვის მთავარი მოვლენაც ეს იქნებოდა, რადგან მისმა "ნევეუისმა" ჯერ **სერგო ათუაშვილის** "ნეპტუნასს" მოუგო, შემდეგ



გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკს". სხვათა შორის, ეს გახლდათ როკერთა პირველი მარცხი მეორე ჯგუფურ ეტაპზე. "ნევეუისთან" ცინცაძემ 32 წუთი ითამაშა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ავადმყოფობისგან სრულად განიკურნა და გუნდში თავისი პოზიციები დაიბრუნა. ბალტიის მომდევნო ეტაპზე ჯგუფის ორი საუკეთესო გადის. თუ "ნევეუისმა" თამაშს არ მოუკლო, ფლეი ოფში "როკთან" ერთად უნდა ითამაშოს.

ბალტიის თასი. 10 ტურის შემდეგ. 1. **როკი (ესტონეთი)-9 მოგება**, 2. ნევეუისი (ლიტვა)-6 / 3. კალევი (ესტონეთი)-6, 4. ლიეპაია (ლატვია)-5, **5. ნეპტუნასი (ლიტვა)-4**, 6. ატლეტასი (ლიტვა)-2, 7. საკალაი (ლიტვა)-1, 8. პანევეჟისი (ლიტვა)-1.

მანუჩარ მარკოიშვილის "ოლიმპიამ" წარმატებული სერიის შემდეგ ადრიატიკის თასზე პირველი მატჩი წააგო - შინ სლოვენიურ "ჰელიოსთან" 59:64. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიელებმა ორი კვირის წინ სლოვენიის თასი ფინალი სწორედ "ჰელიოსთან" დათმეს. მიუხედავად იმისა, რომ ფინელმა **ტეემუ რანიკომ** 19 ქულა ჩააგდო, სხვების მსგავსად ვერც მასზე ვიტყვით კარგად ითამაშაო - ბევრი ტყორცნა გააფუჭა.

მარკოიშვილმა, მართალია სამქულიანები ნორმალურად ისროლა (2-დან 1), მაგრამ საშუალო დისტანციიდან ტყორცნებში მოიკოჭლა - 7-დან მხოლოდ 2 ჩააგდო. საბოლოოდ 7-7 ქულამოხსნას დასჯერდა.

ამ წაგებით "ოლიმპიამ" ფინალურ ოთხეულში მოხვედრის პრაქტიკული შანსი დაკარგა. ადრიატიკის ლიგის რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილია 4 ტური. ოლიმპიელები ფინალური ოთხეულის ზონაში მყოფ "ბუდუჩნოსტს" ოთხი ქულით ჩამორჩებიან. ამ გუნდს რომ გადაასწრონ, მარკოიშვილის თანაგუნდელებმა მომდევნო ოთხივე მატჩი უნდა მოიგონ, ხოლო "ბუდუჩნოსტმა" ყველა წააგოს, რაც წარმოუდგენელია.

ადრიატიკის თასი. 21 ტურის შემდეგ. 1. ციბონა (ხორვატია)-17 მოგება, 2. პარტიზანი (სერბეთი)-17, 3. ფმპ (სერბეთი)-17, 4. ჰემოფარმი (სერბეთი)-16 / 5. ბუდუჩნოსტი (სერბეთი)-14, 6. ზადარი (ხორვატია)-12, 7. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-12, **8.** ჰელიოსი (სლოვენია)-11, 9. **ოლიმპია (სლოვენია)-10**, 10. ბოსნა (ბოსნია)-9, 11. ზაგრები (ხორვატია)-8, 12. შიროკი (ბოსნია)-7, 13. სპლიტი (ხორვატია)-2, 14. სლოვანი (სლოვენია)-2.

ვაჟა სიმონიშვილი

მოთამაშე	ტურნირი	თარ.	მატჩი	წ.	მ	პ	ჩ	ძ
ზაზა ფაჩულია	NBA	20.02	ჩიკაგო-ატლანტა 106:81	25	7	0	1	9
		21.02	ატლანტა-სან ანტონიო 96:103	23	10	1	1	23
		23.02	ატლანტა-ჰიუსტონი 105:99	32	7	0	0	12
		25.02	ატლანტა-ფინიქსი 106:115	8	2	0	0	6
ვიქტორ სანიკიძე	ევროთასი	20.02	ლიეჟი-ესტუდიანტესი 73:87	16	7	1	0	5
	ესპანეთი (ჩ.)	25.02	ფუენლაბრადა-ესტუდიანტესი 67:69	არ უთამაშია				
ნიკა ცქიტიშვილი	ესპანეთი (ჩ.)	25.02	მურსია-კახა 89:81	16	2	0	0	15
ვატო ნაცვლიშვილი	ევროთასი	20.02	დიჟონი-კალევი 68:64	არ უთამაშია				
	საფრანგეთი (ჩ)	24.02	სტრასბური-დიჟონი 78:70	არ უთამაშია				
ვლადიმერ ბოისა	იტალია (ჩ.)	24.02	მონტეპასკი-აველინო 83:64	19	5	0	1	8
ტაირონ ელისი	იტალია (ჩ.)	25.02	ნაპოლი-ბიპოპი 95:80	19	1	2	0	7
მანუ მარკოიშვილი	ადრიატიკა	25.02	ოლიმპია-ჰელიოსი 59:64	38	7	0	3	7
გიორგი ცინცაძე	ბალტიის თასი	20.02	როკი-ატლეტასი 98:60	არ უთამაშია				
	ბალტიის თასი	24.02	ნევეუისი-როკი 74:66	32	2	3	2	8
სერგო ათუაშვილი	ბალტიის თასი	20.02	ნეპტუნასი-ნევეუისი 73:83	7	1	0	0	6
გიორგი გაფრინდაშვილი	ლატვია (ჩ.)	22.02	ასკ-რიგა 71:79	30	5	2	1	11
ნოდარ შენგელია	ლიტვა (II ლიგა.)	24.02	აკადემია-ალიტუსი 74:88	7	1	0	0	0

ვინ გახდება ფანების ფავორიტი: ფაჩულია, ჯონსონი, სმიტი თუ ჩილდრესი?

ქართველები NBA-ში

ამარემ ქორებს ჩაუქრილა

როგორც ჩანს, ფინიქსელებს არ დავიწყნიათ 9 თებერვალს შინ "ატლანტასთან" წაგება (111:120) და ჯორჯიაში მაქსიმალურად მობილიზებულები ჩავიდნენ. "ფინიქსმა" **ამარე სტაუდმაიერის** წყალობით, ფაქტობრივად, პირველ მეოთხედში გადაწყვიტა თამაშის ბედი - 38:24. დარჩენილ დროში "ჰოქსმა" მეტოქეს ბოლომდე სდია, მოდუნების საშუალება არ მისცა, თუმცა გადასწრება ვერ მოახერხა.

NBA-ს ყველაზე სწრაფი გუნდის წინააღმდეგ "ატლანტის" მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** უმეტესწილად ტანმაღალი კალათბურთელების გარეშე ითამაშა - **ლორენცენ რაიტმა** მოედანზე 12 წუთი გაატარა, ხოლო ზაზა ფაჩულიამ - 7 (თუმცა ჩვენიანი კოლეგას მაინც არ ჩამორჩა, ორივემ 6-6 ქულა ჩააგდო). ამ მცირე დროში ზაზამ სტაუდმაიერთან ბრძოლაში 4 ფოლი მიიღო. მხოლოდ ქართველს კი არა, ამარეს შეჩერება მთელ "ატლანტას" გაუჭირდა. სტაუდმაიერმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა - 44 წუთში 43 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი და 3 დაფარება მიითვალა.

ახლა კარგი ამბავი ზაზა ფაჩულიასთან დაკავშირებით: "ჰოქსის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე მიმდინარეობს გამოკითხვა ფანების ფავორიტის გამოსავლენად. მთავარი კანდიდატი ოთხია - ზაზა, **ჯო ჯონსონი, ჯოშ სმიტი** და **ჯოშ ჩილდრესი**. შეგახსენებთ, რომ 2004 წელს ფაჩულია "ორლანდოს" ქომაგთა ფავორიტად დასახელდა. ეს მაშინ, როცა გუნდში **ტრეისი მაკგრეიდი** ირიცხებოდა.

ვაჟა სიმონიშვილი

ატლანტა-ფინიქსი 106:115

24:28, 29:22, 32:30, 21:25

ატლანტა: მ. უილიამსი (38 წთ. 23 ქ. 10 მ), სმიტი (27 წთ. 14 ქ), რაიტი (12 წთ. 6 ქ), ჯ. ჯონსონი (45 წთ. 28 ქ. 5 პ), კლექსტონი (18 წთ. 2 ქ), **ზაზა ფაჩულია (7 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 4 ფოლი)**, ჩილდრესი (35 წთ. 8 ქ. 8 მ), ე. ჯონსონი (34 წთ. 17 ქ. 5 პ), ჯონსი (15 წთ. 2 ქ).

ფინიქსი: მერიონი (42 წთ. 21 ქ), სტაუდმაიერი (44 წთ. 43 ქ. 16 მ. 6 პ), ბელი (40 წთ. 12 ქ), ნეში (39 წთ. 14 ქ. 13 პ), ბარბოსა (31 წთ. 19 ქ).

I მეოთხედი

08:40 ფაჩულიამ რაიტი შეცვალა
07:00 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
06:33 ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (16:12)
06:33 მოხსნა: 1 (ბეტ: 1, დაც: 0)
05:18 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
05:02 ფოლი: 1
03:58 ფოლი: 2
03:58 ფაჩულია უილიამსმა შეცვალა

II მეოთხედი

07:49 ფაჩულიამ უილიამსი შეცვალა
06:13 სავარიმოები: 2/2 (4 ქ. 66:72)
05:37 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
05:35 მოხსნა: 2 (ბეტ: 2, დაც: 0)
05:34 ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (68:74)
05:20 ფოლი: 3
04:58 ფოლი: 4
04:58 ფაჩულია ჯონსმა შეცვალა

ზაზა ფაჩულია: 52 მატჩი (31 სასტარტოში), 27.9 წუთი, 11.6 ქულა, 6.8 მოხსნა, 1.4 პასი, 1.0 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.6 შეცდომა, 3.7 ფოლი; **ატლანტა ჰოქსი:** 56 მატჩი, 22 მოგება, 34 წაგება, V ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში; **მომდევნო მატჩი:** დალასი-ატლანტა (26 თებერვალი).

ბაბიშვილის წინსვლა

ჩოგბურთი. WTA-ს ახალი რეიტინგ-ლისტის მიხედვით 17 ნლის **ანა ტატიშვილი** მსოფლიოს 270-ე ჩოგანია. ანამ კოლუმბიაში WTA-ს ტურნირის (175 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გაღწევით 8 ქულა შეიმატა, რის შემდეგაც ჯამში 84.75 გაუხდა. სწორედ ამან გამოინვია კლასიფიკაციაში 23-ადგილიანი ნახტომი წინ. ბუნებრივია, ეს ანას საუკეთესო შედეგია კარიერაში. ტატიშვილი ნლის რბოლაში კიდევ უფრო წინაა, 179-ე პოზიცია უკავია, წყვილებში კი მხოლოდ 603-ეა. კარიერის მონაგარი პერსპექტიულე ქართველის ყუღაბაში 31 ათასი დოლარია.

ტატიშვილი ახლა ლას ვეგასშია, სადაც ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ძირითად ბადეში გაღწევას ცდილობს. ტურნირ "ტენის ჩენელ ოუფენის" საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია, ტატიშვილი საკვალიფიკაციო ტურნირში თამაშობს. პირველ ნრეში ქართველი ჩოგბურთელი შეხვდა ბულგარელ **ელენა განჩევას** (793), რომელსაც ორგანიზატორებმა "უაილდ ქარდი" მისცეს. ტატიშვილმა 21 ნლის ბულგარელს ძალზე იოლად სძლია - 6:1, 6:1 და შემდეგ ნრეში გავიდა, სადაც, წესით, საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ ნომერ ესტონელ **მარეტ ანის** (124) უნდა შეხვედროდა, მაგრამ მოულოდნელად ის გათამაშებიდან ამერიკელმა **რაქელ კოპს-ჯოუნსმა** (205) გამოთიშა. კოპს-ჯოუნსი 25 ნლისაა, ანა მას აქამდე არ შეხვედრია.

რაც შეეხება რეიტინგს, იქ ანას გარდა კიდევ 9 ქართველია. პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** წინა კვირაში უქმობდა, მან ერთი ადგილი დაკარგა და ახლა 212 ქულით 144-ე ჩოგანია. ორი ადგილით დაიხია უკან **სოფიო მელიქიშვილმა** - 58 ქულა, 340-ე ჩოგანი. სხვები: 536 (+2) **სალომე დევიძე**, 682 (-1) **სოფიო შაფათავა**, 763 (+4) **ეკა გორგოძე**, 887 (+2) **მანანა შაფაქიძე**, 1093 (+6) **თეონა ცერცვაძე** და 1338 (+12) **მარიამ ქურდაძე**.

ვაუთა რეიტინგში **ირაკლი ლაბაძე** კვლავ 172-ე ჩოგანია, ნლეულს მას არსად უთამაშია. **ლადო ჩიხლაძემ** კი 17 საფეხურით დაიხია უკან, დღეისათვის ლადო მსოფლიოს 562-ე ჩოგანია.

ნემსაძე ბრივში ჩაირიცხა

გაგა ნემსაძე

რაგბი. საფრანგეთში მოთამაშე ქართველთა ლეგიონში მატებაა. ქუთაისის "აიას" მესამეხაზელი, 23 ნლის **გაგა ნემსაძე** ახლახან პირველი დივიზიონის ერთ-ერთ ტიტულოვან და ტრადიციების მქონე კლუბ "ბრივში" ჩაირიცხა. ნემსაძეს საქართველოს ნაკრებში ორჯერ უთამაშია და ერთი ლეღოც აქვს გატანილი.

პირველი დივიზიონის "ნარბონში" უკვე თვეზე მეტია, გასინჯვაზე იმყოფება ასევე ქუთაისელი, 20 ნლის შუამარბი **ირაკლი ჩხიკვაძე**. მისი ამ გუნდში დარჩენის საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ჩხიკვაძეს დებიუტი საქართველოს ნაკრებში შარშან, ჩილეს გუნდის წინააღმდეგ ჰქონდა. ის ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ნევრიც იყო და სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა. ჩხიკვაძე აქამდე მოსკოვის "ლოკომოტივში" ცამეტკაცა რაგბის თამაშობდა.

ბესიკ ჯანგავაძე

ტიტულს ვერ შესწვდა

პროფესიული კრივი. 24 თებერვალს პოლონეთის ქალაქმა გლოგოვმა პროფესიონალ მოკრივეთა მატჩებს უმასპინძლა. ორგანიზატორი იქაური კრივის ასოციაცია და პრომოუთერული ფირმა "ჰამერ ნოკაუთი" იყო. პოლონეთში ქართველმა **არმენ აზიზიანმა** ისასპარეზა. მისი მეტოქე პოლონელი **პაველ კოლოძეი** იყო. ათრაუნდიანი ბრძოლა პოლონელმა მოიგო სამივე მსაჯის შეფასებით (100-89, 99-90, 100-90). ეს ბრძოლა WBC-ის ვერსიით ახალგაზრდული ტიტულისთვის გახლდათ. მეშვიდე რაუნდში აზიზიანი ნოკდაუნში ჩავარდა, თუმცა ბრძოლა გაგრძელა. 22 ნლის პოლონელი პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელია. აზიზიანი 24 ნლისაა, მას 11 ბრძოლიდან 8 მოგებული აქვს, 3 - წაგებული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დაბადებიდან 70 ნლისთავს ულოცავს ფედერაციის გენერალურ მდივანს, საქართველოდან ხმლით ფარიკაობაში პირველ სპორტის ოსტატს, სსრ კავშირის გუნდური პირველობის სამგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს, ევროპის ჩემპიონთა თასის მესამე პრიზიორს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის ნევრს 1992 ნლიდან, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ნევრს, ღირსების ორდენის კავალერს მორის სახვაძეს.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დაბადებიდან 60 ნლისთავს ულოცავს მოფარიკავეთა ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელს მირიან კიკალიშვილს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

მსოფლიო თასი

ვარშავისთვის!

ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** გუშინ გამოაცხადა ის შემადგენლობა, რომელიც 3-4 მარტს ვარშავაში მსოფლიოს თასზე იჭიდავებს: **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **მინდია ხომიზური** და **ბექა ბაიდაური** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** და **საბა გავაშელიშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** და **ლევან რაზმაძე** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე).

ევროპის ჩემპიონატის წინ ეს ბოლო ტურნირია, რომელსაც ზოგისთვის მოსამზადებელი მნიშვნელობა ენიჭება, ზოგისთვის კი კვლავაც შესარჩევია. 7-8 აპრილს ბელგრადში გასამართ ევროპის პირველობაზე გამოსვლა უკვე გაინაღდეს **ნესტორ ხერგიანმა** (60), **კედელაშვილმა, ცირეკიძემ** და **ჟორჟოლიანმა**. კონკურენცია ისევ რჩება 81-სა და მძიმეში. 81-ში უპირველესად კანდიდატად ბაინდურაშვილი რჩება, მაგრამ ჰამბურგში საყურადღებო გამოსვლის შემდეგ შანსს გავაშელიშვილსაც აძლევენ. საბამ გერმანიაში მედალი ვერ მოიპოვა, მაგრამ სამი შეხვედრა წმინდად მოიგო და მწვრთნელებმა ხელახალი გამოცდა საჭიროდ მიიჩნიეს. თუმცა ბაინდურაშვილისთვის ადგილის წასართმევად ვარშავაში გამარჯვება დასჭირდება, რაც ცოტა თამამი პროგნოზია, მაგრამ გამოცდილებას მაინც მიიღებს.

მოგეხსენებათ, ჰამბურგში გუჯეჯიანმა ბრინჯაო მოიპოვა და ახლა აქ ყველაფერი თავიდან იწყება - ბელგრადში ის გაემგზავრება, ვინც ვარშავაში უკეთ იასპარეზებს. რაც შეეხებათ ხოსიტაშვილს, ხომიზურს, ბაიდაურსა და რაზმაძეს, მწვრთნელს ისინი გამოცდილების მისაღებად მიჰყავს. ხაბარელი ხერგიანს ამჯერად ასვენებს, კედელაშვილის, ცირეკიძისა და ჟორჟოლიანისთვის კი ეს ევროპისთვის სასტარტო შეჯიბრებაა, სადაც წვრთნელი მათ მომზადებას კიდევ ერთხელ შეამოწმებს და გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად შეკრებებზე იმუშავებს.

გაურკვეველია 73-ის მდგომარეობა. აქ ლიდერად ისევ დავით ქევხიშვილი მიიჩნევა, მაგრამ ის მენისკის ოპერაციის მერე სრული დატვირთვით კვლავ ვერ ვარჯიშობს. სავარაუდოდ, ბაიდაურის პოლონეთში წაყვანაც ქევხიშვილის შემცვლელად მის შეგულებას უნდა ითვალისწინებდეს, თუმცა ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ირაკლი თავაძე

ანტიკური ჭიდაობა

მსოფლიო თასი

ბოლო, მეექვსე ადგილზე



რამაზ ნოზაძემ ორი შეხვედრა წააგო

როგორც გუშინ გაცნობეთ, საქართველოს ნაკრები ნარუმატებლად გამოვიდა ანთალიაში დასრულებულ მსოფლიო თასზე. წუხელ ჩვენებმა მესამე შეხვედრაც წააგეს ირანელებთან - 1:6 და ბოლო, მეექვსე ადგილზე გავიდნენ.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებურთა გარდა, ტურნირში მასპინძლები, რუსები, ამერიკელები, ირანელები და უკრაინელები გამოდიოდნენ. ჩვენებს ჯგუფში უკრაინა და მასპინძლები ერგოთ, რომლებთანაც ვერაფერი გააწყვეს - ჯერ უკრაინასთან წააგეს - 2:5, მერე მასპინძლებთან - 1:6, ჯგუფში ბოლო ადგილი ერგოთ და მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის თუ იბრძოლებდნენ. ბევრისთვის მოულოდნელად, ჯგუფის ჩემპიონი უკრაინა გახდა, რომელმაც თურქებსაც დააყრევინა ფარ-ხმალი - 4:3. მთავარი სენსაციაც ეს იყო - უძლიერესი შემადგენლობით მოასპარეზე, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონებით დახუნძლული მასპინძელთა ნაკრები მხოლოდ ბრინჯაოსთვის თუ იბრძოლებდა.

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები მეორე ჯგუფშიც, სადაც პირველი ეტაპი ყველამ თითო ქულით დაასრულა - რუსებმა ირანელებს მოუგეს, მაგრამ წააგეს ამერიკელებთან. ამას ირან-ამერიკის პოლიტიკურად გაზავებული და უპრინციპულესი შეხვედრა მოჰყვა, რომელშიც აზიელებმა 4:3 მოიგეს, თუმცა ბოლო ადგილს მაინც ვერ ასცდნენ - საჯარიმო ქულების დამსახურებით, პირველობა ანუ ფინალში გამოსვლის უფლება ამერიკელებმა მოიპოვეს, მეორე ადგილი და ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება რუსებმა მოიპოვეს, ირანელებს კი ჯგუფში მესამეობა და ტურნირზე მეხუთე ადგილისთვის ქართველებთან ბრძოლა ერგოთ წილად. სამწუხაროდ, ჩვენები აქაც უშანსოდ დამარცხდნენ.

ნაკრების ხელმძღვანელობა თავიდან არც აპირებდა ამ ტურნირში მონაწილეობას და სწორედ ამ უქმეებზე თურქეთის ნაცვლად საბერძნეთში სურდა წასვლა „აკროპოლის თასზე" საჭიდაოდ. ბოლოს მაინც თასი არჩიეს იმ მიზეზით, რომ თასზე ფალავნებს სამი შეხვედრა აუცილებლად უნდა ეჭიდავათ, ტურნირზე გამოსვლა კი, შეიძლება, პირველივე შეხვედრაში დაესრულებინათ.

არა გვგონია, მწვრთნელები სპორტსმენთა გამოსვლით კმაყოფილები დარჩენილიყვნენ. ერთადერთი, მათ **დავით ბედინაძის** (60) კარგი გამოსვლა თუ დაამშვიდებდათ - ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა სამივე შეხვედრა მოიგო. სამაგიეროდ, საფიქრალს გაუჩენდათ **რამაზ ნოზაძის** (96) სტატისტიკა, რომელმაც ორი შეხვედრა წაგო - ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტთან, მასპინძელ **ჰამზა ერლიქაიასთან** და უტიტულო ირანელ **რეზაე გასემთან**. თუმცა სამივე შემთხვევაში, როცა ის ჭიდაობდა, შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და იქნებ ფსიქოლოგიურად ამანაც იმოქმედა, მაგრამ ნოზაძემ ძველებურად შეუჩერებელი ფალავნის შთაბეჭდილება ვერც ქვეყნის ჩემპიონატიდან დაგვიტოვა.

ნაკრების სხვა ლიდერებს რაც შეეხებათ, **ირაკლი ჭოჭუა** (55) და **მუხრან მაჭუტაძე** (66) სამჯერვე დამარცხდნენ. ორი შეხვედრა წააგო მძიმეწონასანმა **რევაზ ჭელიძემ**, ირანელებთან კი საერთოდ არ უჭიდავია. მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა **მანუჩარ კვირკველიამ** (74) - პირველი, უკრაინელებთან და ისიც დათმო. მომდევნო ბრძოლებში იგი **გენადი გოგიშვილმა** შეცვალა, მაგრამ უშედეგოდ. სამი შეხვედრა წააგო ახალგაზრდა **აკაკი ჯოხაძემაც** (84), რომელიც მწვრთნელებმა **ბადრი ხასაიას** ნაცვლად გამოცდილების მისაღებად წაიყვანეს.

მსოფლიო თასი კი უკრაინელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში ამერიკელებს 4:3 მოუგეს, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი მასპინძლებმა რუსები 5:2 დაჯაბნეს.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

გაიოზ ნიგალიძეზე ქართული ჭადრაკის გულშემატკივარს ბევრი არაფერი სმენია, თუმცა საქართველოს ჩემპიონატებს თუ თვალყურს ადევნებს, ამ სახელ-გვარის მოთამაშე მხედველობიდან არ გამორჩებოდა. მით უფრო, ამ ბოლო დროს - 17 წლის ბათუმელმა იანვრის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი მოიგო, შემდეგ 18-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატზეც წარმატებით ითამაშა და ბოლოს პირველი ლიგის გამარჯვებულიც გახდა. მისი სახით აშკარად ნიჭიერი მოჭადრაკე გამოვიდა არენაზე. დღეს გაიოზ ნიგალიძე "ლელოს" სტუმარია.

GAIOZ NIGALIDZE

მოჭადრაკე, რომელიც ზღვაზე ოცნებობდა

გაიოზ ნიგალიძე

- ტრადიციული კითხვით დავიწყოთ: როდის და როგორ დაინტერესდი ჭადრაკით?

- მამა და ბიძები მოყვარულის დონეზე საკმაოდ კარგად თამაშობენ. ბავშვობაში მათი შემყურე დავინტერესდი, მაგრამ ახლოს არ მიკარებდნენ - ხელი გვეშლებაო. მაინც მოვახერხე დამოუკიდებლად სვლების სწავლა და ერთხელ ვუკარნახე კიდეც მამას - ასე ითამაშე-მეთქი. ოჯახში გაუკვირდათ და ამის შემდეგ მიმიყვანეს საჭადრაკო სექციაზე. 6 წლის ვიყავი. პირველი მწვრთნელი ჯამბულ მახარაძე იყო, მასთან 4 წლის განმავლობაში ვმეცადინეობდი. შემდეგ ისიდორე გოგეშვილთან გავაგრძელე წვრთნა. სამწუხაროდ, ბატონი ისიდორე 2003 წელს გარდაიცვალა. ამჟამად ელგუჯა ანთაძესთან ვვარჯიშობ ხოლმე და მისიც ძალიან მადლობელი ვარ.

- პირველ ლიგაში გამარჯვება მნიშვნელოვანი შედეგია. სხვა რა წარმატებებისთვის მიგიღწევია?

- 14-წლამდელთა შორის ვარ საქართველოს ჩემპიონი და 12-წლამდელთა შორის ორგზის ვერცხლის პრიზიორი. სხვა შემთხვევაში მუდამ ერთი ნაბიჯი მაკლდებოდა პრიზიორობამდე.

- იღბალი არ გწყალობდა? ხომ არ ფიქრობ, რომ ტურნირში რომ იმარჯვო, ცოტა უნდა გაგიმართლოს...

- გამართლება მართლაც აუცილებელია. პირველ ლიგაში კარგად კი ვითამაშე, მაგრამ ვთვლი, რომ რამდენჯერმე გამიმართლა - უარესი, თითქმის წაგებული პოზიციიდან მოვახერხე თავის დახსნა და გამარჯვება. ეტყობა გაბრაზებამაც მიშველა - 18-წლიანებში ბოლო ტურში დავკარგე ჩემპიონობა და ამან გამაბრაზა. ალბათ, იღბალმაც რაც იქ დამაკლო, ამჯერად მომცა...

ერთ შემთხვევას გავიხსენებ. 2001 წელს საბერძნეთში, ირაკლისში ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე ვთამაშობდი. 3 ტურის შემდეგ 2.5 ქულა მქონდა და წარმატებაზეც ვფიქრობდი. მესამე ტურის შემდეგ სასტუმროში ვბრუნდებოდი და დარბაზიდან გამოსულმა მოკლე გზით წასვლა ვარჩიე. დარბაზიდან გასასვლელსა და სასტუმროს ფოიეს შორის ტიხარი იყო, რომელიც არაპროპორციულად, შემაღლებულ ადგილზე იდგა და იქიდან ჩახტომით ვჭრიდი გზას. იმ დღეს ასე მოვიქეცი, მაგრამ თურმე ადმინისტრაციას დაუკეტავს, კარი კი მინისა იყო და ვერ შევამჩნიე - მინას დავეხეთქე და უმძიმესი ჭრილობები მივიღე. ძლივს გადამარჩინეს - 12 საათი კომაში ვიყავი, ფეხი ისე იყო დასერილი, რომ ბერძენი ექიმები ამპუტაციასაც ფიქრობდნენ. საბედნიეროდ, გადაიფიქრეს და მიმკურნალეს.

თბილისში ერთი ოპერაციაც დამჭირდა - მიკროქირურგიული ჩარევა იყო საჭირო, რაც, გასაკვირია და, ბერძნებმა ვერ გააკეთეს, - საჭირო აპარატურა არ გვაქვსო. აქაც ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. სხვათა შორის, ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც თბილისში მკურნალობაში დამეხმარა, - საბერძნეთშივე დარეკა და გვითხრა, რომ საჭირო ხალხთან და კლინიკასთან დამაკავშირებდა. ასევე ზურაბ აზმაიფარაშვილს ვემადლიერები, რომელიც უმალ ჩამოფრინდა საბერძნეთში. ხოლო რაც შეეხება გია მენაბდეს, რომელიც დელეგაციის ხელმძღვანელი იყო, კინაღამ გადაყვა ჩემს ტრავმას - 4 ღამე არ უძინია, სულ თავს დამტრიალებდა - შვილივით მიპატრონა. სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" მადლიერიც ვარ.

ასეთი მძიმე ტრავმის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და 14-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი მოვიგე. ისე ვიყავი მონყურებული და შემართული, რომ წინ ვერავინ დამიდგა. სამწუხაროდ, მას შემდეგ ჩემპიონი ვეღარ გავხდი.

ამ ბოლო გამარჯვებამ უკვე საკმარისი სტიმული გამიჩინა მომავალი წარმატებისთვის. ჭადრაკი ძალიან კი მიყვარს და პირველ ადგილზე ვაყენებ, მაგრამ ზღვაც ძალიან მიყვარს და მეზღვაურობაზეც ვოცნებობდი. ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ვაპირებდი ჩაბარებას. მაგრამ...

- მგონი, გადაწყვიტე რომ ჭადრაკს გაყვე, არა?

- დიახ. საზღვაო საქმე კი, მოგეხსენებათ, ზღვაში ყოფნას ითხოვს და თანაც დიდი ხნით. რა თქმა უნდა, ჭადრაკისთვის ვეღარ მოვიცლი.

- მაღალ დონეზე თამაში უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელთა დახმარების გარეშე ალბათ არ მოხერხდება. ამ პრობლემას როგორ მოაგვარებ?

- ეგ მტკივნეული საკითხია, - კარგი მწვრთნელი ძვირი სიამოვნებაა, მე კი შესაბამისი საშუალება არ მაქვს. როგორც გითხარით, ელგუჯა ანთაძე მავარჯიშებს, რომელიც მშვენიერი მწვრთნელია, მაგრამ, ცხადია, მეტია საჭირო. წამყვან დიდოსტატებს მწვრთნელთა შტაბი ეხმარება ხოლმე...

- ფინანსური სიდუხჭირე ქართული ჭირია, მაგრამ ეგებ აჭარის მთავრობა და სპორტის მესვეურები დაგეხმარონ.

- ჯერჯერობით არავინ მეხმიანება, მომავალში რა იქნება, ვერ გეტყვით.

- თანხა რომც გამოჩნდეს, ალბათ დედაქალაქში გადმოსვლა მოგიწევს. მზად ხარ ამისთვის?

- რა თქმა უნდა, თბილისში ჯობია, მაგრამ სანამ რეალური არაფერი იქნება, რთულია გეგმების დასახვა.

- წარმატების ერთ-ერთი მიზეზი შენი სათამაშო სტილიც უნდა იყოს - შეტევა გიყვარს...

- საერთოდ აგრესია და ბრაზიანობა მხოლოდ ჭადრაკში ვიცი, ცხოვრებაში კი ძალიან მშვიდი ვარ. შეტევა მართლაც ძალიან მიყვარს - ტაქტიკური დარტყმები, კომბინაციები. პოზიციურადაც კარგად ვთამაშობ, მაგრამ ჩემი კოზირი შემტევი სტილია.

- დებიუტებში როგორ გაქვს საქმე?

- აქ გვარიანად მოვიკოჭლებ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გამოვასწორებ მდგომარეობას.

- უმაღლეს ლიგაში წარმატების იმედი გაქვს?

- რა თქმა უნდა, თუმცა ბევრად მეტი დრო უნდა დავუთმო მომზადებას, - თუკი აქამდე დღეში 4-5 საათს ვმეცადინეობდი, ეს დრო უნდა გავაორმაგო. უმაღლეს ლიგაში ისეთი დიდოსტატები არიან, რომლებმაც დებიუტები მშვენივრად იციან. იმედი მაქვს, რომ კარგად ვითამაშებ.

- უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება უკვე გაქვს...

- კი, 2005-ში ვითამაშე და არცთუ ცუდად, თუმცა უკეთაც შემეძლო - რამდენიმე პარტიაში უკეთესი პოზიციები გავაფუჭე. 9 პარტიიდან შვიდში ყაიმი მქონდა და ორი წაგება. მაგრამ მაშინ 15 წლის ვიყავი...

- რეიტინგში მნიშვნელოვნად უნდა მოემატებინა.

- პირველ ლიგაში გამარჯვების შემდეგ 65 პუნქტამდე შევიმატე; წინა ორ ტურნირში კი 30-30 პუნქტი მივიღე. ჩემი დღევანდელი მაჩვენებელი 2224-ია, პირველი აპრილისთვის კი 2350-მდე გამიხდება.

- ბრწყინვალე შედეგია - სამ ტურნირში 125 ქულის მომატება იშვიათი შემთხვევაა. კიდევ უფრო წინსვლას გისურვებ...

- დიდი მადლობა. მეტის მიღწევა მსურს, მაგრამ ამისთვის საერთოშორისო ტურნირებზე თამაშიცაა საჭირო. იმედი მაქვს, ამის საშუალება მომეცემა.

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

ქართული სპორტი 1971-1980 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. ლელო № 56 (2006)

1979 ოლიმპიური თამაშების წინა წელი იყო. ზაფხულის XXII ოლიმპიადის მასპინძლობა მოსკოვს ხვდა წილად. ბუნებრივია, სპორტული საქმიანობის ყველა რგოლში ერთადერთი ორიენტირი ეს მოვლენა იყო. ყველა საკითხი წყდებოდა სახელმწიფო დონეზე. მთავარი ყურადღება გადატანილი იყო სპორტის ოლიმპიურ სახეობებზე, თუმცა ოლიმპიადისთვის მზადება არნახული მასშტაბით, ეფექტურად, მასობრივი სპორტის სასიკეთოდაც გამოიყენებოდა. სწორედ ამიტომ, სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადა ყველაზე მასობრივ, კომპლექსურ სპორტულ საშინაო ასპარეზობად იქცა. გამოცდილება და ტრადიციაც თავისთავად. ახლა მეტის მოთხოვნილება გაჩნდა - მომავალ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული. სასპარტაკიადო შეჯიბრებებმა, განსაკუთრებით ფინალურ ეტაპზე, მართლაც უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების ღირსეული კანდიდატებით დაკომპლექტებაში.

ყველა სასპარტაკიადო ეტაპმა საქართველოშიც წარმატებით და მაღალი აქტივობით ჩაიარა. ისინი, რომლებმაც საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ სტადიაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, ქართული სპორტის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ. გამოცდილ სპორტსმენთა გვერდით, სპორტის ცალკეულ სახეობებში, პერსპექტიულმა და ნიჭიერმა ახალგაზრდებმა თამამად დაიმკვიდრეს ადგილი ნაკრებ გუნდებში. ხოლო შემდეგ, სპარტაკიადის შედეგებით ბევრი მათგანი მოხვდა ქვეყნის ძირითად ოლიმპიურ ნაკრებში. გაგაცნობთ მაღალი რანგის შეჯიბრებებში საქართველოს წარმომადგენელთა მიღწევებს 1979 წლის მასშტაბით.

ძიუდო. განსაკუთრებით აღსანიშნავია **თემურ ხუბულურის** მიღწევები, რომელმაც იმ წელს სსრ კავშირის პირველობაც მოიგო და ხალხთა სპარტაკიადაც აბსოლუტურ წონაში, ხოლო ქვემძიმე წონაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამასთან, იყო პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქართველ ძიუდოისტთაგან. **თამაზ ნამგალაურის** წილად მოდიოდა ევროპული ოქროს (გუნდური), მსოფლიო პირველობის და სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლები. **შოთა ხაბარელმა**, ევროპის ჩემპიონატზე, სსრ კავშირის ნაკრებში, გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა, პირად პირველობაში კი მეორე ადგილი დაიკავა.

1979 წელს, იაპონიაში ლეგენდარული ქართველი ფალავნის ანზორ კიკნაძის თასის გათამაშება ჩატარდა მისი მეგობრის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ისაო ინოკუმას** თაოსნობით. ინოკუმამ ტურნირზე ქართველებიც მიიწვია. ჩვენი გუნდი შინ მთავარი პრიზით დაბრუნდა.

ძიუდოისტთა თბილისის X საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ნაკრები ცალკე გუნდად გამოდიოდა. პირველ ადგილზე გავიდნენ: **აბესალომ წიკლაური** (78), **დავით ბოდაველი** (86), **რამაზ ხარშილაძე** (95), **თემურ ხუბულური** (აბსოლუტური); მეორე პრიზიორები გახდნენ: **დავით კოდანოვი** (71), **ჰამლეტ ლოლაშვილი** (აბსოლუტური); მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ: **ამირან ობგაიძე** (65), **ჯემალ კბილაშვილი** (86), **თემურ ხუბულური** (95).

ასევე ცალკე გუნდად გამოდიოდა საქართველოს ნაკრები ახალგაზრდა ძიუდოისტთა დიდ საერთშაორისო ტურნირზეც. შედეგები ასეთია: პირველი ადგილი - **კ. ხუბულური** (86), **მ. ბერუაშვილი** (95); მეორე - **გ. გოგოლაური** (65), **დ. ოდიშვილი** (78), **დ. გელაშვილი** (86); მესამე - **რ. მარგველანი** (65), **დ. ხუსკივაძე** (მძიმე). ქართველმა ახალგაზრდებმა თავი ისახელეს სსრ კავშირის პირადგუნდურ ჩემპიონატშიც. გამარჯვებულთა შორის იყვნენ: **ტ. კარიაული** (71), **კ. ხუბულური** (86), **პ. მარგიანი** (60); ორი მეორე ადგილი ხვდა წილად **მ. ბერუაშვილს** - 95 კგ და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. კ. ხუბულურმა სსრკ ნაკრებში ბაქოს საერთაშორისო ტურნირში - "ოლიმპიური იმედები" - პირველობა მოიპოვა თავის წონაში. დავძენთ, რომ კ. ხუბულური თემურ ხუბულურის უმცროსი ძმაა.

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიო თასის გუნდურ გათამაშებაში კვლავ ისახელა თავი **ლევან თედიაშვილმა** (95). სსრკ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა **ოთარ ყაჭაშვილი** (74), მონღოლეთის საერთაშორისო ტურნირი **ჯემალ ტარიელიძემ** (მძიმე), იუნიორთა მსოფლიო პირველობა კი **გიორგი ყურაშვილმა** (90) მოიგო. ახალგაზრდების საკავშირო პირველობაზე 100 კგ წონაში საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა ორი ქართველი - **ვ. გელაშვილი** უმაღლეს საფეხურზე დადგა, **ო. ებანოიძე** - მესამეზე. მეორე ადგილზე გავიდნენ **თ. გაბოძე** (74) და **ზ. ვარდოშვილი** (+100).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. **მიხეილ სალაძე** (ქვემძიმე) ქვეყნისა და ხალხთა სპარტაკიადის ოქროს მედალს დაეუფლა, ევროპაში კი მესამე იყო. **თეიმურაზ აფხაზავა** (82) - ევროპაში პირველი ადგილი, ხალხთა სპარტაკიადაზე - მეორე; **ნიკოლოზ ბიბილაშვილი** (100) - ბრინჯაოს მედალი სსრკ პირველობაზე.

სარბიელზე გამოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა **თემურ ყაზარაშვილი** (48), მასთან ერთად ქვეყნის ახალგაზრდული პირველობა მოიგეს **გასან ალიევმა** (74) და **უშანგი თევდორაძემ** (90). შემდეგ, ყაზარაშვილი მსოფლიო თასს დაეუფლა, როგორც პირად, ისე გუნდურ პირველობაში.

სამბო. სსრკ ჩემპიონის ტიტული მოიგო და სპარტაკიადის მეორე პრიზიორი გახდა **იოსებ მაღალაშვილი** (მჩატე), სასპარტაკიადო ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა **დავით ჯუღაშვილმა** (57). **იოსებ როსტიაშვილი** (48) უძლიერესი იყო ბაქოს საერთაშორისო ტურნირში. იუნიორთა შორის სსრკ პირველობაზე იმარჯვა **გელა ნიორაძემ** (ქვემძიმე).

ქართული ჭიდაობა. 1979 წლის საქართველოს ფალავნის ტიტულს დაეუფლა **მალხაზ ბერუაშვილი**.

მძლეოსნობა. ოლიმპიური ნაკრების წევრმა, სოხუმელმა მძლეოსანმა **საიდა გუმბამ** შთამბეჭდავად მოიგო როგორც სსრკ პირველობა, ისე ხალხთა სპარტაკიადა შუბის ტყორცნაში. სერგო ახვლედიანმა, "იზვესტიის პრიზზე", სამხტომში დაამყარა ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი - 15,63 მ. **ლეილა ნინნალაშვილს** კი ახალგაზრდების საკავშირო პირველობაზე 800 და 1500 მ. რბენებში მეორე ადგილი ხვდა წილად.

მშვილდოსნობა. ქვეყნის ზამთრის პირველობა მოიგო **ქეთევან ლოსაბერიძემ**, სპარტაკიადაზე კი მეორე შედეგით დაკმაყოფილდა.

ძრივი. სასპარტაკიადო ტურნირი ბრინჯაოს მედლით დაასრულეს **ამირან ხიზანიშვილმა** (54), **დავით კვაჭაძემ** (ქვემძიმე) და **მურმან თაქთაქიშვილმა** (71). მეორე ადგილზე გავიდა **ოლეგ დეულინი** (48).

ველოსპორტი. შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა თბილისელი **პეტრე ჩევარდოვი**, რომელმაც იმ წელს სსრკ ჩემპიონატის ოქროს სამი მედალი (წყვილთა 6-დღიანი რბოლა, 100 წრეზე რბოლა და გამოდევნებით რბოლა 4 კმ-ზე) დაიმსახურა. სპარტაკიადაზე კი, სსრკ ნაკრებში (იყო ასეთი გამონაკლისი), გამოდევნებით გუნდურ რბოლაში, კიდევ ერთი ოქრო მოიგო. შემდეგ, სწორედ ამ ნაკრებთან ერთად მოიპოვა მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალი. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თანატოლთა საკავშირო პირველობაზე იმარჯვა.

ტყვიით სროლა. სოხუმელმა **მარლენ პაპავამ** წლის საუკეთესო შედეგი აჩვენა მპ-6 ვარჯიშში.

სასტენდო სროლა. წლის ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია **თამაზ იმნაიშვილმა**, რომელიც პირად და გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალს დაეუფლა მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში. სსრკ გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს **ტარიელ ულენტმა, თამაზ იმნაიშვილმა, თეიმურაზ მატოიანმა** და **გია შენგელიამ**. მატოიანი უძლიერესი იყო პირად პირველობაშიც. ხალხთა სპარტაკიადაზე გუნდი მეორე ადგილზე გავიდა, მატოიანი ჩემპიონი გახდა, ხოლო შემდეგ, მსოფლიო პირველობაზე, გუნდურ ვერცხლის მედალსაც დაეუფლა.

ტანვარჯიში. საქართველოში ლიდერად კვლავ რჩებოდა **პაატა შამუგია**. მან დიდი უპირატესობით იპირველა ხალხთა სპარტაკიადაზე, ხტომებში.

სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრებაში თბილისის განათლების სამმართველოს გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა, რაც დიდი წარმატება იყო. ექვსი თბილისელი პირველ ადგილზე გავიდა: **ხათუნა ნანიშვილი** (დვირი), **ალეკო ხაჩატურიანი** (ორძელი), **გელა სირაძე** (ხტომები), **კობა სულთანიშვილი** (თავისუფალი ვარჯიში), **გიორგი სელიმაშვილი** (რგოლები); კობა სულთანიშვილი ოქროს მეორე მედალს მრავალჭიდშიც დაეუფლა.

მხატვრული ტანვარჯიში. სპარტაკიადაზე ფურორი მოახდინა **ირინა გაბაშვილმა**. პირველი ადგილები - ბურთით და ლენტით ვარჯიშში, მეორე-მესამე ადგილები (გაყოფით) -სახტუნელათი, ხოლო გურზებით ასპარეზობაში ბრინჯაოსი - ასეთი იყო მისი სასპარტაკიადო მონაგარი. და კიდევ: მსოფლიო პირველობაზე გაბაშვილი ოქროს მედალს იხვეჭს ბურთით ვარჯიშში, მრავალჭიდში კი ბრინჯაოს ეუფლება, მესამე ადგილზე გადის სსრკ თასის გათამაშებაში. იმავე მსოფლიო პირველობაზე, ჯგუფურ ვარჯიშში იმარჯვებს **ლალი დოლიძე**.

თემურ ხუბულური



ირინე გაბაშვილი

სპორტსკოლებს შორის საკავშირო შეჯიბრებაში **ირინა უემჩუკინამ** ორი მედალი დაიმსახურა - ოქროსი (გურზებით) და ვერცხლის (უსაგნოდ) ვარჯიშში. **მარინა ხალილოვა** ავსტრიის საერთაშორისო ტურნირში იმარჯვებს გურზებით ვარჯიშში, მრავალჭიდში კი მესამე პრიზიორი ხდება.

აპრობაციაა. ჯგუფურ ვარჯიშში ქვეყნის პირველობაზე უძლიერესის სახელი ხვდა წილად საქართველოს ნაკრებს. სამეულმა კი, **ნ. კიკილაშვილის, მ. მნათობიშვილისა** და **მ. შილაკაძის** შემადგენლობთ, სსრკ თასზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

საწყლოსნო სახეობები. **იგორ კუშპელიოვი**, 1500 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში, მსოფლიო უნივერსიადაზე მესამე ადგილზე გავიდა. წყალში ხტომაში (კოშკურიდან) სსრკ პირველობაც და სპარტაკიადაც მოიგო ოლიმპიური ნაკრების წევრმა **ლიანა ცოტაძემ**. **სერგო შალიბაშვილი** სსრკ თასს დაეუფლა, **იოსებ ელბაქიძე** კი მეორე იყო (ორივე - კოშკურიდან ხტომაში). საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა სპარტაკიადის ფინალში კი გააღწია, მაგრამ საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ძალოსნობა. სსრკ სპორტსკოლების პირად პირველობაზე, დიდ სარბიელზე პირველ წარმატებას მიაღწია **ნუგზარ პაპიძემ**, რომელიც თავის წონაში (67) გახდა უძლიერესი, იმავე ასპარეზობაში მეორე იყო **ს. ალიევი** (52).

ხელბურთი. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ "ზარია ვოსტოკას" პრიზზე. საქართველოს ნაკრები მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

მაგიდის ჩოგბურთი. სსრკ პირველობაზე, ვაჟთა და შერეულ წყვილში, კვლავ არ ჰყავდა კონკურენტი **სარქის სარხოიანს**, თავის მეწყვილესთან ერთად. ის პირველ ადგილზე გავიდა ვაჟთა შორის პირად ასპარეზობაშიც.

ჩოგბურთი. სსრკ თასს დაეუფლა თბილისის "დინამოს" გუნდი.

ფეხბურთი. ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის "დინამო" სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების სახელით მონაწილეობდა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. მოუგო რა მოსკოვის "დინამოს" 5:4 (პენალტების სერიით, ძირითადი და დამატებითი დრო 0:0), მეორედ და უკანასკნელად მოიპოვა სსრკ თასი. ქვეყნის ჩემპიონატში გავიდა მეოთხე ადგილზე; პირველად მიიღო მონაწილეობა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში; **დ. ყიფიანი, მ. მაჩაიძე** და **ო. გაბელია** დაასახელეს სსრკ კავშირის "33 საუკეთესო" ფეხბურთელთა შორის; გუნდს გადაეცა ყოველკვირეულ გაზეთ "სპორტივნაია მოსკვას" პრიზი - "ავტორიტეტთა რისხვა"; ო. გაბელია, როგორც სეზონის საუკეთესო მეკარე, ჟურნალ "ოგონიოკის" პრიზით დაჯილდოვდა. "სიჭაბუკის თასის" საკავშირო გათამაშებაში გაიმარჯვეს ქართველმა ყმაწვილებმა. "ტყავის ბურთის პრიზზე" კი 10-11 წლიანები მესამე ადგილზე გავიდნენ, 14-15 წლიანები მეორეზე.

ალპინიზმი. პამირში განხორციელებული რთული ასვლისთვის სსრკ ჩემპიონის ოქროს მედლები გადაეცათ ქართველ მთამსვლელებს.

ჭადრაკი. **ნანა იოსელიანმა** მეორედ მოიპოვა ევროპის თასი გოგონათა შორის. ასევე გოგონათა შორის, ქვეყნის პირველობაზე გაიმარჯვა ქუთაისელმა **თამილა მესხმა**. სსრკ ქალთა ჩემპიონატში II-IV ადგილებს (11,5-11,5 ქულა) იყოფენ **ნანა ალექსანდრია, ნონა გაფრინდაშვილი** და **მაია ჩიბურდანიძე**.

კალათბურთი. იტალიის საერთაშორისო ტურნირი მოიგო თბილისის "დინამოს" ვაჟთა გუნდმა.

დაბოლოს. 1979 წლის შედეგები სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული გამოკითხვით შეჯამდა. ადგილები ასე განაწილდა: 1. **თემურ ხუბულური**, 2. **ირინე გაბაშვილი**, 3. **ოთარ გაბელია**, 4. **საიდა გუმბა**, 5. **ქეთევან ლოსაბერიძე**, 6. **მანუჩარ მაჩაიძე**, 7. **დავით ყიფიანი**, 8. **პეტრე ჩევარდოვი**, 9. **მაია ჩიბურდანიძე**, 10. **ლიანა ცოტაძე**.

(გაგრძელება იქნება)

თენგიზ გაჩეჩილაძე

სუმო

ცენტნერი და კიდევ ნახევარი

11-25 მარტს ოსაკას პრეფექტურის გიმნაზიუმში პროფესიული სუმოს წლის მეორე დიდი ტურნირი ბაშო გაიმართება. გუშინ გამოქვეყნდა ახალი რეიტინგ-ლისტი, რომლის მიხედვითაც ქართველი ფალავანი **ლევან ცაგურია (კოკაი)** მეშვიდე მაეგაშირას რანგით იჭიდავებს. სამი წელია, რაც კოკაი უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩისა, მისთვის ყველაზე წარმატებული შარშანდელი სეზონი იყო, როცა ივლისის ბაშოზე წარმატებამ მას კომუსუბის ტიტული მოუტანა. ამ ტიტულით კოკაიმ სექტემბრის და ნოემბრის ბაშოზე იასპარეზა, თუმცა იანვრიდან ქართველი კვლავ ელიტის რიგითი მაეგაშირა გახდა. იანვრაში კოკაიმ უარყოფითი ბალანსით დაასრულა ბაშო, 7-8. შედეგად, კვლავ უკან დაიხია, დასავლეთის მეხუთე მაეგაშირობიდან აღმოსავლეთის მეშვიდედ ჩამოქვეითდა (რეალურად ერთნახევარი საფეხურით).

ლევანი მარტის ბაშოს დაწყების წინა დღეს 26 წლის გახდება, ჩვენებურს შესამჩნევად დაუკლია წონაში, კოკაი "მხოლოდ" 153 კილოს იწონის. ელიტაში მას 141 მოგება და ოდნავ მეტი, 144 მარცხი აქვს. ახალი ბანძუკეს მიხედვით დიდი ჩემპიონი კვლავ ერთია, მონღოლი **ასაშორიუ**. არ შეცვლილა ოძეკების ვინაობაც, მხოლოდ **ტოჩიაძუმას** მარტის ბაშოზე დადებითი ბალანსი სჭირდება ტიტულის დასაცავად. სეკივაკე გახდა **კოტოშოგიკუ** (პირველი მაეგაშირა, რომელმაც ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა), კომუსუბის ტიტული დაიბრუნა **ამამ** და პირველად მიიღო მონღოლმა **ტოკიტენკუმ**. ჩამოქვეითებულთა შორის ბევრი გამოცდილი რიკიშია, ასე რომ, კოკაის არც მარტის ბაშოზე ელის იოლი გასეირნება. ელიტას ერთი დებიუტანტი ჰყავს - **ტოჩიოძანი**. რანგით მესამე, მაკუუჩატას დივიზიონში იჭიდავებენ **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** და **ლევან გორგაძე (ტორინოშინი)**. პირველი მაკუუჩატას 35-ე ნომერია, მეორე - 41-ე.

ამასობაში იაპონურმა ტაბლოიდმა "შუკან გენდაიმ" სენსაციური მასალა გამოაქვეყნა, სადაც ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ თანამედროვე სუმოში ბრძოლების უმეტესობა წინასწარ გარიგებული შედეგით სრულდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე)

აღმოსავლეთი	რანგი	დასავლეთი
ასაშორიუ	იოკოზუნა	-
ჩიიტაჩიკი	ოძეკი	ჰაკუჰო
კოტოოჟუ	ოძეკი	კაიო
-	ოძეკი	ტოჩიაძუმა
კოტოშიგუკი	სეკივაკე	კოტოშოგიკუ
ამა	კომუსუბი	ტოკიტენკუ
კისენოსატო	მაეგაშირა 1	ტოიონოშიგა
კიოკუტეენო	მ 2	ასასეკირიუ
მიაგიამა	მ 3	კასუგაო
ფუტენო	მ 4	ტაკეკაძე
ჰოგაშო	მ 5	ტამაკასუგა
ტაკაისასკარი	მ 6	კაკიოზე
კოკაი	მ 7	როჰო
დეგიზიმა	მ 8	ტამაგოშიგა
ამინიშიკი	მ 9	ტოჩიონაღა
ასასუგანიშიკი	მ 10	ტოკიკუუმი
ივაკიამა	მ 11	კაკურიუ
უშიოგარუ	მ 12	იოშიკაძე
ჰაკუროკანი	მ 13	ბარუტო
ტოჩიოკანი	მ 14	ტოსაგუმი
შიგოტორი	მ 15	ტოჩინოვანა
ვაკანოსატო	მ 16	ჯუმეოვი



კოკაი მეშვიდე მაეგაშირაა



ფინიქსელი ამარე სტაუდმაიერი ტურის გმირი გახდა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

სამეფო ინგრევა

ინდიანა-საკრამენტო 93:110

27:24, 23:23, 24:40, 19:23

ინდიანა: ჯ. ონილი (19 ქ. 9 მ. 6 დ), მ. დანლივი-უმცროსი (18 ქ. 9 მ. 4 პ), გრეინჯერი (13 ქ), მერფი (12 ქ. 11 მ), ფოსტერი (4 ქ. 9 მ).

საკრამენტო: კევინ მარტინი (35 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ), ბიბი (28 ქ. 6 პ. 4 მ. 2 ჩ), აბდურ-რაჰიმი (10 ქ. 8 მ), გარსია (10 ქ. 4 მ).

"საკრამენტოს" ფანები, ალბათ, საბოლოოდ უნდა შეეგუონ იმას, რომ ოქროს ეპოქა, რომელიც გუნდიდან **კრის უებერისა** და **პეჯა სტოიაკოვიჩის** წასვლით დასრულდა (ცოტა ხნით ადრე, "საკრამენტოდან" **ვლადე დივაციც** აიბარგა), ახალმა ტალღამ შეცვალა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ კალიფორნიელთა შემადგენლობის კიდევ ერთი გადახალისება ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც ეს წინა წლებში იყო.

ძმები **მალუფების** გუნდს დღესაც ძალიან ბევრი ფანი ჰყავს, მაგრამ ადრე თუ გვიან მათ მოთმინებასაც მოეღება ბოლო. პერმანენტულად საფლეიოფო ზონაში მყოფი გუნდი, დღესდღეობით ზემძლავ დასავლეთში პირველი ტალღის მიღმა იმყოფება და ფლეი ოფში რომც გავიდეს, იქ უშანსოდ იქნება. ცხადია, ჯერ საფლეიოფო საგზურის მოპოვებაა საჭირო.

ახალ "კინგზში" სამეფო მანტია **მაიკ ბიბიმ** და **რონ არტესტმა** შემოირტყეს, მაგრამ იმდენად არადამაჯერებლად გამოიყურებიან, რომ მათი გადამკიდე "საკრამენტომ" ვერა და ვერ დაიბრუნა სტაბილურობა, რაც წინა წლებში ამ გუნდისთვის ასე დამახასიათებელი იყო.

კარგი ბიჭია **კევინ მარტინი**, რაც ამ ახალგაზრდამ "პეისერზთან" დაპირისპირებაშიც დაამტკიცა, მაგრამ იმ გაქანებისა და მასშტაბის ნაღდად არაა, რომ მის ირგვლივ ახალი, სერიოზული გუნდის მშენებლობა დაიწყოს.

"ინდიანასთან" მარტინმა და ბიბიმ იმდენად მძლავრად ითამაშეს, რომ მასპინძლებს დიდი შესვენების მერე, მოგების მცირე შანსიც არ დარჩათ.

არ უთამაშია არტესტს, რომელმაც თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ჯახი, ოჯახური პრობლემების გამო გამოტოვა. რონი დიდი ძალაა, მაგრამ იმ დღეს სტუმრები ფონს მის გარეშეც იოლად გავიდოდნენ.

დიდი შესვენების შემდეგ, მარტინმა 27 ქულა დააგროვა და ალბათ, მთლიანად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც დაფარა ის სირცხვილი, რაც "მეფეთა" მსროლელს "ნიუ ჯერსისთან" შეხვედრაში შეემთხვა. ისტრუზერფორდელებთან მატჩი გუნდის პირველმა მექუოლემ ოდენ 2 ქულით ჩაამთავრა და პირნმინდად დათმო ორთაბრძოლა **ჯეისონ კიდთან**, რომელსაც ნაკლებ დღეში არც ბიბი ჩაუგდია.

"თავიდანვე რიტმში ჩავჯექი და მეორე ტაიმში თანაგუნდელები თითქმის ყოველი შეტევისას ბურთს მე მაწვდინენ. სტაბილურობა თუ არ დავიბრუნეთ, ფლეი ოფში ვერანაირად ვერ გავალთ", - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე მარტინი, რომელმაც 23 საჯარიმოდან 18 გამოიყენა. მაიკ ბიბიმ კი თამაშიდან 17-დან 10 სროლა შეასრულა ზუსტად.

რაც შეეხება "პეისერზს", **რიკ კარლაილის** გუნდმა ზედიზედ მესამე შეხვედრაში ოპონენტს მინიმუმ 110 ქულა დააგროვებინა, რაც ბოლოს "ინდიანის" ისტორიაში 2004 წელს მომხდარა. ამ სეზონში, **ჯერმეინ ონილი** და კომპანია ყველაზე ნაკლები გაშვებული ქულების რაოდენობით პირველ ხუთეულში იმყოფება, თუმცა ბოლო დროს, უსისტემოდ მოთამაშე "პეისერზს" სერიოზული პრობლემები აქვს.

"დაცვაში ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებთ. ასეთი თამაშით სამყვარულო გუნდთანაც კი პრობლემები შეგვექმნება", - ამბობს კარლაილი, რომლის გუნდსაც წელს, ასეთი სხვაობით შინ მანამდე არ წაეგო.

რაც შეეხება ონილს, რომელიც კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს, ამჯერად მან 16 სროლიდან 9-ჯერ ვერ ივარგა. იგი ოთხჯერ დაჯარიმდა და 6 დაფარების მიუხედავად, დაცვაში მაინც უხეში შეცდომები დაუშვა.

დეტროიტი-ჩიკაგო 95:93

25:27, 20:26, 22:16, 28:24

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (22 ქ. 4 მ. 4 ჩ), უებერი (21 ქ. 9 მ. 3 ჩ), ბილაპსი (15 ქ. 9 პ. 2 ჩ), პრინსი (14 ქ. 9 მ. 3 დ).

ჩიკაგო: გორდონი (21 ქ), პი. ჯეი. ბრაუნი (19 ქ. 12 მ. 4 დ), დენგი (18 ქ. 8 მ), დიუჰონი (12 ქ. 6 მ. 5 პ), ბ. უოლასი (6 ქ. 8 მ. 4 პ. 3 ჩ. 2 დ).

კითხვაზე, თუ რას ელის იგი დეტროიტელი ფანებისგან, **ბენ უოლასმა** მოკლედ მოჭრა - ხმაურს და მეტს არაფერსო.

ხმაური მართლაც იყო, მაგრამ ბენისთვის სამწუხაროდ, მიჩიგანში დაბრუნებულ მეგაცენტრს უფრო მეტი უსტვინეს, ვიდრე აპლოდისმენტებით შეეგებნენ.

ბოლო 5-6 წლის უძლიერესი დამცველმაც ვერ ითამაშა ისე, როგორც ბოლო ორ მატჩში, როცა ფარიდან ასხლეტილ ყველა ბურთს იმკობდა და პირად ანგარიშს ბლომად დაფარება-ჩაჭრითაც ავსებდა.

ბენზე გაცილებით პროდუქტიულად სტუმართა მეორე ბებერმა მეფარემ, მძიმე ფორვარდმა **პი. ჯეი. ბრაუნმა** ითამაშა, რომლისთვისაც ეს ამ სეზონში საუკეთესო შეხვედრა იყო.

უოლასი ზედმეტად ნერვიულობდა. მან ზედიზედ ორჯერ ფარქვეშეთში **ტაიშონ პრინსი** იმდენად იოლ სიტუაციაში ახეირა, რომ მეორე სროლის მერე, გაკვირვება ვერც თავად ტაიშონმა დამალა.

ბენმა ამჯერადაც საშინლად შეასრულა საჯარიმოები – 8 ასეთი სროლიდან მან მხოლოდ 2 გამოიყენა.

სწორედ სტუმართა მაღლების უყურადღებობას შეეწირა "ბულზი". ძირითადის დასრულებამდე 2.2 წამით ადრე, **კრის უებერმა რიჩარდ ჰამილტონის** მიერ აცილებულს თითები წაარტყა, 21 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი გაიმეორა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. "პისტონზისთვის" ეს იყო ბოლო 18 მატჩში მე-15 გამარჯვება. აღსანიშნავია ისიც, რომ უებერთან ერთად სასტარტოში, "პისტონზმა" ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგო.

შეგახსენებთ, რომ "დიდი ბენი" სეზონის დაწყებამდე "დეტროიტის" ბოსებს საკონტრაქტო პირობებზე ვერ შეუთანხმდა და საბოლოოდ, "ბულზთან" 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც მას 60 მილიონ დოლარს მოუტანს. "პისტონზი" უოლასს ამავე პერიოდში 50 მილიონს სთავაზობდა. ბენის დაკარგვის მერე, "დეტროიტმა" "სან ანტონიოდან" **ნაზრ მოჰამედი** აიყვანა, რომელსაც თავიდან არა უშავდა, მერე და მერე კი გაფერმკრთალდა და ამ ეტაპზე ნაზრი თითქმის აღარ თამაშობს. "ბულზთან" მოჰამედი განაცხადში კი იყო, მაგრამ ერთი წუთიც არ უთამაშია.

მინესოტა-ვაშინგტონი 98:94

23:23, 28:21, 26:22, 21:28

მინესოტა: რ. დევისი (27 ქ. 5 მ. 5 პ), გარნეტი (26 ქ. 17 მ. 4 პ), ფოიე (13 ქ. 8 პ. 4 მ. 3 ჩ), ჰასელი (10 ქ. 5 მ. 5 პ).

ვაშინგტონი: სტივენსონი (21 ქ), არენასი (20 ქ. 6 პ. 4 მ).

"ვაშინგტონის" ლიდერმა **გილბერტ არენასმა** 11 სამქულიანიდან 10 ვერ გამოიყენა. სტუმრებს ჯერაც არ ჰყავთ ტრავმირებული **ანტუან ჯეიმისონი**.

ორლანდო-პიუსტონი 93:97

17:26, 22:25, 31:25, 23:21

ორლანდო: გ. ჰილი (21 ქ. 7 მ), დ. ჰოვარდი (18 ქ. 16 მ. 4 დ. 3 პ. 2 ჩ), არიზა (14 ქ. 5 მ), ნელსონი (12 ქ. 5 მ).

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (34 ქ. 6 მ. 4 პ), ალსტონი (20 ქ. 5 პ), ჰედი (15 ქ), ბეტიე (14 ქ. 5 მ. 2 ჩ).

მაიამი-კლივლენდი 86:81

20:19, 21:19, 18:21, 27:22

მაიამი: შ. ონილი (19 ქ. 11 მ. 3 პ), კაპონო (17 ქ. 11 მ), მურნინგი (15 ქ. 3 მ), პოუსი (10 ქ).

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (29 ქ. 7 პ), ჰიუზი (14 ქ. 4 პ), ვარეჟაო (3 ქ. 12 მ).

ნ. ჯერსი-ნ. იორკი 101:92

22:28, 22:25, 33:15, 24:24

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (40 ქ. 9 მ. 8 პ. 2 ჩ), მური (19 ქ), ნახბარი (15 ქ. 10 მ. 3 პ), კიდი (11 ქ. 14 პ. 4 მ. 2 ჩ).

ნიუ იორკი: მარბერი (22 ქ), კარი (18 ქ. 4 მ), ფრაი (15 ქ), ჯ. კროუფორდი (13 ქ. 10 პ. 5 მ).

გ. სტეიტი-ლეიკერსი 85:102

25:29, 17:27, 22:23, 21:23

გოლდენ სტეიტი: მ. ელისი (22 ქ. 3 პ), ჯ. რიჩარდსონი (15 ქ. 6 მ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (12 ქ. 4 პ), ბიედრინსი (8 ქ. 16 მ. 4 დ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (26 ქ. 6 მ. 6 პ. 3 ჩ), მ. ევანსი (26 ქ. 4 პ. 2 ჩ), კუკი (11 ქ), ბინუმი (9 ქ. 11 მ).

ზურაბ თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ულრიხი წავიდა

როცა 23 წლის გერმანელმა **იან ულრიხმა** 1997 წლის ტურ დე ფრანსი მოიგო, ბევრს ეგონა, რომ საგზატკეცილო ველოსპორტში მისი ბატონობის ერა იწყებოდა. მაგრამ ამერიკელმა **ლენს არმსტრონგმა**, ხშირმა ტრავმებმა და ბოლოს, დოპინგსკანდალებში გარევამ, მისი კარიერა არია და ამის ლოგიკური შედეგი გუშინ გავიგეთ: 33 წლის ასაკში ულრიხმა სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა.

ტურზე მიღწეული გამარჯვების შემდეგ, იყო მომენტები, როცა ულრიხი მოლოდინს ამართლებდა - 1999 წელს მან ესპანეთის ტური, იგივე ვუელტა და მსოფლიო ჩემპიონატი (დროზე ინდივიდუალური რბოლა) მოიგო, მომდევნო სეზონში კი სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროსა და ვერცხლის მედლებით (შესაბამისად, საგზაო და დროზე ინდივიდუალურ რბოლაში) დაიმშვენა მკერდი. კიდევ ერთი წლის შემდეგ, კვლავ დროზე რბოლაში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ საგზაო ველოსპორტში ყველაზე სანუკვარი და დიდი გამარჯვება კაცმა მხოლოდ ერთ რბოლაში - საფრანგეთის ტურზე შეიძლება მოიპოვოს.

ულრიხსაც ცდა არ დაუკლია, არაერთხელ დააპირა 1997 წლის მიღწევის გამეორება, მაგრამ არმსტრონგს ვერაფერი მოუხერხა. საერთო ჯამში, ტურზე მას ხუთი მეორე ადგილი დაუგროვდა, მაგრამ ტექსასელ სუპერველომრბოლზე მაღლა კვარცხლბეკზე ერთხელაც ვერ ავიდა.

მერე კი, როცა არმსტრონგმა სპორტი დატოვა, გერმანელს სანუკვარი ოცნების ასრულების იმედი მიეცა, მაგრამ ამჯერად დოპინგსკანდალმა შეუშალა ამაში ხელი - ტურის სტარტამდე ცოტა ხნით ადრე, ესპანეთში დაწყებულმა "ოპერასიონ პუერტომ" იანის და მისი ფანების იმედებს ცივი წყალი გადაასხა. უფრო მეტიც, ტურზე რომ არ გაუშვეს, ულრიხი გერმანულმა გუნდმა "ტე-მობილმა" თავისი რიგებიდანაც დაითხოვა.

"მე რომ შარშანდელ ტურზე არ გამიშვეს, ეს საშინელი სიზმარივით იყო. ეს ნამდვილი შოკი იყო, რასაც ახლაც კი განვიცდი. მე ეს სასჯელი არ დამიმსახურებია და სამწუხაროა, რომ ამ გაუგებრობის გამო, ოცნების შესრულებაში შემიშალეს ხელი", - განაცხადა ულრიხმა.

მან ხუთჯერ წააგო არმსტრონგთან და ამის მიუხედავად, სპეციალისტების უმეტესობა ახლაც დარწმუნებით ამბობს: ერთადერთი კაცი, ვისაც ამერიკელის დამარცხება ხელეწიფებოდა, სწორედ ულრიხი იყო!

რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ისაა, რომ გერმანელმა ველომრბოლმა 1997 წლის ტური უზარმაზარი - ცხრაწუთიანი უპირატესობით მოიგო. მაშინ ტურის დირექტორმა **ჟან-მარი ლებლანმა** განაცხადა, ახლა ჩვენ დიდი ჩემპიონის დაბადების მომსწრენი ვართო. ცნობისათვის, ულრიხი ტურის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი გერმანელი ჩემპიონია.

იანმა რომ ტური მოიგო, მაშინ ბევრი დარწმუნებული იყო, რომ დროზე რბოლებისა და სამთო ეტაპების სპეციალისტს დიდ რბოლებში კონკურენციას ვერავინ გაუწევდა. მაგრამ მომდევნო სეზონში მას ტრავმები მოუხშირდა. შედეგად, 1998 წლის ტურზე ის მეორე ადგილს დასჯერდა, გამარჯვება კი **მარკო პანტანიმ** მოიპოვა.

როგორც მალე გაირკვა, ულრიხი მეორე ადგილს უნდა შეჰგუებოდა, რადგან არმსტრონგმა კიბო მოირჩინა და სპორტს დიდი ამბიციებით დაუბრუნდა. ის, რომ იანი ამერიკელს ჯეროვან მეტოქეობას ვერ უწევდა, ნაწილობრივ თავისივე ბრალი იყო - რამდენჯერმე გერმანელი ტურს სრულად მომზადებული ვერ შეხვდა, რაც მისი სიზარმაცის გამო ხდებოდა. ეს მაშინ, როცა ლენსისთვის ყოველი სეზონისთვის მზადების დაწყება ტურისთვის მზადების მეტს არაფერს ნიშნავდა. შედეგად, 2000, 2001 და 2003 წლებში ტური არმსტრონგმა მოიგო, ულრიხი კი სამივეჯერ მეორე იყო.

2002 წელს ის ტურისთვის დიდი მონდომებით ემზადებოდა, მაგრამ სეზონის დასაწყისში საავტომობილო ინციდენტი მოუვიდა (თავის "პორშეს" მთვრალი მართავდა), რის გამოც ცოტა ხნით დაასვენეს. მერე კი, სანამ ვარჯიშს დაუბრუნდებოდა, შემთხვევით ჩატარებულმა შემოწმებამ სინჯში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოუჩინა.

ამის გამო, ის "დოიჩე ტელეკომიდან" (შემდგომში გუნდს ტე-მობილი ეწოდა) დაითხოვეს. მომდევნო სეზონში ის იტალიურ გუნდ "ბიანკისთან" ერთად ასპარეზობდა და ტურზე კვლავ მეორე ადგილს დასჯერდა. სწორედ მაშინ ჰქონდა მას ამერიკელის დამარცხების საუკეთესო შანსი, მაგრამ ბოლოსწინა ეტაპზე (დროზე ინდ. რბოლა) ასპარეზობისას დაეცა და ყველა შანსი ხელიდან გაუშვა (რომც არ დაცემულიყო, არმსტრონგი მაინც მოუგებდა).

მერე კვლავ "ტელეკომში" დაბრუნდა, მაგრამ 2004 წელს მეოთხე ადგილს დასჯერდა, 2005 წელს კი მესამეზე გავიდა. სწორედ ეს იყო არმსტრონგის და როგორც ახლა ირკვევა, ულრიხის ბოლო ტური.

გუშინ მან სპეციალურად მოიწვია პრესკონფერენცია, რომელზეც საზოგადოებას ამცნო, რომ სპორტიდან მიდის.

"დღეს ჩემს, როგორც პროფესიონალი ველომრბოლის კარიერას წერტილს ვუსვამ და მინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ არასოდეს მითაღლითია. ახლაც არ მესმის, შარშანდელ ტურზე რატომ არ დამიშვეს. ჩემი სპორტული კარიერა სწორედ შარშან დასრულდა. რატომ? იმიტომ, რომ რბოლაში მონაწილეობა ისე ამიკრძალეს, რომ რიგიანად არც ვიცოდი, რაში მედებოდა ბრალი. მე ისე მდევნიდნენ, როგორც კრიმინალურს. მაგრამ ცუდი არასოდეს არაფერი ჩამიდენია", - განაცხადა ულრიხმა, ვინც ახლახან თავისი დნმ-ის ანალიზის ჩატარებას დათანხმდა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ამის შემდეგაც ვერავინ მისცემდა იმის გარანტიას, რომ მისი დევნა შეწყდებოდა, საბოლოოდ მაინც სპორტიდან წასვლა ამჯობინა.

მერაბ ლორთქიფანიძე

იან ულრიხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვეიცარიელი მაესტრო

რეკორდები უსაზღვროდ

რაც ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** მას შემდეგ არ უთამაშია, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც იოლად შეინარჩუნა მსოფლიოს პირველი ჩოგნის წოდება და სახელოვანი ამერიკელის, **ჯიმი კონორსის** რეკორდიც მოხსნა.

კონორსს 1974 წლის ივლისიდან 1977 წლის აგვისტომდე, რეიტინგის პირველი საფეხური ზედიზედ 160 კვირის განმავლობაში ეკავა. ფედერერის ჰეგემონია კი უკვე 161 კვირა გრძელდება. ეგ კი არა, მან კიდევ დიდხანს რომ არ ითამაშოს, ალბათ მაინც ვერავინ ჩამოაქვეითებს.

"დიდი ხანია, ამ დღეს ველოდი, ახლა კი, როცა კონორსის რეკორდი გავაუმჯობესე, თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ. ეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მიღწევაა, რაც კი სპორტულ კარიერაში მქონია", - ამბობს ფედერერი, ვინც რეიტინგში თავის უახლოეს მდევარს, ესპანელ **რაფაელ ნადალს** 3 415 ქულით უსწრებს.

ბოლო რეიტინგში ფედერერის გრაფაში 8 120 ქულა წერია, ნადალისაში კი - 4 705. კიდევ უფრო შორსაა მესამე ადგილზე მყოფი ამერიკელი **ენდი როდიკი**, ვისაც 2 830 ქულა აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქედან მოყოლებული, თუ ფედერერს დიდი ჩავარდნა ექნება, მას მაინც ვერავინ გადაასწრებს, თუ მასავით კარგად არ ითამაშებს.

"ჩემი შედეგი სამუდამოდ დარჩება ისტორიაში და მე ამით ვამაყობ. შეიძლება ზოგის აზრით, ეს არც ისე შთამბეჭდავი შედეგი იყოს, მაგრამ როცა გავიხსენებ, რომ ამ სამი სეზონის განმავლობაში, მუდმივად ვარჯიში და თამაში მიწევდა, მე თვითონაც ძნელად მჯერა, რომ ეს შევძელი. ეს მარათონია, რომელზეც მუდამ იმას ფიქრობ, რომ გზა არასოდეს გამოილევა", - ამბობს ფედერერი, ვისაც შარშანდელი მასტერსის თასის შემდეგ საერთოდ რომ არ ეთამაშა, კონორსის რეკორდს მაინც გაუმჯობესებდა.

ამ სეზონში მას მხოლოდ ერთ ტურნირზე - ავსტრალიის ღია პირველობაზე აქვს ნათამაშები, რომლის ჩემპიონი ისე გახდა, რომ ერთი სეტიც კი არ წაუგია. მსგავსი დომინაცია კი კაცთა ჩოგბურთს 27 წელია არ ახსოვს.

"ახლა ვრწმუნდები, რომ მართლაც საუკეთესო ვარ მსოფლიოში. სხვა ჩოგბურთელი რომ ვიყო, ძალიან გამიკვირდებოდა ერთი მოთამაშის ასეთი დომინაცია. აბა, როგორია, როცა ყველა ტურნირს ერთი კაცი იგებს? ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი, როცა პროფესიონალი ჩოგბურთელის კარიერას ვიწყებდი", - ამბობს ფედერერი, ვისაც დიდი სლემის ჯერჯერობით "მხოლოდ" ათი ტურნირი აქვს მოგებული. შეგახსენებთ, რომ მას ოთხი სასლემო ტიტული სჭირდება იმისათვის, რომ ამერიკელი **პიტ სამპრასის** მიღწევა გაიმეოროს და თუ ერთით მეტსაც მოიგებს, მაშინ კიდევ ერთი რეკორდის ავტორი შეიქნება.

ფედერერის საკარიერო მიღწევები

* 2003 წლის უიმბლდონის ფინალში ავსტრალიელ **მარკ ფილიპუსისს** მოუგო და შეიქნა პირველი შვეიცარიელი კაცი მეჩოგნე, ვინც დიდი სლემის ტურნირი მოიგო;

* 2004 წლის 2 თებერვალს გახდა პირველი კაცი შვეიცარიელი მეჩოგნე, ვინც რეიტინგს სათავეში მოექცა;

* 2004 წლის სეზონში მოიგო ავსტრალიის ღია, უიმბლდონი და აშშ-ის ღია, რითაც ღიას ერაში გახდა პირველი კაცი მეჩოგნე, ვინც თავის კარიერაში დიდი სლემის პირველი ოთხივე ფინალი მოიგო;

* ზედიზედ 24 ფინალის მოგების შემდეგ, 2005 წლის სეზონის მიწურულს, მასტერსის თასის ფინალში არგენტინელ **დავიდ ნალბანდანთან** წააგო;

* 2006 წლის ავსტრალიის ღიას მოგებით, გაიმეორა ამერიკელი **რიჩარდ სირსისა** და ბრიტანელი **უილ რენშოუს** მიღწევა - მოიგო კარიერაში ნათამაშები დიდი სლემის პირველი შვიდივე ფინალი. ცნობისათვის, სირსმა და რენშოუმ თავიანთი მიღწევა 1880-იან წლებში დააფიქსირეს;

* 2006 წლის უიმბლდონზე, გაიმეორა შვედი **ბიორნ ბორგის** მიღწევა - ბალახზე ზედიზედ 41-ე თამაში მოიგო. ეს შედეგი მალე, უიმბლდონის მოგებით, 48-მდე გაზარდა;

* ფედერერი პირველი კაცი ჩოგბურთელია, ვინც ზედიზედ სამ სეზონში უიმბლდონისა და აშშ-ის ღიას მოგებით, დუბლები შეასრულა;

როჯერ ფედერერი

* ღიას ერაში ისაა პირველი კაცი ჩოგბურთელი, ვინც ზედიზედ სამ სეზონში ათ ტურნირზე მეტს იგებდა (2004-11, 2005-11, 2006-12);

* 2006 წელს გახდა პირველი ჩოგბურთელი, ვინც ერთ სეზონში ჰონორარების სახით 8 მილიონ დოლარზე მეტი აიღო (8 343 885);

* შარშანვე მან არნახულად ბევრ სარეიტინგო ქულას (8 370) მოუყარა თავი;

ავსტრალიის წლევანდელ ღია პირველობაზე, ღიას ერაში შეიქნა პირველი კაცი მეჩოგნე, ვინც დიდი სლემის ზედიზედ 11 ტურნირის ნახევარფინალს მიაღწია;

* მელბურნშივე, ავსტრალიის ღიას ფინალში რომ ითამაშა, ეს დიდი სლემის ზედიზედ მეშვიდე ფინალი იყო, რითაც მან ავსტრალიელი **ჯეუ კროუფორდის** 1934 წლის მიღწევა გაიმეორა;

* პროფესიულ ერაში შეიქნა პირველი ჩოგბურთელი, ვინც კარიერაში მეორე შეძლო ერთ სეზონში დიდი სლემის ზედიზედ სამი ტურნირის მოგება;

* მისი ახალი რეკორდა რეიტინგის სათავეში გატარებული 161 კვირა. ეს ერთით მეტია, ვიდრე ამერიკელი **ჯიმი კონორსის** ძველი რეკორდი, რომელიც მან 30 წლის წინ დააფიქსირა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ტურნირები

ჰაასმა მემფისური ტიტული შეინარჩუნა

მემფისის ტურნირის ფინალში, გერმანელმა **ტომი ჰაასმა** ორ სეტში მოუგო ამერიკელ **ენდი როდიკს** და შეინარჩუნა ტიტული, რომელსაც უკვე მესამედ დაეპატრონა. გერმანელმა თითქმის ყველა სათამაშო ასპექტში აჯობა ამერიკელს, თავის სერვისზე ოდენ შვიდი ქულა დათმო და კარიერაში მე-11 ტიტული მოიპოვა.

"ვფიქრობ, მთელი ტურნირის განმავლობაში შესანიშნავად ვაწოდებდი. ამასთან, ხაზზე თამაშისას დიდ მოთმინებასაც ვიჩენდი. ბადესთან კი მხოლოდ მაშინ გავდიოდი, როცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ქულის აღება შეიძლებოდა. მოკლედ, ყველაფერი კარგად გამომდიოდა. რაც შეეხება ენდის, მას დასაწყისში, მოწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და ამით ვისარგებლე. თანაც, მე არც ბევრ შეცდომას ვუშვებდი. მოკლედ, ყველა პირობა იყო იმისა, რომ ეს თამაში მე უნდა მომეგო", - ნამატჩევს განაცხადა ჰაასმა, ვიც მთელი ტურნირის განმავლობაში, თავის სერვისზე ერთხელაც არ მდგარა ბრეიკ პოინტის წინაშე და თავად კი 47 გეიმი მოიგო.

ხაზიდან უშეცდომო თამაშის წყალობით, ჰაასმა საწყისი სეტის მეორე გეიმშივე მიაღწია ბრეიკს და მეტოქის სერვისზე მოპოვებული ამ ერთადერთი ქულის წყალობით, პირველი სეტი 32 წუთში მოიგო.

მეორე სეტიც ანალოგიურად წარიმართა. ოღონდ, განსხვავება ის იყო, რომ გერმანელმა ორჯერ, მესამე და მეხუთე გეიმში მიაღწია ბრეიკს, გამარჯვებას კი ეისით (ეს თამაშში მისი მერვე ეისი იყო) მიაღწია.

მემფისური ტურნირის ისტორიაში, ჰაასი სულ მეორე ჩოგბურთელია, ვისაც ეს ტურნირი სამჯერ (1999, 2006 და 2007 წელს) აქვს მოგებული. პირველი კი **ჯიმი კონორსი** იყო, ვინც ახლა სწორედ როდიკს წვრთნის. გარდა ამისა, შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ ის სულ მეორე ჩოგბურთელია, ვინც ტურნირი თავის სერვისზე ქულის წაგების გარეშე მოიგო. ჰაასამდე იგივე ვენის ტურნირზე ხორვატმა **ივან ლიუბიჩიჩმა** შეძლო.

"მან აშკარად მაჯობა, რაც ნაწილობრივ ჩემი ბრალიცაა - დასაწყისში ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებდი, რითაც ტომის დაწინაურების საშუალება მივეცი. როცა ის უპირატესობას მიაღწევს, მისი დამარცხება თითქმის შეუძლებელია", - განაცხადა როდიკმა, ვისაც ფინალში ბრეიკის ერთი შანსიც არ ჰქონია.

ნაგების მიუხედავად, როდიკმა რეიტინგში პოზიცია გაიუმჯობესა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ATP

მორგან კიგანის ჩემპიონატი
მემფისი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 757 000 დოლარი

ფინალი

ტომი ჰაასი (2) - ენდი როდიკი (1) 6:3, 6:2

კოპა ტელმექსი
ბუენოს აირესი (არგენტინა). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 445 000 დოლარი

ფინალი

ხუან მონაკო - ალესიო დი მაურო 6:1, 6:2

ABN AMRO-ს ჩემპიონატი
როტერდამი (ჰოლანდია). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 925 000 დოლარი

ფინალი

მიხაილ იუჟნი - ივან ლიუბიჩიჩი (3) 6:2, 6:4



ტომი ჰაასი

რეიტინგები

ATP-ის რეიტინგი	
1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8120
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	4705
3(4). ენდი როდიკი (აშშ)	2830
4(3). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	2825
5(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	2685
6(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2605
7(7). ტომი როზარდო (ესპ)	2555
8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	2395
9(9). ტომი ჰაასი (გერ)	2020
10(10). დავიდ ნალბანდიანი (არგ)	1995
11(11). მარინ ანჩიჩი (ხორ)	1975
12(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	1785
13(13). ენდი მარეი (გრიტ)	1700
14(14). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	1655
15(15). დავიდ ფერერი (ესპ)	1645
16(16). რიშარ გასკე (საფ)	1590
17(17). მარკოს ბაღდატისი (კვი)	1465
18(22). მიხაილ იუჟნი (რუს)	1440
19(18). იარკო ნიემინენი (ფინ)	1300
20(21). დმიტრი ტურსუნოვი (რუს)	1230
21(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)	1220
22(25). მარდი ფიში (აშშ)	1195
23(23). დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ)	1108
24(24). მარატ საფინი (რუს)	1105
25(27). ხუან კარლოს ფერერო (ესპ)	1100

ATP-ის საჩემპიონო რბოლა	
1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	200
2(2). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	148
2(5). ტომი ჰაასი (გერ)	148
4(3). ენდი როდიკი (აშშ)	140
5(4). ენდი მურეი (ბრიტ)	122
6(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	110
7(17). მიხაილ იუჟნი (რუს)	102
8(8). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	97
9(11). მარდი ფიში (აშშ)	95
10(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	92
11(7). მარკოს ბაღდატისი (კვი)	90
12(14). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	87
13(10). ტომი როზარდო (ესპ)	86
14(13). დავიდ ფერერი (ესპ)	80
15(12). ძსავიე მალისე (გელ)	71
16(14). რაფაელ ნადალი (ესპ)	65
17(16). რიშარ გასკე (საფ)	63
18(43). ხუან მონაკო (არგ)	53
19(21). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	46
20(18). ჟილ სიმონი (საფ)	45
21(24). ლუის ორნა (პერ)	44
21(20). კარლოს მოია (ესპ)	44
21(19). რობინ სიოდერლინგი (შვედ)	44
24(24). ბილერმო კანიასი (არგ)	42
25(32). სტეფან კუბეკი (ავსტრია)	40

ფულადი მონაგარი	
1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	1 004 560
2. ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	515 080
3. ენდი როდიკი (აშშ)	270 890
4. ტომი ჰაასი (გერ)	262 140
5. ენდი მარეი (ბრიტ)	221 505
6. ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	205 595
7. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	187 250
8. მარკოს ბაღდატისი (კვი)	186 770
9. ბობ ბრაიანი (აშშ)	175 885
9. მაიკ ბრაიანი (აშშ)	175 885
11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	174 530
12. ძსავიე მალისე (გელ)	168 780
13. მარდი ფიში (აშშ)	164 000
14. ტომი როზარდო (ესპ)	161 070
15. რაფაელ ნადალი (ესპ)	155 095
16. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	150 185
17. იონას ბიორკმანი (შვედ)	145 930
18. მაძს მირნი (ჩლრ)	140 880
19. დავიდ ფერერი (ესპ)	139 630
20. მიხაილ იუჟნი (რუს)	135 910
21. ჟილ სიმონი (საფ)	123 295
22. რიშარ გასკე (საფ)	115 580
23. ფაბრის სანტორო (საფ)	110 675
24. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	108 260
25. ლუის ორნა (პერ)	99 090

WTA-ს რეიტინგი	
1(1). მარია შარაპოვა (რუს)	3824
2(2). ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელ)	3516
3(3). ამელი მორესმო (საფ)	3070
4(4). კიმ კლაისტერსი (ბელ)	2630
5(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2595
6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც)	2379
7(7). ნადია პეტროვა (რუს)	2265
8(8). ელენა დემენტიევა (რუს)	1869
9(9). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1742
10(11). ელენა იანკოვიჩი (სერ)	1724
11(10). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	1650
12(12). დინარა საფინა (რუს)	1569
13(13). პატი შნიდერი (შვეიც)	1531
14(14). ანა ივანოვიჩი (სერ)	1463
15(15). სერენა უილიამსი (აშშ)	1269
16(17). შაარ პეერი (ისრ)	1214
17(16). ნა ლი (ჩინ)	1150
18(18). ტატიანა გოლოვინი (საფ)	1032
19(19). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	1007
20(21). ვერა ზვონარევა (რუს)	942
21(20). ანა-ლენა გრონეფელდი (გერ)	929
22(24). ინ სუბიამა (იაპ)	922
23(23). კატ. სრებოტნიკი (სლოვენ)	915
24(25). მარიონ ბარტოლი (საფ)	886
25(22). ფრანჩისკა სკიავონე (იტა)	865

WTA-ს საჩემპიონო რბოლა	
1. სერენა უილიამსი (აშშ)	1030
2. კიმ კლაისტერსი (ბელ)	915
3. მარია შარაპოვა (რუს)	895
4. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	856
5. ამელი მორესმო (საფ)	825
6. ელენა იანკოვიჩი (სერ)	695
7. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	610
8. ანა ივანოვიჩი (სერ)	565
9. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	560
10. შაარ პეერი (ისრ)	486
11. ლუსი საფაროვა (ჩეხ)	455
12. ნადია პეტროვა (რუს)	436
13. ჟუსტინ ენინი (ბელ)	425
14. ელენა დემენტიევა (რუს)	371
14. დინარა საფინა (რუს)	371
16. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	351
17. ნა ლი (ჩინ)	345
17. ტატიანა გოლოვინი (საფ)	320
19. პატი შნიდერი (შვეიც)	286
20. როზერტა ვინჩი (იტა)	281
21. სამანტა სტოსური (ავსტრა)	275
22. ვერა ზვონარევა (რუს)	257
23. ტატიანა გარბინი (იტა)	256
24. მარა სანტანჯელო (იტა)	247
25. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	232

ფულადი მონაგარი	
1. სერენა უილიამსი (აშშ)	1 284 715
2. მარია შარაპოვა (რუს)	693 000
3. კიმ კლაისტერსი (ბელ)	455 640
4. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	407 028
5. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	357 513
6. ამელი მორესმო (საფ)	340 373
7. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ)	309 593
8. კარა ბლეკი (ზიმ)	294 663
9. ელენა იანკოვიჩი (სერ)	260 999
10. ჟუსტინ ენინი (ბელ)	256 320
11. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	222 855
12. ლუსი საფაროვა (ჩეხ)	214 048
13. შაარ პეერი (ისრ)	210 308
14. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	198 795
15. ანა ივანოვიჩი (სერ)	177 640
16. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	174 233
17. ელენა დემენტიევა (რუს)	166 873
18. სამანტა სტოსური (ავტრა)	164 908
19. ნადია პეტროვა (რუს)	161 152
20. ელენა ლიხოვცევა (რუს)	151 018
21. პატი შნიდერი (შვეიც)	150 048
22. ნა ლი (ჩინ)	148 091
23. იუნ-იან ჩანი (ტაივ)	138 680
24. ვერა ზვონარევა (რუს)	135 549
25. დინარა საფინა (რუს)	127 358

ეროკი

კეიტ ტკაჩუკი ატლანტაში გადავიდა

ერთი მნიშვნელოვანი გაცვლა განხორციელდა გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. 34 წლის ფორვარდი **კეიტ ტკაჩუკი** "ატლანტა ტრეშერზში" გადავიდა. მის ნაცვლად, "სენტ ლუის ბლუზმა" 32 წლის ცენტრალური თავდამსხმელი - **გლენ მეტროპოლიტი** მიიღო. გარდა ამისა, "ბლუზმენებს" 2007 წლის დრაფტის პირველ რაუნდში ჰოკეისტის არჩევის უფლებაც ერგოთ. თუ "ატლანტა" ტკაჩუკთან მომავალი სეზონისთვისაც გააგრძელებს კონტრაქტს, მაშინ "სენტ ლუისი" 2008 წლის დრაფტის ერთ ნომერსაც მიიღებს.

წლევანდელ სეზონში კეიტ ტკაჩუკმა 61 მატჩი ჩაატარა, 20 გოლი გაიტანა და 43 შედეგიანი პასი გააკეთა. სულ კი, მას "სენტ ლუისის" ღირსება 318 მატჩში დაუცავს, რომლის დროსაც 143 გოლი და 145 საგოლე გადაცემა დააგროვა.

აქვე შეგახსენებთ იმას, რომ ბოლო დღეებში "ატლანტა" საკმაოდ აქტიური იყო სატრანსფერო ბაზარზე. ტკაჩუკამდე, ამ გუნდმა "ფილადელფიიდან" რუსი მცველი **ალექსეი ჟიტნიკი** დაიმატა.

მონრეალმა და სან ხოსემ მცველები გაცვალეს

გუშინ, NHL-ში კიდევ ერთი გარიგება შედგა. "მონრეალ კანადიენსის" მცველი **კრეიგ რივე** "სან ხოსე შარქსში" გადავიდა. კანადელებმა ის 22 წლის მცველ **ჯოშ გორჯესში** გაცვალეს. გარდა ამისა, "ზვიგენებმა" ახალგაზრდა ჰოკეისტს, 2007 წლის დრაფტის პირველ რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლებაც დაუმატეს. აღსანიშნავია, რომ რივეს "მონრეალის" ამჟამინდელი შემადგენლობიდან, ყველაზე მეტი ხანი აქვს გატარებული კანადურ კლუბში.

ამ გაცვლით ორივე კლუბმა იხეირა. "სან ხოსეს" გამოცდილი მცველის დამატება სურდა, "მონრეალი" კი, ახალგაზრდა ჰოკეისტს ეძებდა, რომელიც წლევანდელ ფლეი ოფში დაეხმარება გუნდს.

კალათბურთი

რაკოჩევიჩი სამი კვირა ვერ ითამაშებს

რობერტ ესპანური გაზეთი "მარკა" იტყობინება, ევროლიგაში მონაწილე "ტაუგრესი" სერბი მცველის - **იგორ რაკოჩევიჩის** გარეშე დარჩა. ამ უკანასკნელმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მარცხენა ბარძაყის ტრავმა მიიღო და სამი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

ასე რომ, რაკოჩევიჩი ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მინიმუმ სამ თამაშს გამოტოვებს - 28 თებერვალსა და 15 მარტს "ვირტუსთან" და 7 მარტს "მაკაბისთან" დაპირისპირებებს.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო!

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 2:3

1:0, 0:1, 1:2

გოლები: 1:0 ლეიჩი-7 (ერსკაინი-5, ზედნიკი-12), 1:1 პარიზე-26 (ზაიაცი-19, ლანგენბრუნერი-30), 1:2 ზაიაცი-12 (პარიზე-23, რაფალსკი-34), 2:2 ოვეჩკინი-35 (შულტცი-3, ჰიუვარდი-12), 2:3 ლანგენბრუნერი-20 (რაფალსკი-35, ელიაში-38).

"ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ" საუკეთესო ბომბარდირმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა** თავისი უგოლო სერია შეწყვიტა, რომელიც ხუთი შეხვედრა გრძელდებოდა, მაგრამ ამ შაიბამ დედაქალაქელთა გუნდს მაინც ვერ უშველა. როგორც ჩანს, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ "კეპიტალზი" წელსაც ფლეი ოფის მიღმა დარჩება.

რაც შეეხება "ნიუ ჯერსის", ამ გუნდმა ბოლო 5 მატჩში მეოთხედ მოიგო და თუ რაიმე სასნაული არ მოხდა, მას ვერავინ შეეცილება ატლანტიკის დივიზიონის ჩემპიონობაში. ის კი არა, "დევილზს" რეალური შანსი აქვს მთლიანად რეგულარული სეზონის ჩემპიონობისთვის იბრძოლოს - ამ მომენტისთვის, "ეშმაკები" ლიდერ "ნეშვილს" მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩებიან.

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ 4:1

1:0, 1:0, 2:1

გოლები: 1:0 ტ. უაიტი-11 (ბუშარი-29, როლსტონი-25), 2:0 ბერნსი-3 (კ. იონსონი-15), 2:1 პიზანი-12 (სტაიოსი-15), 3:1 გაბორიკი-20 (დემიტრა-29, ვალეი-11), 4:1 ბუშარი-17 (როლსტონი-26, შულტცი-9).

გასულ სეზონში, "მინესოტა" ფლეი ოფის მიღმა სწორედ "ედმონტონ ოილერზმა" დატოვა, რომელმაც დასავლური კონფერენციიდან ბოლო საგზური მოიპოვა. ამჯერად კი, ამ გუნდებმა როლები გაცვალეს. "მინესოტა" მეშვიდე ადგილზეა კონფერენციაში, "ედმონტონი" კი, მეცხრეზე. თანაც, "მენავთობეებს" სასურველ მერვე ადგილამდე უკვე საკმაოდ ბევრი - 7 ქულა აშორებთ. ასე რომ, შესაძლოა, წლევანდელი ფლეი ოფი სტენლის თასის შარშანდელი ფინალისტის გარეშე ჩატარდეს.

ᲩᲘᲙᲐ�გᲝ-ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ 5:1

3:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კეიტი-2 (ჰამილტონი-12), 2:0 ოკუანი-4 (ვრბატა-26, ჰავლატი-24), 3:0 სმოლინსკი-14 (ტ. რუუტუ-19, ჰავლატი-25), 3:1 სტემპნიაკი-19 (ბეკმენი-10, ჯეკმენი-17), 4:1 ჰავლატი-24 (სიბრუკი-11, სმოლინსკი-23), 5:1 შარპი-11.

ეს გუნდები სხვადასხვა ფორმაში შეხვდნენ ამ შეხვედრას. "ჩიკაგოს" ზედიზედ 5 მატჩი ჰქონდა ნაგებული, "სენტ ლუისს" - ზედიზედ 4 მოგებული. მაგრამ მატჩის შემდეგ, ეს ორივე სერია შეწყდა.

"სენტ ლუისი" ბოლო ტურებში საკმაოდ შედეგიანად თამაშობს, მაგრამ "ბლუზმენები" ძალიან გვიან მოეგნენ გონს და ბოლოდროინდელი სპურტი, ალბათ, საკმარისი არ იქნება ფლეი ოფში გასასვლელად.

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ 2:1 (Ო)

0:0, 0:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 პიატი-17 (ჰ. სედინი-50, დ. სედინი-34), 1:1 ბუშე-17 (რიბეირო-31, მოდანო-13), 2:1 ი. ლეჰტინენი-21 (ზუბოვი-30, ი. იოკინენი-22).

"ვანკუვერის" მეკარე **რობერტო ლუონგო** 59 წუთი მშრალად ინახავდა თავისი გუნდის კარს და სულ რაღაც 30 წამი არ ეყო იმისთვის, რომ კარიერაში 31-ე შათაუტი დაეფიქსირებინა. "დალასმა" შეხვედრის გადარჩენა და ოვერტაიმში გამარჯვების მოპოვება შეძლო და ქულათა რაოდენობით "კენაქსს" გაუთანაბრდა. "ვანკუვერმა" ექვსმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა.

ეს გუნდები თავიანთ დივიზიონებში პირველობისთვის იბრძვიან. "ვანკუვერი" ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონში პირველ ადგილზეა და ორი ქულით უსწრებს "მინესოტას", "დალასი" კი, წყნარი ოკეანის დივიზიონში ხუთი ქულით ჩამორჩება ლიდერ "ანაჰაიმს".

ᲗᲐᲛᲞᲐ ᲑᲘᲖ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 5:1

2:0, 1:1, 2:0

გოლები: 1:0 სენტ ლუისი-38 (ბოილი-37, ბ. რიჩარდსი-36), 2:0 რეინჯერი-4 (პერენი-16, ბ. რიჩარდსი-37), 3:0 კუბა-10 (ბ. რიჩარდსი-38, ფედოტენკო-16), 3:1 გონჩარი-10 (მალკინი-40, კროსბი-71), 4:1 ბ. რიჩარდსი-22 (პერენი-17, ფედოტენკო-17), 5:1 ლეკავალიე-41 (სენტ ლუისი-47).

ამ მატჩში ერთდროულად ლიგის სამი საუკეთესო ბომბარდირი თამაშობდა. პიტსბურგელ **სიდნი კროსბის მარტინ სენტ ლუისი** და **ვენსან ლეკავალიე** დაუპირისპირდნენ და ეს მიკროდუელი "ტამპა ბეის" ფორვარდების გამარჯვებით დასრულდა.

კროსბიმ კვლავ შეასრულა ერთი შედეგიანი გადაცემა და 100-ქულიან ზღვარს სამი ქულაღა აშორებს. თუმცა ლიგის საუკეთესო ბომბარდირს გოლების გატანა უჭირს. ბოლო 13 მატჩში, კანადელმა ვუნდერკინდმა მხოლოდ ერთი შაიბა შეაგდო, არადა, ამ ხნის განმავლობაში 18 საგოლე პასი გააკეთა.

სამაგიეროდ, მორიგი გოლი გაიტანა ვენსან ლეკავალიემ, რომელიც 41 გოლით სნაიპერთა დავაში დამაჯერებლად ლიდერობს. მარტინ სენტ ლუისმა კი, გოლი და პასი მიითვალა და ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

რაც შეეხება ამ გუნდების საფლეიოფო შანსებს, ჯერჯერობით ორივე ხელსაყრელ სიტუაციაში იმყოფება - "ტამპასაც" და "პიტსბურგსაც" 75-75 ქულა აქვთ, თუმცა დამშვიდების საშუალება არ აქვთ, ვინაიდან მე-9 ადგილზე მყოფი "მონრეალი" მათ მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩება.

ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ 3:4 (Ბ)

0:1, 1:2, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 კარია-20 (ერატი-38, კ. ტიმონენი-33), 1:1 მოდინი-15 (ვიბორნი-38, ჰეინსი-20), 1:2 დუმონი-16 (რადულოვი-14), 1:3 ფიდლერი-8 (ლეგვანდი-31), 2:3 შელეი-1 (ჟერდიოვი-16, ფუტი-9), 3:3 ჰეინსი-8 (ვიბორნი-39, მოდინი-15).

ბულიტები გაიტანეს: რადულოვი (ნეშვილი).

მეხუთე მატჩი ჩაატარა "ნეშვილის" შემადგენლობაში **პიტერ ფორსბერგმა** და მეოთხედ უქულოდ დატოვა მოედანი. თუმცა შვედის გასაკეთებელი საქმე მისმა პარტნიორებმა გააკეთეს და "პრედატორზს" რეგულარულში ლიდერობა დაუბრუნეს.

ამ მოგებით, "ნეშვილმა" სტუმრად ოთხმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდი ამ სეზონში მეშვიდედ დაუპირისპირდა "კოლამბუსს" და მეშვიდე გამარჯვებას მიაღწია.

ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 5:3

2:1, 1:1, 2:1

გოლები: 1:0 ე. მაკდონალდი-17 (ო'დონელი-11, ბოშემენი-11), 2:0 ე. მაკდონალდი-18 (სელიანე-37, პრონგერი-39), 2:1 რაიკროფტი-4 (ლაპერიერი-16, მეი-3), 2:2 საკიკი-27 (ჰეიდუკი-24, ლაილსი-24), 3:2 სელიანე-37 (ე. მაკდონალდი-40, ს. ნიდერმაიერი-40), 3:3 ჰეიდუკი-24 (ბრუნეტი-39, პ. შჩასტნი-37), 4:3 ს. ნიდერმაიერი-11 (პალსონი-14, რ. ნიდერმაიერი-11), 5:3 პრონგერი-10 (ს. ნიდერმაიერი-41, გეტცლაფი-18).

რეგულარული ჩემპიონატის შუაში "ანაჰაიმის" ლიდერობას თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში "იხვებმა" თამაშს უკლეს და ახლა მათი მთავარი საზრუნავი წყნარი ოკეანის დივიზიონში ლიდერობის შენარჩუნებაა. "ანაჰაიმი" ზურგსუკან "დალასისა" და "სან ხოსეს" სუნთქვას გრძნობს.

მასპინძლებს ამ მატჩშიც გაუჭირდათ და მხოლოდ ბოლოსკენ შეძლეს "კოლორადოს" გატეხვა. 48 წამის ინტერვალში, მცველებმა - **სკოტ ნიდერმაიერმა** და **კრის პრონგერმა** ორი გოლი შეაგდეს და 36-ე გამარჯვება მოუტანეს თავის გუნდს.

"კოლორადო" კი, ნელ-ნელა შორდება ფლეი ოფის ზონას. ამ გუნდმა ზედიზედ მესამედ, ბოლო 16 მატჩში კი, მეთერთმეტედ წააგო და ახლა დასავლეთ კონფერენციაში მერვეადგილოსან "კალგარის" 10 ქულით ჩამორჩება.

აღნიშნულ შეხვედრაში ერთი მნიშვნელოვანი მომენტი დაფიქსირდა - 2000 წლის შემდეგ პირველად გამოტოვა მატჩი "კოლორადოს" ლატვიელმა მცველმა **კარლის სკრასტინსმა.** ამ ჰოკეისტმა ზედიზედ 495 შეხვედრა ჩაატარა და მცველებს შორის ყველა დროის რეკორდი დაამყარა.



მინესოტა-ედმონტონი. მარიან გაბორიკის გოლი როლოსონის კარში

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ "როიტერის" ცნობით, შვედი ჩოგბურთელი **იოახიმ იოჰანსონი** დაახლოებით სამი თვე ვერ გავა კორტზე. მიზეზი ტრავმირებულ მხარზე გაკეთებული ოპერაცია გახლავთ.

"არა მგონია, რომ ზაფხულამდე ჩოგბურთის თამაში შევძლო, - განაცხადა 2004 წლის ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალისტმა. - ზუსტად არ შემიძლია დაბრუნების თარიღის დასახელება. მილანში ჩემმა ექიმმა მითხრა, რომ ზაფხულში ყველაფერი წესრიგში იქნება. სასიამოვნო იყო ამის მოსმენა".

24 წლის იოჰანსონმა, რომელსაც მამაკაცთა ტურში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოწოდება აქვს, მხარზე პირველი ოპერაცია 2005 წელს გადაიტანა და მაშინ შვიდი თვის გამოტოვება მოუწია.

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲝᲚᲡᲝᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲡ

ᲡᲐᲛᲮᲠᲝᲛᲨᲘ ოლიმპიური ჩემპიონი, შვედი **კრისტიან ოლსონი** მონაწილეობას ვერ მიიღებს დარბაზებისთვის ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 2-4 მარტს ინგლისის ქალაქ ბირმინგემში გაიმართება.

სპორტსმენის მწვრთნელის ინფორმაციით, ოლსონს ბარძაყის მცირე ტრავმა აღმოაჩნდა. ამიტომაც, გადაწყდა, რომ შვედი მძლეოსანი კონტინენტის პირველობას გამოტოვებს და აქცენტს ამ სეზონის სხვა სტარტებზე გადაიტანს.

TV ᲡᲐᲛᲝᲠᲬᲝ

27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან კაეტანო-პალმეირასი.
09:45 მძლეოსნობა. ჭოკით ხტომა. დონეცკი. უკრაინა.
10:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვანინგტონი-ნიუ ჯერსი.
12:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:15 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ს. აფრიკა.
15:50 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-ლეირია.
17:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-დეპორტივო.
19:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 სპორტინფორმი.
23:00 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1976 წელი. ფინალი. საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ.
01:05 სპორტინფორმი.
01:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. რეალი-ბაიერნი.
03:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
04:15 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ს. აფრიკა.
07:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
07:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.

EUROSPORT

10:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 10 კმ. იაპონია (LIVE).
11:00 მულტისპორტი.
11:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 10 კმ. საპორო. იაპონია.
13:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS134. საპორო. იაპონია.
14:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
15:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 10 კმ. საპორო. იაპონია.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. დოჰა. კატარი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
19:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 10 კმ. საპორო. იაპონია.
21:30 ფეხბურთი. მერიდიანის თასი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
23:30 კრივი. ევროპის ჩემპიონატი. მ. პიჩირელო (იტალია)-მ. ჯონსი (აშშ). მილანი. იტალია.
00:00 კრივი. დ. ინკინი (რუსეთი)-ე. დუმა (ს. აფრიკა). გერმანია (LIVE).
02:00 პოკერი. ევროპის მასტერსი. ბარსელონა. ესპანეთი.
03:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 10 კმ. საპორო. იაპონია.
04:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-ბელგია. სლოვენია.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
17:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
18:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. უნიკახა-რეალი.
18:30 კალათბურთი. ევროლიგა.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
21:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-რეალი (ესპანეთი) (LIVE).
22:45 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი (ისრაელი)-ვენტსპილსი (ლატვია).
23:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სტრასბური (საფრანგეთი)-ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) (LIVE).
01:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დოჰა. კატარი.
02:15 რესტლინგი.
03:15 ახალი ამბები.

ᲡᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲤᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

სტოკი-ბარნლი	0:1

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲡᲔᲠᲘᲐ B

მოდენა-იუვენტუსი	0:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

II ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

დეისბურგი-პაბზა	1:2

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

გრენობლი-პაკრი	2:1

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ

მარიტიმუ-ლეირია	2:1
ბრაგა-ამადორა	2:1
ბენფიკა-ფეირეირა	3:1

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

მოსკოვი-ამკარი	3:0
კრილია-ცსკა	2:0
სიბირი-სპარტაკი	1:3

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

უიკეზბი-პონველი	4:2

ᲞᲝᲚᲔᲗᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

აიკ-ფრიოლუნდა	2:8
ბრინსი-ᲐᲕ 71	1:3
გალმიო-ᲰᲝᲚᲛ	3:3
მორა-ლინდოპინგი	1:1
იერგორდენი-ლულეა	1:1, 2:1 ოტ.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲓᲣᲑᲐᲘ

ბიორკმანი-სერა	7:5, 3:6, 2:6
ჟიკელი-ანდრეევი	7:6, 4:6, 5:7
ჰრბატი-ბარუაზიანი	6:1, 6:2
ბერდიხი-ალ გარეები	3:6, 6:3, 6:2
ო. როხუსი-ჰიუნ ტაიკ ლი	7:6, 6:2
ფედერერი-პლესი	7:6, 3:6, 6:3
რობრედო-სანტორო	6:7, 4:6

WTA. ᲓᲝᲰᲐ

სანტანჯელო-კლოზელი	6:3, 7:6
სკიავონე-პირონკოვა	6:2, 6:4
მირზა-ოპრანდი	6:4, 6:3
ჰანტუხოვა-კასტანიო	6:1, 6:0

ინტერვიუ პიტ სამპრასთან

ფედერერი, ნიკოლსონი და ვუდსი

ივლისში, პიტ სამპრასს ნიუპორტის ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანენ. 35 წლის ლეგენდარული სპორტსმენი მანამდე, 2-6 მაისს ბოსტონში ვეტერანთა "დელტა-ტურის" ერთ-ერთ ტურნირზე იასპარეზებს, სადაც მის გარდა ჯონ მაკინროი და ჯიმ კურიეც ითამაშებენ. რამდენიმე კვირაში, პიტ სამპრასს ტელემონსტრი - ESPN სამწლიან ხელშეკრულებას გაუფორმებს და პიტი საჩოგბურთო მიმომხილველად მუშაობას დაიწყებს. ამასთან ერთად, სამპრასის მეუღლეს - მსახიობ ბრიჯიტ უილსონს ჰოლივუდში ერთ-ერთი პროექტის დაფინანსება დაუმტკიცდა და ამ ქალბატონის თქმით, ფილმში ეპიზოდურ როლში მისი ქმარიც მიიღებს მონაწილეობას. მოკლედ, მისტერ სამპრასი საკმაოდ დაკავებულია, აღნიშნულ ინტერვიუში კი პისტოლ-პიტი "დელტა-ტურზე" თავის დაბრუნებაზე, როჯერ ფედერერსა და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო თემაზე საუბრობს.

- საჩოგბურთო ტურნირებზე საპრიზოების არანორმალურად გაზრდის მერე, ხომ არ ნანობთ, რომ კარიერა ასე ადრე დაასრულეთ?

- არა, ფული არ მაკლია. პირიქით, შემიძლია გასესხოთ. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ გჭირდებათ და თუ დროულად დამბრუნებთ (იცინის). მოთამაშემ კარიერა მაშინ უნდა დაასრულოს, როდესაც საუკეთესო ფორმაში იმყოფება და ამავე დროს, როდესაც გრძნობს, რომ თამაშის ხარისხს ვეღარ გააუმჯობესებს. 2005 წლის იანვრიდან ცხოვრებაში რაღაც ახალი უნდა გამეკეთებინა. ამავე წელს რამდენიმე საჩვენებელ ტურნირში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ კორტზე გასვლისთანავე ვიგრძენი, რომ ეს ჩემი ჰობი ვეღარ იქნებოდა. ჩოგბურთი ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებდა. მაკვირვებს ის ხალხი, ვინც ამბობს, რომ ჩოგბურთი მათთვის მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოა, რადგან ცხოვრებაში სხვა არაფრის კეთება არ იციან. ყოველ შემთხვევაში, ასე არასოდეს მიცხოვრია. თანაც, ოპტიმალური ფორმის შენარჩუნება ჩემთვის უკვე პრობლემას წარმოადგენდა. რამდენიმე მიკროტრავმისა და მარჯვენა მაჯაზე გაკეთებული ოპერაციის მერე, ვეღარასოდეს გავხდებოდი იმ დონის მოთამაშე, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში რეიტინგში პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

- ამ სეზონში ვეტერანთა ტურის ორ ტურნირზე გამოსვლას გეგმავთ.

- ამის შესახებ ჯერ კიდევ შარშან, ჯიმ კურიე სამჯერ თუ ოთხჯერ გამესაუბრა, მაგრამ მაშინ თუნდაც, "დელტა-ტურზე" დაბრუნებისთვის მზად არ ვიყავი. ჯიმი საკმაოდ დიდი ენთუზიასტია და მან ერთი ტურნირის ჩვენი სახსრებით ჩატარება შემომთავაზა. კორალ სპრინგზში ხუთდღიანი ტურნირი გავმართეთ, სადაც ჩვენ გარდა მეგობრები - გორან ივანიშევიჩი, ბორის ბეკერი, მიხაელ შტიხი და ემილიო სანჩესი დავპატიჟეთ. ამასთან ერთად, ჩოგანი ხელში ბრეტ ფავრს (ამერიკული ფეხბურთის სუპერვარსკვლავი - რედ.) დავაჭერინეთ, ერთი სეტი კი ალექს როდრიგესმა ("ნიუ იორკ იანკისის" ვარსკვლავი - რედ.) ითამაშა. გავერთეთ. ამის შემდეგ, ჯიმმა ერთხელაც შემომთავაზა ვეტერანთა ტურზე თამაში და დიდი ხნის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ 2007-ში ორ ტურნირზე მაინც გამოვიდოდი. ჯერჯერობით, მეტ შეჯიბრზე თამაშს არ ვგეგმავ, თუმცა როდესაც კვირაში რამდენჯერმე ჯიმთან ურთიერთობა გიწევს, ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. კურიემ ჩოგბურთის სათამაშოდ სილვესტერ სტალონეც დაიყოლია, ეს კი ძალიან რთული რამ გახლავთ.

- პირველ ტურნირზე ბოსტონში იასპარეზებთ. როგორ გგონიათ, 6 მაისს, როდესაც ფინალური მატჩი გაიმართება, კორტზე ორი მონაწილიდან ერთ-ერთი თქვენ იქნებით?

- შეგეძლოთ პირდაპირ გეკითხათ, საკმარისად კარგ ფორმაში ხართ თუ არა იმისთვის, რომ ტურნირი მოიგოთო? კი, მგონია, რომ ფინალში გასვლას შევძლებ. ისე, ტურნირში კურიე, ივანიშევიჩი და ჯონ მაკინროი მიიღებენ მონაწილეობას. მათ "დელტა-ტურზე" თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ და შესაძლოა, ამან მათ გარკვეული უპირატესობა მიანიჭოს. თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, ვეტერანთა ტური იქნება თუ პრო-ტური - ყველგან და ყოველთვის ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებ და იმედია, ჩემი თამაშით გულშემატკივრები ნასიამოვნები დარჩებიან.

■ ■ ■

- ჩვენი საუბრის შემდეგი თემა როჯერ ფედერერია. ხომ ვერ გაიხსენებდით მის წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩს უიმბლდონზე?

- 2001-ში ფედერერთან კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარე, მაგრამ, სამწუხაროდ, წავაგე. როჯერმა მეხუთე სეტში 7:5 მომიგო. სიმართლე გითხრათ, იმ მატჩის დეტალებს ნამდვილად ვერ გავიხსენებ. თუ არ ვცდები, მაშინ უიმბლდონი ივანიშევიჩმა მოიგო.

- შეძლებს თუ არა ფედერერი თქვენი სასლემო რეკორდის გაუმჯობესებას?

- ულაპარაკოდ, გააუმჯობესებს. როჯერმა წესით 17, 18, ან 19 სასლემო ტურნირი უნდა მოიგოს. თუ იგი ჯანმრთელობასა და მოტივაციას შეინარჩუნებს, ყველა დროის უდიდესი მამაკაცი ჩოგბურთელი გახდება. მას საამისოდ ყველა მონაცემი გააჩნია, თუმცა ერთიცაა - დღესდღეობით მამაკაცთა ჩოგბურთში პირველ ჩოგანსა და დანარჩენებს შორის ისეთი უზარმაზარი ნაპრალია, როგორიც არასოდეს ყოფილა. როჯერის სიდიადეს ეს წამითაც არ აკნინებს, მაგრამ, უბრალოდ, გითხარით ის, რასაც ვფიქრობ. სიმართლე გითხრათ, სადღეისოდ ვერ ვხედავ ვერც ერთ მოთამაშეს, რომელიც ფედერერს სწრაფ საფარზე ყველაზე პრინციპულ შეხვედრას მოუგებს. ენდი როდიკი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ სწორედ ესაა მისი პრობლემა. როდესაც ენდის თითქოსდა იოლი გათამაშების მარტივად დასრულება შეუძლია, იგი ყოველთვის რაღაც ექსტრავაგანტულ გადაწყვეტილებას იღებს და ამის გამო ზარალდება. როდიკმა ძალიან კარგად დაიწყო კარიერა, მაგრამ მას შემდეგ ფედერერმა დიდი პროგრესი განიცადა, ენდი კი პირიქით, რეგრესისკენ მიდის. მოდით, ცოტა ხანი ვაცადოთ და თუ როდიკი წელსაც ვერ შეძლებს უიმბლდონის ან ამერიკის ღია პირველობის მოგებას, მაშინ საბოლოოდ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ იგი და ფედერერი სხვადასხვა ლიგებში თამაშობენ.

- რას ურჩევდით იმ მოთამაშეებს, რომლებიც პერმანენტულად აგებენ ფედერერთან?

- პირველ რიგში არ უნდა ჰქონდეთ იმის კომპლექსი, რომ ისინი წინასწარ განწირულები არიან. ამასთან ერთად, ფედერერის ძლიერი მოწოდების გარეშე დამარცხება წარმოუდგენელია. მის მეტოქეს ბადესთან გასვლის არ უნდა ეშინოდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეცადოს, როჯერის უკანა ხაზიდან ხანგრძლივი გათამაშებებით დაღლას. ფედერერი ნებისმიერ ტემპს სხვაზე უკეთ გაუძლებს და საბოლოოდ, მაინც გამარჯვებული დარჩება. სწორედ ამის ხარჯზე ვახერხებდი ჩემი მთავარი კონკურენტების - კურიესა და ანდრე აგასის დამარცხებას. ცხადია, მათთან წამიგია კიდეც, მაგრამ თუ არ ვცდები, საბოლოო ჯამში ორივესთან დადებითი ბალანსით დავასრულე კარიერა. ამასთან ერთად, ფედერერთან მაქსიმალურად აკურატულად უნდა ითამაშოთ. ბოლო ორი წლის განმავლობაში, როჯერმა რამდენიმე ისეთი მატჩი მოიგო, რომლებშიც მის მეტოქეებს 100 პროცენტიანი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ისევ და ისევ, ზედმეტი ნერვიულობისა და ფედერერის კომპლექსის გამო, მათ ის შეხვედრები დათმეს.

პიტ სამპრასი და მისი მეუღლე ბრიჯიტ უილსონი

- რას იგრძნობთ მაშინ, როცა ადრე თუ გვიან, ფედერერი თქვენს რეკორდს გააუმჯობესებს?

- ნებისმიერი რეკორდი იმისთვისაა, რომ ადრე თუ გვიან, ვინმემ გააუმჯობესოს. არა მარტო ჩოგბურთში, არამედ სპორტის ნებისმიერ სახეობაში ისტორია წლიდან წლამდე ახლიდან იწერება. ტაიგერ ვუდსი სულ მალე ჯეკ ნიკლაუსის რეკორდს მოხსნის, ბარი ბონდსი ჰენკ აარონზე მეტ ჰოუმრანს დაარტყამს, ფეხბურთში კი ადრე თუ გვიან, ვინმე პელეზე მეტ გოლსაც გაიტანს. ასე რომ, ამასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ მაქვს. ფედერერი ფენომენია, იგი მოვლენაა არა მარტო ჩოგბურთში, არამედ მთლიანად მსოფლიო სპორტში. ამასთან ერთად, იგი ძალიან სასიამოვნო პიროვნებაცაა, რის გამოც კოლეგების პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს. იგი არც ზედმეტად თავშეკავებულია და არც საპირისპირო უკიდურესობაში ვარდება. ჩემი აზრით, ფედერერი დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენია.

- ბოლოს როდის ესაუბრეთ როჯერს?

- ავსტრალიის ღია პირველობის მსვლელობისას მელბურნში ერთ-ერთ სარეკლამო რგოლში მიღებდნენ. ფედერერს იმ საღამოს, ჟურნალისტებთან შეხვედრისას ორი წუთით გამოველაპარაკე. განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, უბრალოდ, ერთმანეთი მოვიკითხეთ. ერთი რამ კი მითხრა - ადრე თუ გვიან, შენზე მეტ სლემ-ტიტულს დავაგროვებ, მაგრამ შენზე მეტი ფული, ალბათ, არასოდეს მექნებაო.

- ვინ უფრო დიდი სპორტსმენია, ფედერერი თუ ტაიგერ ვუდსი?

- საერთოდ, გოლფში დომინირება ჩოგბურთზე მეტად რთულია. აქედან გამომდინარე, ფედერერისა და ვუდსის კარიერების შედარებისას ძალიან მცირე, მინიმალურ უპირატესობას ტაიგერს მივანიჭებ. ამასთან ერთად, თუ არ ვცდები, ფედერერმა ბოლო 18 თვის განმავლობაში სულ რაღაც 5 მატჩი წააგო და ესეც ფენომენალური შედეგია. ვუდსი ფედერერს სულ მცირედით მირჩევნია, თუმცა ეს ჩემი სუბიექტური აზრია. დარწმუნებული ვარ, ფედერერი, თუნდაც ამერიკაში ვუდსზე არანაკლებ პოპულარულია.

- გაქვთ თუ არა ურთიერთობა ანდრე აგასისთან?

- ამერიკის ღია პირველობის ბოლო გათამაშების მერე, ანდრემ მეუღლესთან ერთად თავისი ერთ-ერთი ფონდის დაფუძნებასთან დაკავშირებით მოწყობილ საღამოზე დამპატიჟა. ანდრესთან ვმეგობრობ, მაგრამ იმის დრო ნამდვილად არ გვაქვს, რომ ყოველდღე თითო ჰამბურგერი ერთად შევჭამოთ და ცოლებთან ერთად, რომელიმე ფილმის პრეზენტაციაზე ნავიდეთ.

- ჰო, მართლა, გავიგეთ, რომ თქვენ ახალი ფავორიტი მსახიობი გყავთ.

- მთელი ცხოვრება მეგონა, რომ ჯეკ ნიკოლსონზე დიდი მსახიობი კაცობრიობას არასოდეს ეყოლებოდა. ბოლო წლებმა კი დამარწმუნა, რომ ნიკოლსონს სულ მალე თუ არა, ადრე თუ გვიან, მეტ დეიმონი გაუტოლდება. დიდი სიამოვნება მივიღე ფილმ THE DEPARTED-ის (გუშინ, ამ ფილმმა ოსკარი აიღო საუკეთესო ფილმის ნომინაციაში - რედ.) ნახვით, სადაც ჯეკთან და დეიმონთან ერთად, დი კაპრიომაც არაჩვეულებრივად ითამაშა. პარადოქსი კი ის არის, რომ ოსკარზე არც ჯეკი და არც დეიმონი წარდგენილი არ არიან. ჩემი ნება რომ იყოს, მათ ახლავე გადავცემდი ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოებს.

- დაასახელეთ სათამაშო კომპონენტი, რომელშიც საუკეთესო არასოდეს ყოფილხართ.

- მოწოდება, რადგან ჩემს დროს უძლიერესი და ყველაზე სტაბილური მოწოდება გორან ივანიშევიჩს ჰქონდა. ასევე, ფორჰენდი. ამ დარტყმას ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე კარგად ანდრე აგასი ასრულებდა.

- ერთი დღით, რომელი სპორტსმენის ადგილას ყოფნას ისურვებდით?

- ულაპარაკოდ, ეს სპორტსმენი მაიკლ ჯორდანია. თუ ოცნებაა, ბარემ იმასაც ვისურვებდი, რომ 1998 წლის სუპერფინალში, "იუტა ჯაზთან" მეექვსე შეხვედრაში გადამწყვეტი ორი ქულა დამეგროვებინა.

- ივლისში ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეხვალთ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ფაქტი?

- ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იმას ცხადჰყოფს, რომ პიტ სამპრასს თავის კარიერაში მართლაც რაღაც გაუკეთებია. იმედი მაქვს, დიდების დარბაზში ჩემი შესვლა არავის გააღიზიანებს.

- და ბოლოს, გგონიათ თუ არა, რომ ფედერერი ოდესმე საფრანგეთის ღია პირველობას მოიგებს?

- ერთ მშვენიერ დღეს მოიგებს, თუმცა ვერ გეტყვით, ეს წელს იქნება თუ შემდეგ სეზონში.

ზურაბ თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანგზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
ვანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ძეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი (ლილოები, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა